


178  
1961/3

საქართველოს  
საბჭოთავო



# საბჭოთა სამართალი

3



# საბჭოთა სამართალი

## № 3

მაისი—ივნისი

1961 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო  
**ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი**

### შ ი ნ ა ა რ ს ი

საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავისათვის

ზ. კვაჭაძე — სახელოვანი გზა . . . . . 3

საბჭოთა სომხეთის და სომხეთის კომპარტიის 40 წლისთავისათვის

ა. პივაზიანი — სახალხო სასამართლოების შექმნა სომხეთში . . . . . 10

გ. ინწკირველი — სამართლის სისტემა . . . . . 17

ვ. მაისურაძე — საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედო შემოღებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ . . . . . 27

ა. კარანაძე — სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების ძირითადი პრინციპები . . . . . 31

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილება № 1 . . . . . 37

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილება № 2 . . . . . 42

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 4 მარტის დადგენილება № 3 . . . . . 50

გ. ცქიტიშვილი — ნოტარიატის მუშაობის ზოგიერთი საკითხი . . . . . 53

ადვოკატის ტრენინგა

ვ. ჭუღელი — ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის საკითხისათვის . . . . . 56

შ. დანელია — ადვოკატთა დაცვითი სიტყვის შესახებ . . . . . 58

ოფიციალური მასალა . . . . . 61

წერილები რედაქციას . . . . . 70

ინფორმაცია . . . . . 71

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია . . . . . 82

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას . . . . . 87

პასუხი მკითხველთა შეკითხვებზე . . . . . 90

არბიტრაჟის პრაქტიკა . . . . . 91

სასამართლო პრაქტიკა . . . . . 94

8529



## СОДЕРЖАНИЕ

<b>40-ЛЕТИЕ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ И КОМПАРТИИ ГРУЗИИ</b>	
З. Квачадзе. Славный путь . . . . .	3
<b>40-ЛЕТИЕ СОВЕТСКОЙ АРМЕНИИ И КОМПАРТИИ АРМЕНИИ</b>	
А. Пивазян. Создание народных судов в Армении . . . . .	10
Г. Инцкирвели. Система права . . . . .	17
В. Мансурадзе. О некоторых вопросах в связи с введением в действие Уголовного и уголовно-Процессуального кодексов Грузинской ССР . . . . .	27
А. Каранадзе. Основные принципы конституций стран на- родной демократии . . . . .	31
<b>ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ</b>	
Постановление № 1 пленума Верховного суда СССР . . . . .	37
Постановление № 2 пленума Верховного суда СССР . . . . .	42
Постановление № 3 пленума Верховного суда СССР . . . . .	50
Г. Цкитишвили. Некоторые вопросы работы нотариата . . . . .	53
<b>Трибуна адвоката</b>	
В. Джугели. К вопросу о новой системе оплаты труда адвокатов	56
Ш. Данелия. О защитительной речи адвокатов . . . . .	58
Официальный материал . . . . .	61
Письма в редакцию . . . . .	70
Информация . . . . .	71
Критика и библиография . . . . .	82
Юридическая консультация населения . . . . .	87
Ответы на вопросы читателей . . . . .	90
Практика арбитража . . . . .	91
Судебная практика . . . . .	94

### სარედაქციო კოლეგია

შეკ. № 742  
ტირაჟი 5.000  
შპ 01904


მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,  
პ. ბერძენიშვილი, მ. ვეფხვაძე, გ. ინწკირველი,  
ა. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე),  
ე. ტაკიძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-88-05

გადაეცა წარმოებას 15/IV-61; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VII-61 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. ცკ-ის კპ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии  
Тбилиси, ул. Ленина № 14.



## ს ა ს ე ლ ო ვ ა ნ ი გ ზ ა


ზ. კმაჭაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

40 წლის წინად, 1921 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის, მამაცი წითელი არმიის დახმარებით დაამხეს ბურჟუაზიის მოსყიდული ლაქიები: — მენშევიკური მთავრობის ბატონობა საქართველოში და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. ქართველი ხალხის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება — ყველაზე ღირსშესანიშნავი, ნათელი და სასიხარულო დღესასწაულია. ეს თარიღი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ქართველი ხალხის ისტორიაში. ამ დღიდან მოხდა ძირეული მობრუნება ქართველი ხალხის ისტორიულ ბედში, გადაიშალა ახალი ფურცელი მის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, დაიწყო ახალი ერა — საქართველოს აღორძინების, მისი ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების ერა, ღრმა რევოლუციური გარდაქმნების განხორციელებისა და სოციალისტური მშენებლობის ერა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღესასწაული ტარდება სასიხარულო დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი სამშობლო ემზადება, რათა ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. ჩვენს დიად დღესასწაულს აღვნიშნავთ იმ დღეებში, რომლებიც სამუდამოდ შევიდა ისტორიაში, როგორც დასაწყისი კაცობრიობის ახალი ერისა — კოსმოსში ადამიანის შედღწევის ერისა.

გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა განვლო 40 წლის მანძილზე, მოწმობს, რომ მხოლოდ სოციალიზმსა და კომუნიზმს შეუძლია აიყვანონ ხალხები ყველაზე მაღალ მწვერვალებზე. დღესასწაულობენ რა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-40 წლისთავს, რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი კმაყოფილებით ავლებენ თვალს სოციალისტური მშენებლობის განვლილ გზას, რომელმაც მიიყვანა ისინი უდიდეს წარმატებამდე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

რას წარმოადგენდა საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე? ეს იყო აგრარული ქვეყანა, მეფის რუსეთის ჩამორჩენილი, უუფლებო განაპირა მხარე, სადაც უამრავი ბუნებრივი სიმდიდრენი გამოუყენებელი რჩებოდა. განუვითარებელი მრეწველობა, ძალზე ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა — აი მაშინდელი საქართველოს სურათი. გლეხობა უმიწაწყლო აყო, არ გააჩნდათ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები; მოსახლეობის 80 პროცენტმა წერა-კითხვა არ იცოდა. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს და ჯანმრთელობის დაცვას. მა-




შინდელ საქართველოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი უწოდებდა კიდევ უფრო მეტად გლახურს, ვიდრე რუსეთი იყო.

საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა საქართველოს მშრომელთა საუკუნოებრივი მისწრაფება — წარმოების ძირითადი საშუალებანი საერთო-სახალხო საკუთრებად გამოაცხადა. განხორციელდა ძირითადი სოციალური გარდაქმნები, მათ შორის აგრარული რეფორმა, სამთომადნო, ლითონდასამუშავებელი და სხვ. მრეწველობის, ტრანსპორტისა და ბანკების ნაციონალიზაცია. საქართველოს მშრომელები გახდნენ თავიანთი ბედისა და ცხოვრების გამგებელნი, მთელი ძალაუფლება მათ ხელში გადავიდა. ქართველ ხალხს საშუალება მიეცა თავისი ეკონომიკის და კულტურის განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობის ამადლებისა. სრულიად საქართველოს საბჭოების I ყრილობამ (1922 წლის თებერვალში) მიიღო რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომელმაც საკანონმდებლო წესით განამტკიცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ისტორიული მონაპოვარი.

უმოკლეს ისტორიულ ვადაში, 40 წლის განმავლობაში, განსაცვიფრებელი ცვლილებები მოხდა ჩვენს ძველთა-ძველ ქართულ მიწა-წყალზე. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებისა და, პირველ რიგში, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით განახორციელეს ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, მოიპოვეს დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მოკლე ვადაში აღმოფხვრეს ცარიზმისა და კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით მიღებული ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა. საქართველო ეკონომიურად ჩამორჩენალი ქვეყნიდან გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიალურ-საკომმუნისტურ რესპუბლიკად. შეიქმნა ახალი ქალაქები, განვითარდა მრეწველობის ისეთი ახალი დარგები, როგორც არის მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ფეროშენადნობთა, საფეიქრო, საშენ მასალათა, ჩაის, შაქრის მრეწველობა და სხვ. რეკონსტრუირებული იქნა ქვანახშირისა და მარგანცის მრეწველობა. აშენდა მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები (ზაპესი, რიონჰესი, ალანანჰესი და სხვ.). ელექტროფიცირებული იქნა რკინიგზები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში აშენდა დაახლოებით 1000 სამრეწველო საწარმო.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა აწარმოებს სატვირთო ავტომობილებს, ელმავლებს, ელექტროძრავებს, ელექტროსადგურების მოწყობილობას, საანგარიშო გამომთვლელ მანქანებს, ზუსტ ხელსაწყობებს, ქვანახშირს, მარგანცს, თუჯს, ფოლადს, ქიმიური მრეწველობის სხვადასხვა პროდუქტებს, ჩაის, შაქარს, ღვინოს, კონსერვებს, მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა ნაწარმს და სხვ. თუ როგორი გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება რესპუბლიკის მრეწველობა ნათლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ამჟამად მრეწველობის საერთო პროდუქციას მოცულობა .1913 წელთან შედარებით გადიდა 40-ჯერ, აქედან მსხვილი მრეწველობისა — 112-ჯერ.

საბჭოთა საქართველომ მრეწველობის განვითარების დონით შორს მოიტოვა უკან მეზობელი ქვეყნები — თურქეთი და ირანი, დაეწია და გაუსწრო ერთსულ მოსახლეზე თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოებით ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიც არის იტალია. ჩვენი რესპუბლიკა



ამჟამად ერთ სულ მოსახლეზე აწარმოებს უფრო მეტს, ვიდრე იტალია: თუჯს — 4-ჯერ, ფოლადს — 2-ჯერ, ნაგლინს — 1,7-ჯერ.

საქართველოში იღებენ 41-ჯერ მეტ ქვანახშირს და აწარმოებენ 190-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე 1913 წელს. საქართველო ამჟამად ყოველ ორნახევარ დღეში იმდენ ელექტროენერგიას აწარმოებს, რამდენსაც აწარმოებდნენ 1913 წელს.

40 წლის მანძილზე დიდად განვითარდა რესპუბლიკის მსუბუქი, საფეიქრო და კვების მრეწველობა. თუ საქართველოში რევოლუციამდე არ აწარმოებდნენ ბამბის ქსოვილებს, აბრეშუმის ქსოვილებს კი ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით, ამჟამად ყოველწლიურად ვუშვებთ 50 მილიონ მეტრ ბამბის, 20 მილიონ მეტრ აბრეშუმის და 5 მილიონ მეტრ შალის ქსოვილებს.

ამჟამად საქართველო ყოველწლიურად აწარმოებს 6 მილიონ დეკალიტრ ღვინოს, 6 მილიონ ბოთლ შამპანურს, 85 მილიონ პირობითი ქილა სხვადასხვა კონსერვს, 23 ათას ტონა შაქარს, 14 მილიარდ ცალ პაპიროსს და სხვ.

რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა სამრეწველო პროდუქციის სულ უფრო მზარდი მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ექსპორტში.

ამჟამად მრეწველობის ნაწარმი ქართული მარკით იგზავნება არა მარტო ჩვენი დიდი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა რესპუბლიკებში, არამედ საზღვარგარეთის 50-ზე მეტ ქვეყანაში. მომხმარებელთა დიდი მოწონება ჰპოვეს კვების მრეწველობის ისეთმა პროდუქტებმა, როგორც არის — ჩაი, ღვინო, კონიაკი, და სხვ.

თუ 1927 წელს გამოშვებული იყო 200 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, ამჟამად ყოველწლიურად ვუშვებთ 10,7 მილიონზე მეტ წყვილს, ე. ი. ერთ სულ მოსახლეზე 2,5 წყვილ ტყავის ფეხსაცმელს.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად რესპუბლიკაში გაიზარდა რაოდენობრივად მუშათა რიცხვი, ამაღლდა მათი კულტურული დონე და საწარმოო ტექნიკური კვალიფიკაცია. აღიზარდნენ წარმოების ნოვატორთა ახალი კადრები, რომლებიც მამაცური შრომითა და ორგანიზატორული ნიჭით ასახელებენ სამშობლოს.

თავდადებული შრომით თავი ისახელა რესპუბლიკის ბევრმა მშრომელმა, მათ შორის, კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელებმა: გურამ ჩადუნელმა, არჩილ ძამაშვილმა, ამირან ფანცულაიამ, ზაურ რუსიამ, ელენე გეგელაშვილმა, შოთა კუბლაშვილმა, პოლინა ბოგდანოვამ, მიხეილ ბაღდასაროვმა, კუჩკონ ლეიბამ, დავით თედეევმა და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი წარმატებები იქნა მიღწეული სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნაში. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად ლიკვიდირებული იქნა კულაკობა როგორც კლასი. მშრომელთა თავდადებული ბრძოლის შედეგად რესპუბლიკის წვრილი გლეხური, ტექნიკურად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა მსხვილ მექანიზებულ სოციალისტურ სოფლის მეურნეობად გადაიქცა. გლეხობა განთავისუფლდა საუკუნოებრივ კაბალისაგან, სიღარიბისაგან და გაჭირვებისაგან და დაადგა ბედნიერი ცხოვრების გზას.

ქართველი გლეხი საუკუნეთა განმავლობაში კავით ჩიჩქნიდა მიწას. ამჟამად კი საქართველოს მინდვრებში მუშაობს ათასობით ტრაქტორი და კომბაინი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მექანიზაციისა და მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებები მოი-

პოვეს ნასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობაში. დიდი განვითარება ჰპოვეს სოფლის მეურნეობის ისეთმა დარგებმა, როგორც არის მეჩაიეობა, მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მეთამბაქოეობა, მეაბრე-შუმეობა და სხვ.

საქართველოს სიამაყისა და სიმდიდრის წყაროს წარმოადგენს ჩაი. ნაცვლად 1000 ჰექტარისა (1921 წ.) ამჟამად ჩაის პლანტაციებს უჭირავს 55,3 ათასი ჰექტარი. საქართველო აწარმოებს, მთელს საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 97 პროცენტს, ხოლო შვიდწლედის ბოლოს ჩვენი რესპუბლიკა დააკმაყოფილებს მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილებას ჩაიზე. გასულ წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა ღირსეულად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი — გეგმით გათვალისწინებული 138 ათასი ტონა ჩაის ფოთლის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 157 ათასი ტონა ჩაის ფოთლი, რითაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მხურვალე მისალმება დაიმსახურეს.

საბჭოთა საქართველოში აღიზარდა ტრაქტორისტების, მექანიზატორების, კომბაინერების მრავალრიცხოვანი კადრები. ამჟამად კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში შრომობს ათასობით სპეციალისტი, აგრონომი, ვეტერინარი და ზოოტექნიკოსი.

სოფლის მეურნეობაში თავდადებული შრომით სახელი გაითქვა ჩვენა რესპუბლიკის მრავალმა საამაყო შვილმა, წარმოების ნოვატორებმა. მათ რიცხვში აღსანიშნავია ჩაის მკრეფავება ტატიანა ჩხაიძე და გული ავიძბა, მექანიზატორი გიორგი თინაშვილი, მეღორეები დავით სეფიაშვილი და იუზა დოკუხოვი, მწყემსები გიორგი ჩალაბაშვილი და გიორგი მჭედლიშვილი, მწველავები სოფიო დელიბაშვილი, მერი კვაჭანტირაძე, ტაისა ფედოსევა, ემა კუიუმჩიანი, მესიმიანდე კონსტანტინე სანდუხაძე და ბევრი სხვ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ბედისათვის დიდმნიშვნელოვანი ნიშანს ეტეები იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი და ამის შემდეგ მალე მოწვეული ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა. პლენუმსა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ზონალურ თათბირზე ღრმად და ყოველმხრივ არის განზოგადებული პარტიის, კოლმეურნე გლეხობის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლის გამოცდილება სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, გამოვლინებულია მისი დაუშრეტელი შესაძლებლობანი, მხილებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში არსებული ნაკლოვანებანი, განსაზღვრულია მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების გზები. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კოლმეურნეები, სოფლის მშრომელები შეასრულებენ თავიანთ პირობას, რომელიც მათ დადეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბარზე — 1961 წელს მიაღწევენ გარდატეხას სოფლის მეურნეობის ყველა დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. რესპუბლიკა დაიფარა სკოლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელით.

საქართველოში ჯერ კიდევ 20 წლის წინათ ლიკვიდირებულ იქნა წერაკითხვის უცოდინარობა. ამჟამად საქართველოში ყველა სახეობის 4664 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 700 ათასზე მეტი მოსწავლე. მათ ასწავლის 60 ათასამდე მასწავლებელი: 1913 წელს კი 1768 სკოლაში სწავლობდა 156 ათასი მოსწავლე და ასწავლიდა 6 ათასი მასწავლებელი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში იყო მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი. ამჟამად 18 უმაღლეს სასწავლებელში და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობს 82 ათასზე მეტი კაცი.

რესპუბლიკაში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის საშუალოდ 38 კაცი უმაღლესი განათლებით, 315 საშუალო და არასრული საშუალო განათლებით. უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების პირთა რაოდენობის მიხედვით ჩვენს რესპუბლიკას პირველი ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში. ათას მცხოვრებზე სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით საქართველოში სწავლობს 3-ჯერ მეტი სტუდენტი, ვიდრე საფრანგეთში, 3,6-ჯერ მეტი, ვიდრე იტალიაში, 8-ჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში და 18-ჯერ მეტი, ვიდრე ირანში.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში 300 ათასზე მეტი სპეციალისტია უმაღლესი და საშუალო განათლებით. ეს არის ნამდვილად ეროვნული, ხალხური ინტელიგენცია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ აღზარდა ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, აშენდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომგულის სამეცნიერო-საკვლევო რეაქტორი. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის 174 სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა 9137 მეცნიერი მუშაკი, რომელთა შორის 430 მეცნიერებათა დოქტორი და 3200-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატია.

დიდი წარმატებებია მიღწეული რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. ქართული ხელოვნების წარმომადგენლებმა — მწერლებმა, მხატვრებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა, კომპოზიტორებმა შექმნეს მრავალი თვალსაჩინო ნაწარმოები, რომლებმაც მაღალი შეფასება მიიღო, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

თუ 40 წლის წინათ საქართველოში მხოლოდ 100 ქოხ-სამკითხველო არსებობდა, ამჟამად მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გახსნილია 6375 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება — ბიბლიოთეკები, კლუბები, მუზეუმები, კულტურის სახლები, კინო-თეატრები, კულტურისა და დასვენების პარკები. მუშაობს 300 ათასზე მეტი რადიო წერტილი და დადგმულია 40 ათასი ტელევიზორი.

დიდად განვითარდა ბეჭდვითი სიტყვის საქმე. თუ 1913 წელს გამოიცა 654 სახელწოდების 965 ათასი ცალი წიგნი, 1959 წელს რესპუბლიკურმა გამოცემლობებმა გამოუშვეს 2434 სახელწოდების 12.953.700 ეგზემპლარი წიგნი. 138 გაზეთი და 123 ყურნალი და სხვა პერიოდული გამოცემები გამოდის ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

საქართველოს სსრ-ში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ჩვენში არ არის ისეთი დასახლებული პუნქტი, რომ არ იყოს სამკურნალო დაწესებულება. რესპუბლიკაში 660-ზე მეტი საავადმყოფოა, 1370-ზე მეტი საექიმო პუნქტი,



ამბულატორია, პოლიკლინიკა, 130-ზე მეტი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი.

ერთ სულ მოსახლეზე ექიმების რაოდენობის მხრივ საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ასე, მაგალითად, ჩვენს რესპუბლიკაში 10.000 მცხოვრებზე მოდის 31,4 ექიმი, ინგლისში — 11,4, საფრანგეთში — 10,7, ბელგიაში — 12,2, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 12,1.

ჩვენს მზიურ მხარეს — საქართველოს, ჯანმრთელობის პირველხარისხოვან კერას უწოდებენ. სამხრეთის თბილი ზღვა, რბილი ზღვისპირა ჰავა, მთის პეიზაჟების თვალწარმტაცი სილამაზე, დიდი რაოდენობით სამკურნალო მინერალურ წყაროებთან შესაბამისად, — ჩვენი ქვეყნის პირველხარისხოვან კლიმატური და ბალნეოლოგიური საკურორტო ზონის დამსახურებულ სახელს უზღვევენ საქართველოს. რესპუბლიკის ისეთი კურორტები, როგორცაა წყალტუბო, ბორჯომი, აბასთუმანი, გავრა, საირმე და სხვ. თავიანთი სამკურნალო თვისებებით კარგათაა ცნობილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც.

სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და ამაღლდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა. განმტკიცდა მუშათა და კოლმეურნე გლეხთა კავშირი. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და კოლმეურნე გლეხთა შემოსავალი. გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება კვებისა და ფართო მოხმარების საქონლით. დიდი ღონისძიებებია განხორციელებული მოსახლეობის სოციალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების კეთილმოწყობისათვის. შემცირდა სამუშაო დღის ხანგრძლიობა. ამჟამად მუშა-მოსამსახურენი გადასული არიან 7 და 6 საათიან სამუშაო დღეზე, ხელფასის შეუმცირებლად. მარტო 1960 წელს სახელმწიფოს მიერ გაცემული პენსიებისა და სხვადასხვა დახმარების საერთო თანხამ საქართველოში 79 მილიონი მანეთი შეადგინა.

წლითი-წლობით მშვენივრად რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები ახალი საცხოვრებელი შენობებით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებით, კეთილმოწყობილი პროსპექტებითა და ქუჩებით, პარკებითა და სკვერებით.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობას. მარტო 1958—1960 წლებში აშენდა 1.400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამას გარდა 1957—1960 წლებში მოსახლეობამ ქალაქად აიშენა 900 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, ხოლო, სოფლად 33 ათასი სახლი.

საქართველოს მშრომელებმა ყველა საბჭოთა ადამიანებთან ერთად გამოიჩინეს მამაცობა და გამირობა დიდ სამამულო ომში, რითაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი ქვეყნის ისტორიულ გამარჯვებაში.

საქართველოს სსრ წარმატებანი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული შრომისა და იმ მუდმივ ურთიერთ დახმარების შედეგია, რომელსაც სსრ კავშირის ხალხები უწვევენ ერთმანეთს. ყველა ეს წარმატებანი მკაფიო მაგალითია იმისა, თუ რა ბევრი რამის გაკეთება შეუძლია მშრომელ ხალხს თუ ის თავისი ბედის გამგებელია, თუ მას ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური პარტია — კომუნისტური პარტია.

ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები მკაფიოდ ადასტურებს სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების მძლავრ ცხოველყოფელ ძალას.

ქართველი ხალხი ერთსულოვნად მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისა და მეგობრობისაკენ.

ამჟამად რესპუბლიკის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით შრომობენ სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული შვიდწლიანი გეგმის მესამე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. როგორც ცნობილია, შვიდწლიანი გეგმა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული პროგრამაა. ეს გეგმა მთავარ ამოცანად ისახავს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მძლავრ აღმავლობას და ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდა 1958 წელთან შედარებით 17 პროცენტით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სულ ცოტა 1,5-2-ჯერ. რესპუბლიკაში გაჩაღებულია საყოველთაო სახალხო ბრძოლა სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, მშობლიური კომუნისტური პარტიის მეთაურობით პირნათლად შეასრულებენ პარტიისა და მთავრობის დავალებებს, და ღირსეულად შეხვდებიან საქართველოს კომპარტიის XXI და საკავშირო კომუნისტური პარტიის XXII ყრალობებს.



## სომხეთში საბჭოთა სასამართლოების შექმნის შესახებ

დოც. ა. პივაზიანი

ორმოცი წლის წინათ სომხეთის რევოლუციური კომიტეტის 1920 წლის 29 ნოემბრის დეკლარაციით სომხეთი გამოცხადებულ იქნა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

ნოემბრის რევოლუციამ დაამსხვრია დაშნაკური მთავრობის მთელი სახელმწიფო აპარატი, ლიკვიდაცია უყო უკლებლივ ყველა ადმინისტრაციულ დაწესებულებასა და თანამდებობას.

მთელ ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატთან ერთად გაუქმებულ იქნა ძველი სასამართლოებიც, რომელნიც წარმოადგენენ მშრომელი მასების ჩაგვრისა და დამონების იარაღს. „გზა, რომელიც განვლო საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალისტური არმიის მიმართ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მან გავლო აგრეთვე გაბატონებული კლასების მეორე, კიდევ უფრო მოქნილი, კიდევ უფრო რთული იარაღის — ბურჟუაზიული სასამართლოს მიმართ, რომელიც ვითომ წესრიგის დაცვას წარმოადგენდა, ნამდვილად კი ბრმა, მოქნილი იარაღი იყო ექსპლოატირებულთა უღმობელი დათრგუნვისა, მდიდართა ინტერესების დაცვისა. საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც გვიანდერძა ყველა პროლეტარულმა რევოლუციამ, — მან იგი ერთბაშად გადასცა დასამსხვრევად“.<sup>1</sup>

სოციალისტურმა რევოლუციამ სომხეთში მოუსწრო მეფის რუსეთის სამართლო სისტემას, რადგან დაშნაკურმა მთავრობამ თავისი არსებობის პირველსავე დღეებში დააკანონა მანამდე მოქმედი მეფის იმპერიის ფეოდალურ-ბურჟუაზიული კანონთა კრებული და სასამართლო დაწესებულებათა სისტემა იმ დამატებებით, რომლებიც შეტანილ იქნა დროებითი მთავრობისა და ამიერკავკასიის სეიმის მიერ.

სომხეთის სსრ იუსტიციის სახალხო კომისრის 1920 წლის 18 დეკემბრის ბრძანებით<sup>2</sup> ლიკვიდირებულ იქნა დაშნაკური სომხეთის ყველა მანამდე მოქმედი სასამართლო დაწესებულება — სამომრიგებლო სასამართლო, სასამართლო პალატა, სენატი და სხვადასხვა სპეციალური სასამართლოები.

ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ლიკვიდირებული სასამართლო ორგანოების ნაცვლად შექმნილიყო ახალი საბჭოთა სასამართლო, რომელიც მოწოდებული იქნებოდა უზრუნველყო რევოლუციური კანონიერებისა და ფართო მშრომელი მასების ინტერესების უმკაცრესი დაცვა. „ახალი სასამართლო, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — საჭირო იყო უწინარეს ყოვლისა იმ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც ცდილობდნენ აღედგინათ თავიანთი ბატონობა, ან დაეცვათ თავიანთი პრივილეგიები, ან ფარულად გაეპარებიათ, დატყუებით მიეღოთ ამ პრივილეგიათა ესა თუ ის ნაწილი. მაგრამ,

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 542.

<sup>2</sup> Собрание декретов и приказов СССРА 1920—1921 гг. вып. 1, стр. 30, госиздат, 1921 г.

გარდა ამისა, სასამართლოებს, თუ ისინი მართლა მოწყობილია საბჭოთა დაწესებულებების პრინციპის მიხედვით, ეკისრებათ სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს ამოცანაა — მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის უმკაცრესი გატარების უზრუნველყოფა... შრომის დისციპლინისათვის მოსახლეობის აღზრდის უდიდესი ამოცანა“.<sup>1</sup>

იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1920 წლის 22 დეკემბრის ბრძანებით სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე იქმნება სახალხო სასამართლოები.<sup>2</sup> ახალი სასამართლოები იყენენ არჩევითი და მოქმედებდნენ კოლექტიური შემადგენლობით სახალხო მსაჯულთა მონაწილეობით. მათი არჩევა ხდებოდა კლასობრივი პრინციპის მიხედვით — მოსამართლეთა არჩევითობა მხოლოდ მშრომელთა მიერ და თვით მშრომელთა წრიდან.

ბრძანება მოითხოვდა, რომ საგუბერნიო-სამაზრო და საქალაქო რევოლუციური კომიტეტებს სასწრაფოდ წარედგინათ იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის სახალხო მოსამართლეების კანდიდატთა სია, პროფესიულ კავშირებს კი ევალეობდათ სასწრაფოდ შეედგინათ და გაეგზავნათ იუსტიციის სახალხო კომისარიატისათვის სახალხო მსაჯულთა სია იმ ვარაუდით, რომ კავშირის თვითეულ ხუთ წევრს აერჩია ერთი მსაჯული.

ამრიგად, მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად სომეხი ხალხის ისტორიაში პირველად იქნენ ჩაბმულნი რევოლუციური კომიტეტების მიერ არჩეული სახალხო მოსამართლეები მუშათა და მშრომელ გლეხთა წრიდან. მშრომელები პროფესიული კავშირების მიერ არჩეულ სახალხო მსაჯულთა სახით პირველად მონაწილეობენ სახალხო მოსამართლესთან თანაბარი უფლებით ყველა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმის გადაწყვეტაში.

აღნიშნული ბრძანება არ შეიცავდა სახალხო სასამართლოს ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ აქტის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება თვით იმ ფაქტით, რომ რესპუბლიკაში შეიქმნა საბჭოთა სახალხო სასამართლოები.

რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების წარმოშობის დამახასიათებელ მომენტს, როგორც იმდროინდელი ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების შედეგს, წარმოადგენდა ის, რომ სომხეთში ძველი სასამართლოების დამსხვრევა და ახალი სასამართლოების შექმნა გაიშალა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ იქნა სთანადო ბრძანებები. მამასადამე, თვით რევოლუციური მასების ინიციატივით ძველი სასამართლოს ლიკვიდაციისა და მათ მიერ ახალი სასამართლოების შექმნის ისეთ პროცესს, როგორც რსფსრ-ში და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში ხორციელდებოდა, სომხეთში არ ჰქონია ადგილი. ძველი სასამართლოების საქმიანობა ფაქტიურად გრძელდებოდა 1920 წლის 18 დეკემბრამდე, ე. ი. ძველი სასამართლო ორგანოების ლიკვიდაციის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

რესპუბლიკაში ახალი სასამართლოების შექმნა წარმოებდა კლასობრივი ბრძოლის რთულ პირობებში ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების გავრცელებ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 252.

<sup>2</sup> Собрание декретов и приказов ССРА 1920—1921 гг., вып. I, стр. 43, госиздат, 1921 г.



ბის მიხედვით. იუსტიციის სახალხო კომისარიატი თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე შეუდგა დაძაბულ საქმიანობას ახალი ტიპის სასამართლო დაწესებულებების ორგანიზაციასთან დაკავშირებით, თანდათან ანვითარებდა რა ამ საქმიანობას. შესაძლებლობათა ზრდის მიხედვით ცენტრიდან უკიდურესად შორეულ რაიონებამდე. უკვე 1920 წლის დეკემბრის ბოლოსათვის ერევანში მოქმედებდა სახალხო სასამართლო. 1921 წლის დასაწყისში შეიქმნა სახალხო სასამართლოები აგრეთვე ერევნის, ეჩმიადინის, კარაკლისისა და ნორბაიაზეთის მაზრებში, შემდეგ დილიჯანისა და ალექსანდროპოლის მაზრებში, დაბოლოს ლორის მაზრაში. 1921 წლის მაისისათვის სომხეთის სსრ ტერიტორიაზე სასამართლო რაიონების რიცხვი აღწევდა 22-ს, ხოლო უკვე ივლისისათვის მათი რიცხვი 32-მდე გაიზარდა.

რევოლუციური კომიტეტის 1920 წლის 21 დეკემბრის დეკრეტით სომხეთის ტერიტორიაზე გაუქმდა „რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული“ ყველა იმ ცვლილებებით, რომლებიც მასში შეტანილ იქნა დროებითი მთავრობის, ამიერ-კავკასიის სეიმის, დამნაკური პარლამენტისა და მთავრობის მიერ.<sup>1</sup> ვინაიდან პირველ ხანებში, ე. ი. უშუალოდ რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საკანონმდებლო საქმიანობა მხოლოდ იწყებოდა, სომხეთის ტერიტორიაზე, ნაცვლად გაუქმებული კანონებისა, მითითებული დეკრეტის თანახმად, მოქმედებდა ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოტყედილი რსფსრ კანონმდებლობა ყველა იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რომლებიც შეტანილ იქნებოდა მასში სომხეთის რევოლუციური მთავრობის მიერ ახალი სოციალურ-პოლიტიკური პირობების შესაბამისად. გააუქმა რა დამხობილი დამნაკური მთავრობის კანონები და რესპუბლიკაში სამოქმედოდ შემოიღო რსფსრ კანონმდებლობა, რევოლუციურმა კომიტეტმა თავისი დეკრეტით უარყო ოქტომბრამდელი კანონმდებლობა და სცნო მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შედეგად წარმოშობილი კანონები.

მატერიალურ და პროცესუალურ ნორმათა უქონლობისას სოციალისტური მართლშეგნება და სოციალისტური ღირსების ერთადერთი წყარო იყო მოქმედი სამართლისა, რომელიც მუშათა და გლეხთა ფართო მასების სამართლებრივ შეგნებას გამოწვევდა.

1921 წლის 13 ივლისს გამოიცა დებულება სომხეთის სსრ სახალხო სასამართლოს შესახებ.<sup>2</sup> ამ დებულებით პირველად მოხდა რევოლუციის მიერ წამოყენებული იმ პრინციპების გაფორმება, რომლებიც ეხებოდნენ საბჭოთა სასამართლოს ორგანიზაციასა და საქმიანობას. დებულების 22-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ საქმის განხილვის დროს სასამართლოს უნდა გამოეყენებია მხოლოდ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონები, ხოლო მათი არარსებობის ან არასისრულის შემთხვევაში ეხელმძღვანელა თავისი სოციალისტური მართლშეგნებით. დებულება კატეგორიულად კრძალავდა დამხობილ მთავრობათა კანონებზე მითითებას განაჩენებსა და გადაწყვეტილებებში.

ამ დებულების თანახმად, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებდა ერთიანი სახალხო სასამართლო. კანონმდებელი ამით ხაზს უსვამდა იმას, რომ სახალხო სასამართლო რესპუბლიკის ძირითად სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა.

<sup>1</sup> Собрание декретов и приказов ССРА 1920—1921 гг., вып. I, стр. 39, госиздат, 1921 г.

<sup>2</sup> Центральный госархив Арм. ССР, фонд 121, опись 1, дело 3.

საქართველო  
საქართველო

სახალხო სასამართლოს ქვემდებარე იყო ყველა სისხლის სამართლის საქმე (გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც რევოლუციურ ტრიბუნალს ექვემდებარებოდა), დავები ქონებრივი და პირადი უფლებების შესახებ, აგრეთვე ყველა საქმე, რომელიც სასამართლოს გამგებლობას მიეკუთვნებოდა უდავო წარმოების წესით.

სახალხო სასამართლო მოქმედებდა შემდეგი შემადგენლობით: 1) ერთი მუდმივი სახალხო მოსამართლე, 2) მუდმივი სახალხო მოსამართლე და ორი მორიგი სახალხო მსაჯული, 3) მუდმივი სახალხო მოსამართლე და ექვსი მორიგი სახალხო მსაჯული.

მუდმივი სახალხო მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავდა საქმეებს განქორწინების შესახებ და საქმეებს უდავო წარმოების წესით. ამოწმებდა რაიონის საპატრონო ადგილებში პირთა პატიმრობაში ყოლის კანონიერებასა და საფუძვლიანობას და იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირები არასწორად, უკანონოდ იყვნენ პატიმრობაში, ათავისუფლებდა მათ; იგი აგრეთვე მეთვალყურეობას უწევდა საბჭოთა მილიციის ორგანოების მიერ მოკვლევის წარმოებას, აძლევდა რა მათ სახელმძღვანელო მითითებებს, ამტკიცებდა ამ ორგანოები მიერ არჩეულ აღმკვეთ ღონისძიებებს და სხვა.

სახალხო სასამართლო მუდმივი სახალხო მოსამართლისა და ექვსი მორიგი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით იხილავდა საქმეებს ადამიანის სიცოცხლეზე ხელყოფის, მძიმე ჭრილობებისა და დაშავების მიყენების, გაუპატიურების, ყაჩაღობის, ყალბი ფულის ნიშნებისა და დოკუმენტების დამზადების, მექრთამეობის, აგრეთვე მონოპოლიური და ნორმირებული პროდუქტებით სპეკულაციის შესახებ.

ყველა დანარჩენი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეები იხილებოდა მუდმივი სახალხო მოსამართლისა და ორი მორიგი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

სახალხო სასამართლოების საქმიანობის პრინციპები საკმაოდ დემოკრატიული იყო: სასამართლო წარმოება სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებზე ტარდებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა ენაზე; პროცესისათვის დამახასიათებელი იყო ფართო საჯაროობა; ბრალდებული სარგებლობდა დაცვის უფლებით, მნიშვნელოვნად იყო გამარტივებული სასამართლო წარმოება, რაც შეესაბამებოდა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში ჩაბმულ რევოლუციურ ხალხთა მასების მართლშეგნებას.

ამრიგად, სახალხო სასამართლოს შესახებ დებულების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდი იყო, ვინაიდან ამ დებულებით განისაზღვრებოდა რესპუბლიკის სასამართლო სისტემის ძირითადი რგოლის — სახალხო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის ყველა მთავარი საკითხი.

სახალხო სასამართლოს შესახებ დებულების სამოქმედოდ შემოღებასთან ერთად განაჩენებზე, გადაწყვეტილებებსა და სახალხო სასამართლოების მოქმედებებზე, საკასაციო და კერძო საჩივრების განხილვის მიზნით, აგრეთვე აღნიშნულ სასამართლოებზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ერევანში შეიქმნა სომხეთის სსრ სახალხო მოსამართლეთა საბჭო. აღნიშნული საბჭოს პირველი სხდომა შედგა 1921 წლის 7 ივლისს. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს შექმნამდე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1921 წლის 15 აპრილის



№ 59 ბრძანების<sup>1</sup> თანახმად, მისი ფუნქციების განხორციელება დაკისრებული ჰქონდა სამაზრო რეგოლაციურ კომიტეტებთან არსებულ იუსტიციის ბიუროებს, ბრძანებაში სპეციალურად იყო ხაზგასმული, რომ სახალხო სასამართლოების განაჩენები და გადაწყვეტილებები სააპელაციო წესით არ გასაჩივრდებოდა.

სახალხო მოსამართლეთა საბჭოს შემადგენლობა ასეთი იყო: თავმჯდომარე, მისი მოადგილე, საბჭოს მუდმივი წევრები და სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მუშაობაში მორიგეობით ჩაბმული სახალხო მოსამართლეები.

სახალხო მოსამართლეთა საბჭო ქმნიდა პრეზიდიუმს. პრეზიდიუმი შედგებოდა თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მუდმივი წევრებისაგან. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმი ძირითადად იყო რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების საქმიანობაზე კონტროლის ორგანო. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა საკასაციო განხილვისათვის სახალხო მოსამართლეთა საბჭო ქმნიდა ორ კოლეგიას — სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო საჩივრებს კოლეგია იხილავდა შემდეგი შემადგენლობით: პრეზიდიუმის ერთი წევრი და ორი სახალხო მოსამართლე ყველა იმ სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან, რომელნიც სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით მიწვეული იყვნენ სახალხო მოსამართლეთა საბჭოს სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად ვადით ორ კვირამდე. სხდომის თავმჯდომარეობა დაკისრებული ჰქონდა სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრს. სახალხო მოსამართლეთა საბჭოში საქმის მოსმენის დროისათვის იძახებდნენ: დაზარალებულებს, ბრალდებულებს, მხარეებს და იმ პირებს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებზე. მაგრამ აღნიშნულ პირთა გამოუცხადებლობა ვერ შეაჩერებდა საქმის განხილვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სახალხო მოსამართლეთა საბჭო აუცილებლად ჩათვლიდა მათ დასწრებას. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს უფლება ჰქონდა გაეუქმებია განაჩენები და გადაწყვეტილებები, უკეთუ მოქმედი კანონები არსებითად იყო დარღვეული ან არასწორად იყო გამოყენებული, კერძოდ, როცა დარღვეული იყო სასამართლო წარმოების ფორმები, აგრეთვე გამოძიების არასისრულის შემთხვევაში. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს უფლება ჰქონდა გაეუქმებია სახალხო სასამართლოების განაჩენები და გადაწყვეტილებები იმ შემთხვევაშიაც, როცა გასაჩივრებული განაჩენები და გადაწყვეტილებები ამკარად უსამართლო იყო.

სახალხო მოსამართლეთა საბჭო საქმის განხილვისას არ იყო შეზოკილი საკასაციო საჩივრის ფარგლებით და მასში მოყვანილი საბაბებით. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს მითითებანი განაჩენის ან გადაწყვეტილების გაუქმების მოტივების შესახებ სავალდებულო იყო საქმის ახლად განმხილველი სასამართლოსათვის.

სახალხო მოსამართლეთა საბჭოს შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა სასამართლო სისტემის წარმოშობის პირველ პერიოდში. მან განამტკიცა სასამართლო ორგანოები, დაარსა რესპუბლიკაში უმაღლესი სასამართლო-საკასაციო და სასამართლო კონტროლის სასამართლო.

სახალხო სასამართლოები არ იყვნენ გამიზნულნი სავანგებო ღონისძიება-

<sup>1</sup> იხ. გაზეთი Хардагани Айастан, 1921 г. № 102 (7 июля 1921 г.).

თა გამოყენებისათვის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. ვინაიდან დამ-  
ხობილი კლასის წინააღმდეგობა რევოლუციის დასაწყის პერიოდში დაძლეუ-  
ლი არ იყო და კლასობრივმა ბრძოლამ ძალიან გამწვავებული ფორმები მიი-  
ღო, საგანგებო ღონისძიებათა გატარება აუცილებლობას წარმოადგენდა მტრე-  
ბთან წარმატებით ბრძოლისათვის. ამიტომ უშუალოდ რევოლუციის შემდეგ  
კონტრრევოლუციურ, ეკონომიურ და მძიმე თანამდებობრივ დანაშაულებებთან  
საბრძოლველად, რომელნიც საჭიროებდნენ სწრაფ გამოძიებასა და დაუყოფ-  
ნებლივ გადაწყვეტას, სომხეთის რევოლუციური კომიტეტის 1920 წლის 19 დე-  
კემბრის დეკრეტით ერევანში დაარსებული იქნა რევოლუციური ტრიბუნალი,  
ხოლო 1921 წლის 15 იანვარს რევოლუციური კომიტეტისა და იუსტიციის სა-  
ხალხო კომისარიატის ერთობლივი დეკრეტით რესპუბლიკაში შეიქმნა ტრიბუ-  
ნალთა შემდეგი სისტემა:<sup>1</sup>

1) სომხეთის რევოლუციურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკის უმაღ-  
ლესი რევოლუციური ტრიბუნალი.

2) იუსტიციის სახალხო კომისარიატთან არსებული რევოლუციური ტრი-  
ბუნალი.

თვითეული ტრიბუნალი შედგებოდა თავმჯდომარისა და სასამართლოს ოთხი  
წევრისაგან. უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის თავმჯდომარესა და წევ-  
რებს უშუალოდ სომხეთის რევოლუციური კომიტეტი ნიშნავდა, ხოლო რევო-  
ლუციური ტრიბუნალის თავმჯდომარესა და წევრებს ამტკიცებდა რევოლუ-  
ციური კომიტეტი იუსტიციის სახალხო კომისარიატის წარდგინებით.

აღნიშნული დეკრეტის თანახმად რევოლუციურ კომიტეტთან არსებული  
უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალი წარმოადგენდა საკასაციო ინსტანციას,  
რევოლუციური ტრიბუნალის მიერ განხილულ საქმეებზე. ამავე დროს იგი იყო  
პირველი ინსტანციის სასამართლო განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი  
მნიშვნელობის საქმეებზე, რომლებიც მას გადაეცემოდა უშუალოდ სომხეთის  
რევოლუციური კომიტეტის მიერ.

უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენები საბოლოო იყო და მა-  
თი სისრულეში მოყვანა ხდებოდა 48 საათის განმავლობაში, დახვრეტის შესა-  
ხებ განაჩენების გამოკლებით, რომლებსაც ამტკიცებდა სომხეთის რევოლუ-  
ციური კომიტეტი.

სომხეთის რევოლუციურ ტრიბუნალთა ორგანიზაციისა და საქმიანობის  
ძირითადი პრინციპები განისაზღვრებოდა რსფსრ საერთო კანონმდებლობით.  
რომლის საფუძველზედაც სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ 1921  
წლის 27 მაისს გამოსცა დებულება სომხეთის სსრ რევოლუციურ ტრიბუნალ-  
თა შესახებ.<sup>2</sup>

რევოლუციურ ტრიბუნალებს ექვემდებარებოდა საქმეები: 1) კონტრრე-  
ვოლუციურ დანაშაულთა შესახებ, 2) აღრიცხვაზე აყვანილი საქონლითა და  
საგნებით მსხვილი სპეკულაციის შესახებ, 3) იმ პირთა მძიმე თანამდებობრივ  
დანაშაულობათა შესახებ, რომელთაც ბრალი ედებოდათ დატაცებაში, სიყალ-  
ბის ჩადენაში, განწესის უკანონო გაცემაში და სპეკულაციაში ამა თუ იმ სახით  
მონაწილეობის მიღებაში; აგრეთვე სხვა მძიმე თანამდებობრივ დანაშაულთა,  
მათ შორის მექრთამეობის შესახებ, 4) ხელისუფლების აშკარა დისკრედიტა-

<sup>1</sup> Собрание декретов и приказов ССРА 1920—1921 гг., вып. 1, стр. 96, госиздат, 1921 г.

<sup>2</sup> Центральный государственный архив Арм. ССР, фонд 121, опись 1, дело 3.





ციის, დეზერტირთა დაფარვის, აგრეთვე დეზერტირობისათვის წაქეზებებისა და მასში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ტრიბუნალს უფლება ჰქონდა თავის წარმოებაში მიეღო საქმე ყველა სხვა დანაშაულის შესახებაც, უკეთუ იგი მიიჩნეოდა, რომ ეს დანაშაული საშიშროებას წარმოადგენდა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ან მასში დამყარებული წესრიგისათვის.

წინასწარ გამოძიებას იმ საქმეებზე, რომლებიც რევოლუციურ ტრიბუნალს ექვემდებარებოდა, აწარმოებდა საგანგებო კომისიები, განსაკუთრებული განყოფილებები და სხვა ორგანოები, რომელთაც უფლება ჰქონდათ გადაეცათ საქმე ტრიბუნალისათვის.

ტრიბუნალისათვის საქმის უშუალოდ გადაცემის უფლება, გარდა საგამომძიებლო ორგანოებისა, ჰქონდათ აგრეთვე იუსტიციის სახალხო კომისარს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარს და სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს.

შემოსულ საქმეებზე მოხსენებების მომზადებისა და მათზე დასკვნის შედგენისათვის ტრიბუნალებთან ირიცხებოდნენ საგანგებო გამოძიებლები — მომხსენებლები. განსაკუთრებულ შემთხვევებში ტრიბუნალს შეეძლო დაეკისრებია ამ გამოძიებლებისათვის დამატებით საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარება მის (ტრიბუნალის) მიერ წარმოებაში მიღებულ საქმეებზე.

ტრიბუნალის გამოძიებელთა დადგენილებებს დაატიმრების, გაჩხრეკის, ამოღების, პატიმართა გათავისუფლების და აღკვეთი ღონისძიების შეცვლის, აგრეთვე ახალ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ ძალა ჰქონდა მხოლოდ მაშინ, როცა ამ დადგენილებებზე ხელს მოაწერდა ტრიბუნალის თავმჯდომარე-საკითხი სასამართლო განხილვამდე საქმის მოსაპობის შესახებ წყდებოდა ტრიბუნალის განმწესრიგებელ სხდომაზე.

ტრიბუნალს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა მოწმეთა გამოძახებასა და დაკითხვაზე, უკეთუ წინასწარი გამოძიების დროს მათ მიერ მიცემული ჩვენებებო ნათელი იყო; მას შეეძლო შეეწყვიტა სასამართლო გამოძიება ყოველ მომენტში, როცა საქმის გარემოებებს საკმაოდ გარკვეულად მიიჩნეოდა. ტრიბუნალს უფლება ჰქონდა არ დაეშვა ბრალმდებელი და დამცელი, აეკრძალა მხარეთა კამათი.

ამრიგად, რევოლუციის პირველ პერიოდში რესპუბლიკაში შექმნილი იყო სასამართლო აპარატის ორი დარგი — სახალხო სასამართლოები და რევოლუციური ტრიბუნალები. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ გაბატონებული კლასები, რომლებმაც დაკარგეს პოლიტიკური ხელისუფლება, რევოლუციის გამარჯვებისთანავე გაერთიანდნენ კონტრრევოლუციურ ბანაკში და ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე იყენებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციულ ფორმებს. ამიტომ კონტრრევოლუციის დარტყმების მოგერიებისა და ქვეყნის შიგნით მისი სრული განადგურებისათვის აუცილებელი იყო ისეთი ორგანოების შექმნა, რომლებიც შეძლებდნენ სწრაფად გარდაქმნას. საჭირო იყო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლი აპარატის განსაზღვრული მოქნილობა. ასეთ აპარატს წარმოადგენდა იუსტიციის საგანგებო ორგანო — რევოლუციური ტრიბუნალი.

სამოქალაქო ომის დამთავრებისა და შემოქმედებითი მუშაობის მშვიდობიან პირობებზე გადასვლის შემდეგ საგანგებო განსჯადობამ, რომელიც თანდათან იზღუდებოდა, ადგილი დაუთმო სასამართლოს ერთიან სისტემას.

ასეთი იყო საბჭოთა სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების პირველი საორგანიზაციო პერიოდი სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

# სამართლის სისჯავა

დოც. ბ. ინჯკირავლი

სამართლის სისტემის საკითხის დამუშავებას არა მარტო თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე პირობებში, როდესაც დიდი ინტენსივობით წარმოებს სოციალისტური სამართლის სხვადასხვა დარგში საკავშირო კანონმდებლობისა და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების შედგენა-დამტკიცება. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია ყურნალის ფურცლებზე სამართლის სისტემის ცნებისა და მისი შინაარსის საკითხების გაშუქება.

ყოველი ქვეყნის, ყოველი ისტორიული ტიპის სხვადასხვა სახელმწიფოში მოქმედი სამართალი შეიცავს უამრავ სამართლებრივ ნორმებს, ე. ი. ამა თუ იმ გაბატონებული კლასის ნებასურვილის გამომხატველ ადამიანთა სავალდებულო ქცევის წესებს. ეს ნორმები, ქცევის წესები, რომელთა ერთობლიობა კონკრეტული ქვეყნის სამართალს წარმოადგენს, შეეხებიან და არეგულირებენ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებს და, მაშასადამე, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი შინაარსით. სხვადასხვაგვარია აგრეთვე ის ფორმები, რომლებშიც გამოხატულია სამართლებრივი ნორმები.


მაგრამ მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა, ნებისმიერი ისტორიული ტიპის თვითეულ სახელმწიფოში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს ახასიათებს გარკვეული ურთიერთკავშირი და ერთიანობა, ურთიერ განპირობებულობა და შეთანხმებულობა, საერთო საფუძველი და ძირითადი პრინციპები.

ცალკეული ქვეყნის სამართლის ნორმათა ერთიანობა და ურთიერთკავშირი განპირობებულია და აიხსნება შემდეგი გარემოებებით:

პირველ ყოვლისა, წარმოებითი ურთიერთობების ერთიანობით, ეკონომიური წყობილებით, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს საკუთრების გარკვეული ფორმა. როგორც ცნობილია, წარმოებითი ურთიერთობათა ერთობლიობით, საზოგადოების ეკონომიური ბაზისით განისაზღვრება სხვა ზედნაშენური მოვლენებიც. მაგრამ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, სამართლის შესახებ დამატებით ის უნდა ითქვას, რომ ეკონომიური საფუძველი, კონკრეტული ბაზისი განპირობებს შესაბამისი ისტორიული ტიპის თვითეული სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების ერთიანობას და ურთიერთ კავშირს. ამავე დროს ცხადია, რომ ეკონომიური საფუძვლის ერთიანობა განაპირობებს არა მარტო კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი ნორმების ერთიანობას, არამედ აუცილებელს ხდის ერთი და იგივე საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის შიგნით სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ ნორმათა შორის მნიშვნელოვან მსგავსებასაც და საერთო ძირითადი ნიშნების არსებობას.

მეორე გარემოებას, რომლითაც განპირობებულია და აიხსნება თვითეული ქვეყნის სამართლის ნორმათა ერთიანობა და ურთიერთშეთანხმებულობა, წარმოადგენს ამ ქვეყანაში, კონკრეტულ სახელმწიფოში გაბატონებული კლასის ნება-სურვილი, რომელიც განსაზღვრულია ამ კლასის ცხოვრების ისევ მატერიალური პირობებით და რომელიც გამოხატულებას პოულობს სამართალში. გაბატონებული კლასი, რომელიც თავისი სახელმწიფოს შემადგენელია, ადგენს სამართლებრივ ნორმებს, ამ უკანასკნელებში ატარებს თავის კლასობრივ ინტერესებს.

8529



რივ ნება-სურვილს, სავალდებულოდ აცხადებს და სახელმწიფოებრივი იძულებით უზრუნველყოფს ქვეყნის ისეთი წესების შესრულებას, რომლებიც მას მიაჩნია სასურველად. ქვეყნის ყველა ეს წესი, სამართლებრივი ნორმები მიმართულია იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების დაცვის, განმტკიცებისა და განვითარებისაკენ, რომლებიც გაბატონებული კლასისათვის არის ხელსაყრელი. ამის გამო კი, ცხადია, ყველა სამართლებრივი ნორმა, რომელთა კრებადობა ამა თუ იმ ქვეყნის სამართალს შეადგენს, მჭიდრო ურთიერთკავშირითა და შეთანხმებულობით, ხოლო თვით სამართალი მთლიანად, შინაგანი ერთიანობით და საერთო პრინციპებით ხასიათდება.

სხვა გარემოებებიდან, რომლებიც აგრეთვე განაპირობებენ ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმების საერთო თავისებურებებს და ამავე დროს განსხვავებას სხვა, თუნდაც იმავე ისტორიული ტიპის სახელმწიფოთა ნორმების ერთობლიობისაგან, — უნდა აღინიშნოს: სახელმწიფოების ფორმათა სხვადასხვაობა, გაბატონებული კლასის პოლიტიკის გარკვეული თავისებურებანი, აგრეთვე, ზოგჯერ სამართლებრივი ნორმების დადგენაში ქვეყნის ისტორიული ტრადიციები.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიური საფუძველი, გაბატონებული კლასის ნება-სურვილი, სახელმწიფოს ფორმა და ზოგიერთი სხვა გარემოებანი განაპირობებენ ყოველ ქვეყანაში მოქმედ ყველა სამართლებრივ ნორმათა ერთიანობას, ურთიერთკავშირსა და შეთანხმებულობას, მათ გერთიანებასა და მოქმედებას საერთო პრინციპების საფუძველზე. ეს ნორმები და მათთან დაკავშირებული მათი კრებადობა — ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი, შეადგენენ განსაზღვრულ სისტემას, რომელიც აგებულია გარკვეული პრინციპების საფუძველზე და რომელსაც მისთვის დამახასიათებელი შინაგანი სტრუქტურა გააჩნია.

სამართლის სისტემისათვის არა მარტო იურიდიულ ნორმათა შინაგანი ერთიანობა და ურთიერთშეთანხმებულობაა დამახასიათებელი. იმის გამო, რომ ყოველ სახელმწიფოში სამართლის მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი მეტად მრავალფეროვანი და ერთმანეთისაგან განსხვავებულია, სამართლის ნორმებიც, მიუხედავად მათი შინაგანი ერთიანობისა და საერთო პრინციპებზე დაყრდნობისა, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთ-იმეორისაგან და სამართლის საერთო სისტემაში სხვადასხვა ადგილი უკავიათ.

სწორედ ამიტომ, ყოველა სახელმწიფოს სამართლის სისტემა გულისხმობს თავისი კლასობრივი ბუნებით და სახელმძღვანელო პრინციპების თვალსაზრისით ერთიანი სამართლის დაყოფას ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად, განყოფილებებად, ჯგუფებად — სამართლის დარგებად და იურიდიულ ინსტიტუტებად.

სამართლის დარგი ეწოდება თვითეულ ქვეყანაში მოქმედ იურიდიულ ნორმათა გარკვეულ ჯგუფს, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ განსაზღვრულ სფეროს.

სამართლის ცალკეული დარგის არსებობისათვის აუცილებელია, რომ ამ დარგში შემავალი ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი შეიხიბოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ რომელიმე მხარეს და შეადგინდნენ ურთიერთობათა ისეთ სპეციფიკურ კომპლექსს, რომელიც თავისი შინაარსით განსხვავდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვა კომპლექსებისაგან, სხვა სფეროებისაგან, მაგალითად, იმის შესაბამისად, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს შეეხებიან და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საფინანსო, საოჯახო, ადმინისტრაციული და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, — მათი მარეგულირებელი იურიდიული ნორმებიც შეადგენენ ცალ-ცალკე დარგებს: საფინანსო სამართალს, საოჯახო სამართალს, ადმინისტრაციულ სამართალს და ა. შ.

სამართლის სისტემის დანიშნულებაა სამართლის ყოველ დარგში შემავალი ნორმებისა და, მათსადამე, ამ ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს განსაზღვრა, თვითეული დარგის გამიჯვნა სამართლის სხვა დარგებისაგან და ამ დარგებთან მისი ურთიერთკავშირის დადგენა.

მაგრამ სამართლის დარგის შიგნითაც ადგილი აქვს იურიდიულ ნორმათა გარკვეულ დიფერენციაციას და დაყოფას უფრო მცირე ნაწილებად, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობის თვითეული სფეროს ფარგლებში არეგულირებენ ამ ურთიერთობათა უფრო ვიწრო მხარეებს, ერთგვაროვან ჯგუფებს. სამართლის ამგვარი ნორმები შეადგენენ ე. წ. იურიდიულ ანუ სამართლებრივ ინსტიტუტებს.


ამრიგად, სამართლებრივი ინსტიტუტი ეწოდება ისეთი იურიდიული ნორმების ერთობლიობას, რომელიც სამართლის ამა თუ იმ დარგის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ცალკეული სფეროს ერთ კონკრეტულ მხარეს, ერთგვაროვან და ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ ურთიერთობებს. ასე, მაგალითად, სახელმწიფო სამართლის დარგი მოიცავს საარჩევნო სისტემის, მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების, სსრ კავშირის მოქალაქეობის, პოლიტიკური თავშესაფარის უფლებისა და სხვა ინსტიტუტებს; საოჯახო სამართლის დარგი — ქორწინებისა და განქორწინების, შვილად აყვანის, მეურვეობის, მზრუნველობისა და სხვა ინსტიტუტებს; სამოქალაქო სამართლის დარგი — საკუთრების უფლების, მემკვიდრეობის, ვალდებულების უზრუნველყოფისა და სხვა ინსტიტუტებს.

როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს სამართლის სისტემა არ ნიშნავს ერთ სახელმწიფოში მოქმედ ყველა იურიდიულ ნორმათა უბრალო კრებულებას და მექანიკურ შეერთებას. პირიქით, იგი გულისხმობს გარკვეული პრინციპების საფუძველზე ნორმათა დაყოფას და დანაწილებას ცალკეულ დარგებად, ინსტიტუტებად, ამ დარგებისა და ინსტიტუტების განსაზღვრული წესის მიხედვით დაჯგუფებას და დალაგებას, თვითეული დარგისათვის თავისი ადგილის მიჩნებას მოცემულ სახელმწიფოს სამართლებრივ ნორმათა მთელ ერთობლიობაში.

ამრიგად, სამართლის სისტემის შესახებ ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს მისი ზოგადი ცნება: სამართლის სისტემა ეწოდება თვითეული ქვეყნის სამართლის შინაგან სტრუქტურას. რაც საზოგადოების ეკონომიური წყობილებითაა განპირობებული და გამოიხატება საერთო პრინციპების საფუძველზე გაერთიანებული იურიდიული ნორმების დანაწილებაში სამართლის დარგებად და ინსტიტუტებად, ამ დარგებისა და ინსტიტუტების ერთმანეთისაგან გამიჯვნაში და მათ შორის ურთიერთ კავშირის დადგენაში.

მართლის საკუთარი სისტემა დამახასიათებელია ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნის სამართლისათვის, მიუხედავად იმისა თუ განვითარების რა საფეხორზე იმყოფება ესა თუ ის სახელმწიფო, როგორია მისი სამართლის წყაროები. რამდენად დამუშავებულია სამართლის ნორმები და სრულყოფილია მათი გამოხატულების ფორმები. ყველა შემთხვევაში, როდესაც ქვეყანაში არსებობს სახელმწიფო და, მათსადამე, არსებობს სამართალიც, სამართალს განიხილოთ მისი საკუთარი სისტემა, რომლის თავისებურებებს განაპირობებს ის სახელმწიფოს ეკონომიური პირობები და კლასობრივ-პოლიტიკური მოვლენები.

ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოში სამართლის დამოუკიდებელი სისტემის არსებობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, კი არ გამოირიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს, რომ თვითეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმების შიგნით ყველა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს შორისაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მსგავსებაა და რომ ისინი ერთი და იგივე ძირითად



პრინციპებზე არიან აგებულნი. ეს მსგავსება განპირობებულია საერთო ეკონომიური საფუძვლით, საკუთრების ერთი და იგივე ფორმის არსებობით, და გარდა ამისა, სამართლის ერთი და იგივე კლასობრივი ბუნებით. ამდენად, სამართლის ყოველი ისტორიული ტიპისათვის დამახასიათებელია საერთო ეკონომიური საფუძვლითა და კლასობრივი შინაარსით განპირობებული სამართლებრივი სისტემების გარკვეული მსგავსება და საერთო ძირითადი პრინციპები, განსხვავებით სხვა ისტორიული ტიპის სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემებისაგან.

მონათმფლობელური ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისათვის დამახასიათებელ ძირითად პრინციპს წარმოადგენდა თავისუფალი მოსახლეობისა და მონების მკვეთრი დაპირისპირება, სამართლის სუბიექტთა ცნებიდან მონების გამორიცხვა.

ფეოდალური ქვეყნების სამართლებრივი სისტემების ძირითად პრინციპს წარმოადგენდა წოდებრივი უთანასწორობა და აქედან გამომდინარე ყველასათვის საერთო სამოქალაქედ, ადმინისტრაციული, საოჯახო, სისხლის სამართლისა და სხვა დარგების არ არსებობა.

ბურჟუაზიული სამართლის სისტემის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპია ფორმალური თანასწორობა, ინდივიდუალური კერძო საკუთრება და სახელმწიფოსადმი პიროვნების დაპირისპირება. სწორედ საერთო ძირითადი პრინციპები განაპირობებენ თვითეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის შიგნით სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებს შორის არსებულ მსგავსებებს.

ავიღოთ თანამედროვე საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები. თვითეულ ამ სახელმწიფოს სამართლის დამოუკიდებელი სისტემა აქვს სპეციფიკური თავისებურებებით. ასე მაგალითად, საფრანგეთის სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელია დარგების მიხედვით კანონმდებლობის დეტალური დამუშავება და სათანადო კოდექსების არსებობა; ინგლისის სამართლის სისტემა ხასიათდება კონსტიტუციისა და კოდიფიკაციის არარსებობით, სამართლის წყაროდ სასამართლო პრეცედენტის ფართო გამოყენებით და ა. შ.; ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის სისტემა ცნობილია საერთო სახელმწიფოებრივი, ე. წ. ფედერალური და შტატების კანონმდებლობის ერთმანეთში გადახლართვით. მაგრამ მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ისევე როგორც სხვა კაპიტალისტური ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსებაა, მათ ბევრი საერთო სამართლებრივი ინსტიტუტი გააჩნიათ, ვინაიდან ერთი და იგივე ეკონომიურ საფუძველზე არიან აღმოცენებულნი; საკუთრების ერთი და იგივე ფორმას — ბურჟუაზიულ კერძო საკუთრებას ემყარებიან და საერთო ძირითად პრინციპებზე არიან აგებულნი. შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც გარკვეული მსგავსება და საერთო ნიშნები ახასიათებს სხვადასხვა ექსპლოატატორული ისტორიული ტიპის სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებს (მონათმფლობელურს, ფეოდალურსა და ბურჟუაზიულს). ეს მსგავსება განპირობებულია კიდევ უფრო ფართო საერთო საფუძვლით — ექსპლოატატორული საზოგადოებრივი ურთიერთობის სისტემით და, მართალია, სხვადასხვა ფორმის, მაგრამ მაინც კერძო საკუთრებით. ამ თვალსაზრისით საერთო ნიშნებისა და მსგავსების დადგენა შეიძლება მონათმფლობელურისა და ფეოდალური სამართლის, ფეოდალურისა და ბურჟუაზიული სამართლის სისტემებს შორის.

სრულიად სხვა პრინციპებზეა აგებული და არსებითად განსხვავებული ნიშნებით ხასიათდება სოციალისტური სამართლის სისტემა, რომელიც სოცია-

ლისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ასახავს და პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების განხორციელებას ემსახურება.

სოციალისტური სამართლის სისტემის დამახასიათებელი ნიშნები და ძირითადი პრინციპები უფრო მკაფიოდაა გამოხატული საბჭოთა სამართლის სისტემაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დამხობის შემდეგ და რომელიც მსოფლიოში პირველი სოციალისტური სამართლის სისტემას წარმოადგენს. საბჭოთა სამართლის სისტემის ანალოგიური სამართლებრივი სისტემები შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში — ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც წარმატებით ხორციელდება სოციალისტური მშენებლობა, ხოლო ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი სოციალისტური ტიპის სამართალი. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალისტური სამართლის სისტემის თავისებურებანი ყველაზე უფრო ნათლადაა გამოკვეთილი საბჭოთა სამართლის სისტემაში, რომელიც ასახავს უკვე აშენებული სოციალიზმისა და კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობის პროცესში მყოფი ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობებს და, თავის მხრივ, სოციალიზმისა და კომუნისტური ამოცანების განხორციელებას ემსახურება.

საბჭოთა სამართლის სისტემის ძირითადი პრინციპები, არსებითად, სოციალიზმის პრინციპებია — საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება, ჰემმარტი დემოკრატია და ფაქტიური თანასწორობა, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიული შეხამება და ა. შ. სოციალიზმის ზოგადი პრინციპები საერთოა საბჭოთა სამართლის მთელი სისტემისათვის, ისინი განაპირობებენ ამ სისტემის ერთიანობას და მის დაპირისპირებას ექსპლოატატორული ფორმაციების ყოველი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემისადმი.

საბჭოთა სოციალისტური სამართლისა და ექსპლოატატორული სახელმწიფოების სამართლის სისტემებს შორის პრინციპული დაპირისპირების ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენს საბჭოთა სამართლისათვის საჯარო და კერძო სამართლად დაყოფის მიუღებლობა.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში თავიდანვე აღიარებული იყო და ამჟამადაც მიღებულია სამართლის დაყოფა ორ დიდ ნაწილად — საჯარო და კერძო სამართლად.

სამართლის ამგვარი დაყოფა პირველად შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ ძველი რომის იურისტების მიერ. მაგალითად, ცნობილი რომელი იურისტი ულპიანე, რომელიც მოღვაწეობდა ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნის დასაწყისში, ასახულებდა, რომ საჯარო სამართალს მიეკუთვნება ის ნორმები, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესებს გამოხატავენ, ხოლო კერძო სამართალს — ნორმები, რომლებიც კერძო პირთა ინტერესებს იცავენ. ე. ი. საჯარო სამართალში ნაგულისხმევი იყო ის ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ ურთიერთობებს სახელმწიფოს ორგანოთა შორის ან სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის ხელისუფლების განხორციელებისა და მმართველობის პროცესში. კერძო სამართალში კი იგულისხმებოდა ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ მოქალაქეთა შორის უმთავრესად ქონებრივი ხასიათის ურთიერთობებს კერძო საკუთრების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით.

სამართლის დანაწილება საჯაროდ და კერძოდ იმდენად მისაღები აღმოჩნდა გაბატონებული კლასებისათვის, რომ იგი გადმოტანილი იქნა ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაშიც. მართალია, ბურჟუაზიულ იურისტებს შორის (როგორც სხვადასხვა დროს, ისე ერთდამთავრებულ პერიოდში) არ არსებობდა ერთსულოვნება სამართლის ამგვარი დაყოფის დასახულებასა და გამიჯვნის საფუძვლების დადგენაში, მაგრამ ძირითადად ყველა მათგანი იზიარებდა იმ დე-



ბულებას, რომ სახელმწიფოს ინტერესი — საჯარო სამართლის სფეროს ადგენს, რომლის საპირისპირო — კერძო სამართლის სფეროს ცალკეულ პირთა ინტერესები შეადგენენ.

რით არის გამოწვეული და რა დანიშნულება აქვს ბურჟუაზიული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელ დაყოფას კერძო და საჯარო დარგებად? მარქსმა და ენგელსმა ჯერ კიდევ თავიანთ ადრინდელ ნაშრომში „გერმანული იდეოლოგია“ დაასაბუთეს, რომ ე. წ. კერძო სამართალი კერძო საკუთრების პარალელურად განვითარდა და მათ შორის ორგანული კავშირი არსებობს. მამასადამე, სწორედ კერძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე და იარაღებზე შეადგენს საფუძველს კერძო სამართლის შექმნისა და გამოყოფისათვის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

რაც შეეხება ე. წ. საჯარო სამართალს, მისი ნორმები შეეხება სახელმწიფოს საქმიანობასა და თითქოს, ერთი შეხედვით, სცილდება კერძო პირთა, ცალკეულ მესაკუთრეთა ინტერესებს. მაგრამ სინამდვილეში, ვინაიდან ბურჟუაზიული სახელმწიფო გარკვეული ორგანიზაციული ფორმაა, რომლის მეშვეობითაც კაპიტალისტები უზრუნველყოფენ თავისი ინტერესებისა და საკუთრების დაცვას, საჯარო სამართალიც საბოლოო ანგარიშით ისევ კერძო მესაკუთრეთა სამართალს წარმოადგენს, მათ ინტერესებს იცავს, შათი საკუთრების უფლების განხორციელებას უზრუნველყოფს. საჯარო სამართალში გამოხატულებას პოულობს კერძო მესაკუთრეთა საერთო ინტერესები.

კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების იმპერიალიზმამდელ პერიოდში ბურჟუაზიული იურისტების არგუმენტაცია სამართლის კერძო და საჯაროდ დაყოფის დასაბუთებლად შედარებით მარტივი იყო, ვინაიდან სახელმწიფო ნაკლებად ერეოდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. კერძო მესაკუთრეთა, მოქალაქეთა „თავისუფალი“, ეკონომიური ხასიათის ურთაერთობათა მარეგულირებელი ნორმები ცხადდებოდა კერძო სამართლად. შავალითად, ნორმები, რომლებიც აწესებენ „ხელშეკრულებათა თავისუფლებას“, კერძო საკუთრების ფლობისა და განკარგვის თავისუფლებას, მესაკუთრის უფლებას თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთრება და ა. შ. ხოლო კაპიტალისტურ საზოგადოებაში გაბატონებული კლასისათვის სასურველი წესრიგისა და წესების დაცვის ნორმებს, საჯარო სამართალს მიაკუთვნებდნენ, რომელიც მათივე მტკიცებით მთელი საზოგადოების ინტერესებს გამოხატავდა და ზეკლასობრივ კატეგორიას წარმოადგენდა.

იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც თავისუფალ კონკურენციას მონობოლიების ბატონობა ცვლის, როდესაც იმპერიალისტები სულ უფრო ფართოდ იყენებენ სახელმწიფოს თავიანთი ეკონომიკურ-ანგარებითი, კერძო-მესაკუთრული ინტერესების განსახორციელებლად და ადგილი აქვს მსხვილი მონობოლიების მიერ სახელმწიფო აპარატის დამორჩილებას, — საჯარო და კერძო სამართალს შორის ზღვარი ბურჟუაზიული იურისპრუდენციისთვისაც ძნელი დასადგენი ხდება. ფაქტიურად ეს ზღვარი იშლება და მკვეთრად გასარჩევ არ არის, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში მაინც რჩება განსხვავება იმ ნორმებს შორის, რომლებიც ცალკეულ მესაკუთრეთა კერძო ინტერესებს შეეხებიან (კერძო სამართალი) და იმ ნორმებსა, რომლებიც გაბატონებულ კლასად ორგანიზებული კაპიტალისტების საერთო ინტერესებს გამოხატავენ (საჯარო სამართალი).

სოციალისტური სამართლის სისტემისათვის, კერძოდ, საბჭოთა სამართლისათვის სრულიად მიუღებელი და უცხოა დაყოფა საჯარო სამართლად და კერძოდ სამართლად. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციისა და სოცია-

ლისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარების პირობებში, საფუძველი გამოეცალა წინააღმდეგობებს ცალკეული ინდივიდის ინტერესებსა და საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს შორის, მამასადამე, საფუძველს მოკლებული გახდა სამართლის დაყოფა კერძოდ და საჯაროდ.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ პერიოდში, 1922 წელს ვ. ი. ლენინი თავის წერილში კურსკისადმი ასაბუთებდა ამგვარი დაყოფის უსაფუძვლობას საბჭოთა სამართლისათვის და წერდა: „ჩვენ არაფერს „კერძოს“ არ ვცნობთ, ჩვენთვის ყველაფერი მეურნეობის დარგში საჯარო-სამართლებრივია და არა კერძო. ჩვენ ვუშვებთ მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალიზმს... აქედან გავაფართოოთ „კერძო სამართლებრივ“ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევას გამოყენება, გავაფართოოთ სახელმწიფოს უფლება გააუქმოს „კერძო“ ხელშეკრულებანი, გამოვიყენოთ „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის“ მიმართ არა *corpus juris romani*, არამედ ჩვენს რევოლუციური სამართლებრივი შეგნება...“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 36, გვ. 645).

ვ. ი. ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ მეურნეობის დარგში ჩვენში ყველაფერი საჯარო-სამართლებრივია და არა კერძო, ისეთნაირად არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს ბურჟუაზიული სამართლისათვის დამახასიათებელი ტრადიციული დაყოფიდან საჯაროდ და კერძოდ, სოციალისტურ სახელმწიფოში მხოლოდ კერძო სამართალი ისობა, ხოლო საჯარო კი იმავე სანით რჩება, ან თითქოს საჯარო სამართალი შთანთქავს კერძოს. სინამდვილეში საბჭოთა სოციალისტურ სამართალში არ არის არც კერძო სამართალი და არც საჯარო იმ გაგებით, როგორც იგი განმარტებულია ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში. ამის მიზეზი ისაა, რომ სოციალისტური წყობილების პირობებში არ არსებობს წინააღმდეგობა მთლიანად საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებსა და საზოგადოების ცალკეულ წევრთა, მოქალაქეთა ინტერესებს შორის.

სოციალისტურ საზოგადოებაში პიროვნების ინტერესები კი არ ეწინააღმდეგება მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს, არამედ, პირიქით, მათ შორის ჭეშმარიტი ერთიანობაა დამყარებული; პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები უერთმანეთოდ წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სოციალისტური სამართალი მთლიანად თავისი ნორმებით უზრუნველყოფს როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების ინტერესების დაცვას და მისი დაყოფა საჯარო და კერძო სამართლად ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

სოციალისტური სამართლის სისტემაში შემავალი თვითეული დარგი (იქნება ეს საბჭოთა სახელმწიფო სამართალი და ადმინისტრაციული სამართალი, თუ სამოქალაქო სამართალი და საოჯახო სამართალი) ისეთი ნორმებისაგან შედგება, რომელთა დანიშნულებაა ერთდამავე დროს მოქალაქეთა პირადი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და საზოგადოების საერთო ინტერესების, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების განხორციელება, ე. ი. იმ საზოგადოების ინტერესებისა, რომლის აქტიურ მშენებლებს თვითონ მშრომელები, საბჭოთა მოქალაქეები წარმოადგენენ, იმ სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებისა, რომლის განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობენ და გადაწყვეტ როლს ასრულებენ თვითონ მშრომელები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საბჭოთა სოციალისტური სამართლის სისტემა არ შეიძლება აგებული იყოს ბურჟუაზიული სამართლის სისტემის მსგავსად, სახელდობრ, იგი არ შეიძლება დამყარებული იყოს სამართლის დაყოფაზე საჯარო და კერძო სამართლად.

მაშ, რა უნდა დაედოს საფუძვლად საბჭოთა სოციალისტური სამართლის სისტემის აგებას, რით უნდა განისაზღვრებოდეს საბჭოთა სამართლის სისტემის თავისებური სტრუქტურა, როგორი კრიტერიუმი უნდა გამოინახოს დარ-





გებად საბჭოთა სამართლის დაყოფისა და ამ დარგების ერთმანეთისაგან გამიჯვნისათვის?

სოციალისტური სამართლის სისტემის საკითხი ფართო განხილვის საგანს წარმოადგენდა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. ამ საკითხის თეორიული დამუშავება დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დასაწყის პერიოდში, პირველი საბჭოთა კოდექსების შემუშავების აუცილებლობასთან დაკავშირებით. სამამულო ომის წინა წლებში საბჭოთა სამართლის სისტემის პრობლემა დეტალური განხილვის ობიექტად იქცა საბჭოთა სამართლის მეცნიერების მუშაკთა საკავშირო თათბირზე 1938 წელს, ხოლო თათბირის შემდეგ სამართლის სისტემის საკითხებზე მოწყობილ სპეციალური დისკუსიის პროცესში. ამ დისკუსიის შედეგები შეჯამებულ იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის მიერ. უკანასკნელ დროს კიდევ ერთი დისკუსია სამართლის სისტემის საკითხებთან დაკავშირებით მოეწყო ჟურნალ „Советское государство и право“-ს ფურცლებზე 1956—1958 წლებში.<sup>1</sup>

უკვე 1938 წლის დისკუსიის შედეგად საყოველთაოდ აღიარებულად და დადასტურებულად ჩაითვალა ის დებულება, რომ საბჭოთა სამართალი არ შეიძლება იყოფოდეს საჯაროდ და კერძოდ და მას ექსპლოატატორული სამართლებრივი სისტემებისაგან პრინციპულად განსხვავებული სისტემა გააჩნია, რომ ერთიანი მთელი საბჭოთა სამართალი სხვადასხვა კონკრეტულ დარგებად იყოფა. მაგრამ ამავე დისკუსიაზე და ნაწილობრივ 1956—58 წლების დისკუსიის დროსაც სამართლის მეცნიერების მუშაკთა შორის არ იყო ერთსულოვნება იმ საკითხში, თუ რა უნდა დაედოს საფუძვლად საბჭოთა სამართლის კლასიფიკაციის დარგებად, როგორია ჩვენი სამართლის დარგებად და ინსტიტუტებად დაყოფის კრიტერიუმი.

ამ საკითხის ირგვლივ ძირითადად ორი მოსაზრება არსებობდა. იურისტების ერთი, შედარებით მცირე ჯგუფი თვლიდა, რომ ცალკეულ დარგებად საბჭოთა სამართლის დაყოფას და მაშასადამე, სამართლის სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს სამართლებრივი რეგულირების მეთოდი, ე. ი. საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს იმის მიხედვით თუ რა წესით, როგორ ხდება სამართლებრივი ნორმების მიერ სათანადო საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება.

იურისტების მეორე ჯგუფი კი, უმრავლესობა, თვლიდა, რომ სამართლის კლასიფიკაცია დარგებად უნდა ხდებოდეს, და მაშასადამე, სამართლის სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს სამართლებრივი რეგულირების საგანი, ე. ი. საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს იმის მიხედვით, თუ რომელ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რა შინაარსისა და ხასიათის ურთიერთობებს არეგულირებენ ესა თუ ის სამართლებრივი ნორმები.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურაში ამ საკითხზე გამოთქმული იყო სხვა მოსაზრებებიც: სახელდობრ ის, რომ სამართლის დარგების საკლასიფიკაცია ნიშნად უნდა ჩაითვალოს როგორც სამართლებრივი რეგულირების საგანი, ასევე სამართლებრივი რეგულირების მეთოდიც

<sup>1</sup> იხ. „Система Советского социалистического права (Тезисы)“. Юриздат, Москва, 1938.

(ლ. ს. იავიჩი და სხვ.),<sup>1</sup> ან კიდევ, რომ სამართლის დარგების კლასიფიკაციისათვის ძირითადი და გადამწყვეტი კრიტერიუმი სამართლებრივი რეგულირების საგანი, ხოლო რეგულირების მეთოდს საგულისხმო, მაგრამ მაინც დაქვემდებარებული მნიშვნელობა აქვს (ი. ვ. პავლოვი და სხვ.).<sup>2</sup>

იმისათვის, რომ მოყვანილი მოსაზრებების სრულყოფილობაზე ვიმსჯელოთ და სამართლის დარგების საკლასიფიკაციო ნიშნის შესახებ სწორი დასკვნები გავაკეთოთ, მოკლედ უნდა შევჩერდეთ იმ საკითხებზე თუ რას წარმოადგენს ან რით ხასიათდება სამართლებრივი რეგულირების საგანი და როგორია ან როგორი შეიძლება იყოს სამართლებრივი რეგულირების მეთოდები.

ჩვენ ვიცი, რომ სამართლის თვითეული ნორმა, ისე როგორც მთლიანად სამართალი, გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად არეგულირებს გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომ ამ ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოადგენენ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელთა მონაწილეებს ერთიმეორის მიმართ გააჩნიათ სამართლის ნორმებითვე განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი. აქედან გამომდინარე სამართლებრივი რეგულირების საგანს სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოადგენს ის ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგება ხდება საბჭოთა სამართლის ნორმების მეშვეობით. ეს ურთიერთობები მეტად მრავალფეროვანია — პოლიტიკური და ადმინისტრაციული ხასიათის, სამეურნეო, შრომითი და ქონებრივი, საოჯახო — საქორწინო ხასიათისა და ა. შ. ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ სფეროებს მიეკუთვნებიან და ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა მხარეებთან არიან დაკავშირებული.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლის ნორმების მეშვეობით მოწესრიგება საბჭოთა სახელმწიფოში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა წესით, განსხვავებული გზებითა და საშუალებებით წარმოებს, ე. ი. სამართლებრივი რეგულირების მეთოდები სხვადასხვანაირია. ამ თვალსაზრისით სამართლებრივი რეგულირების მეთოდები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ სუბიექტების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათით: მაგალითად, თვითონ ადგენენ კანონით დაწესებულ ფარგლებში თავიანთ უფლება-მოვალეობების შინაარსს („მხარეთა თანასწორობა“, „ავტონომია“) თუ ერთი მხარე უწყებს მეორეს მოქმედებისა და ქცევის შინაარსს („მბრძანებლობა“). რეგულირების მეთოდებს შორის განსხვავება შეიძლება გამოახატოს აგრეთვე მხარეთა უფლებების დაცვასა და მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფის გზების თავისებურებებში (დისციპლინური, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლებრივი წესით) და ა. შ.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ორივე პრინციპის განხილვის შედეგად ნათელი ხდება, რომ საბჭოთა სამართლის სისტემის აგებისა და ცალკეულ დარგებად მისი დაყოფის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს სამართლებრივი რეგულირების საგანი და არა სამართლებრივი რეგულირების მეთოდი.

ამრიგად, დარგებად და ინსტიტუტებად სოციალისტური სამართლებრივი ნორმების დაყოფისა და ამ დარგებისა და ინსტიტუტების ერთიმეორისაგან გამიჯვნის საფუძველს სამართლებრივი რეგულირების საგანი წარმოადგენს. რაც შეეხება სამართლებრივი რეგულირების მეთოდს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის სისტემის მეცნიერული ანალიზისა და თვითეულ დარგში

<sup>1</sup> იხ. ჟურნალი „Советское государство и право“, 1956, №№ 8, 9, 10 და სხვ., 1957. №№ 1, 3, 4, 5, 6, 7 და სხვ., 1958 №№ 1, 11,

<sup>2</sup> იხ. კრებული „Вопросы общей теории Советского права“, Госюриздат, М. 1960 г. 44—66.

იხ. ჟურნალი „Советское государство и право“ 1958 № 11, გვ. 7.

თუ ინსტიტუტში შემავალი ნორმების და მათ მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების თავისებურებათა გარკვევაში, — მაგრამ საბჭოთა სამართლის სისტემის საკლასიფიკაციო ნიშნად იგი არ გამოდგება. სხვა რომ არაფერი ითქვას, საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ერთი და იგივე დარგისათვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს სამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა მეთოდები, ან კიდევ ერთი რომელიმე მეთოდი გამოყენებული იყოს სამართლის სხვადასხვა დარგში. სამართლებრივი რეგულირების მეთოდების ცოდნა და გათვალისწინება აუცილებელია სამართლის დარგების დახასიათებისათვის, მაგრამ სამართლის სისტემის აგების საფუძველი სამართლებრივი რეგულირების საგანია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ჩამოვყალიბოთ საბჭოთა სამართლის სისტემის შემდეგი განსაზღვრა. საბჭოთა სამართლის სისტემა ეწოდება სამართლის შინაგან სტრუქტურას, რაც სოციალიზმის ეკონომიური წყობილებითაა განპირობებული და გულისხმობს ერთიანი სოციალისტური სამართლის ნორმების დაყოფას დარგებად და ინსტიტუტებად, მათ მიერ რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათისა და თავისებურებების შესაბამისად.

ამჟამად მოქმედი საბჭოთა სამართლის სისტემა შემდეგ ძირითად დარგებად იყოფა: საბჭოთა სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საფინანსო სამართალი, მიწის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, საკოლმეურნეო სამართალი, საოჯახო სამართალი, სისხლის სამართალი, პროცესუალური სამართალი.



## საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედო შემაჯავებთან დაკავშირებული ზომიერი სკიზის შესახებ

### 3. მანისურაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული  
განყოფილების გამგე

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ კოდექსების ცხოვრებაში სწორად გატარება უზრუნველყოფს დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერებას და საბჭოთა მართლმსაჯულების შემდგომ განმტკიცებას. კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 1961 წლის 1 მარტიდან, ე. ი. რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლის მომენტიდან, ძალადაკარგულად ჩათვლიყო სსრ კავშირის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი. ამ მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 26 იანვრის წარდგინების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 28 თებერვალს მიიღო ბრძანებულება და ძალადაკარგულად ჩათვალა მთელი რიგი აქტები (მაგ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“, 1955 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის შესახებ“ და სხვები).

ბრძანებულებასთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედო შემოღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების თანახმად, 1961 წლის 1 მარტიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან ძალადაკარგულად ცნობილი საკავშირო კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, საჭიროა შესაბამისობაში მოიყვანონ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალ კოდექსთან, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებული სასჯელები უფრო მსუბუქია. ამასთან, აღნიშნული დადგენილებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ნება დაერთო 1960 წლის 30 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ სასჯელის ზომის შემსუბუქება არ გაავრცელოს იმ პირებზე, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე, თუ განაჩენები ამ პირთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული იყო 1961 წლის 1 მარტამდე, ე. ი. საქართველოს სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლამდე.

როგორც ცნობილია, აღნიშნული საკითხი სხვაგვარად იყო გადაწყვეტილი 1960 წლის კანონის — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ მეორე მუხლით. იქ ლაპარაკი იყო იმ პირებზე, რომლებიც მსჯავრდებული იყვნენ 1958 წლის 25 დეკემბრამდე და არა ახალი კოდექსის ძალაში შესვლამდე. და, გარდა ამისა, კანონის უუქუცევითი ძალა ვავრცელებული იყო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე, რაც ამჟამად შეიცვალა. ანალოგიური ცვლილებები გატარდა ასევე რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსისა (რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 20 იანვრის ბრძანებულება) და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებთან დაკავშირებითაც. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნული და კოდექსის სამოქმედო შემოღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები გადაწყვიტა თავისი 1961 წლის 1 მარტის ბრძანებულებით.

როგორც ცნობილია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მეექვსე მუხლის და საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად, ქმედობის დანაშაულებრივობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებს ამ ქმედობის ჩადენის დროს. კანონს, რომელიც აუქმებს ქმედობის დასჯადობას, აქვს უკუქცევითი ძალა, ესე იგი ვრცელდება იმ ქმედობაზეც, რომელიც ჩადენილია მის გამოცემამდე. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელისაგან გათავისუფლებას ექვემდებარებიან ის პირნი, რომლებიც მსჯავრდებული არიან 1961 წლის 1 მარტამდე საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსით და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედ სხვა სისხლის სამართლის კანონებით იმ ქმედობისათვის, რაც ახალი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად სისხლის სამართლის წესით დასჯადად აღარ ითვლება. გარდა ამისა, უკეთეს მსჯავრდებულები ახალი კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ სასჯელს იხდიან ადრე მოქმედ კანონებით და მათ მიმართ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი უფრო მკაცრია, ვიდრე ეს ამჟამად მოქმედი კოდექსის სათანადო მუხლითაა გათვალისწინებული, სასჯელები მათ მიმართ შესაბამისობაში მოყვანილი უნდა იქნას ახალი კოდექსის მიხედვით.

სასჯელის ზომების შემცირება უნდა მოხდეს სასჯელის იმ მაქსიმალურ ზომამდე, რაც საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლითაა გათვალისწინებული. მაგალითად, პირს პირველად ჩადენილ დანაშაულისათვის (კერძოდ, მსხვილი ოდენობით სპეკულაციისათვის) 1957 წელს, ადრე მოქმედი კოდექსის 142 მუხლით მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით. ვინაიდან ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 165 მუხლით აღნიშნული მოქმედებისათვის სასჯელის ზომად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ორიდან შვიდ წლამდე. მას სასჯელი უნდა შეუმცირდეს ამ მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმამდე, ე. ი. შვიდ წლამდე. ის პირები, რომლებიც საერთოდ იქნებიან გათავისუფლებულები სისხლის სამართლის სასჯელისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი კოდექსით მათ მიერ ადრე ჩადენილი ქმედობა დანაშაულის შემადგენლობას აღარ ვეაძლევს, მიჩნეულ უნდა იქნენ ნასამართლობის არ მქონებელად, თუმცა ისინი ვერ ჩაითვებიან რეაბილიტირებულებად, რამდენადაც მათი გასამართლება თავის დროზე სწორი იყო და ამჟამად მხოლოდ სასჯელის მოხდისაგან თავისუფლებიან და უფლებბრივად შეიძლება გათანაბრებულ იქნან ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლებულ პირებთან.

ზემოაღნიშნული კატეგორიის პირების მიმართ სასამართლოების, წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და მოკვლევის ორგანოების წარმოებაში მყოფი საქმეები ექვემდებარებიან შეწყვეტას.

სასამართლოები საკითხს სასჯელისაგან გათავისუფლების, სასჯელის ზომის შემცირების ან საქმის შეწყვეტის შესახებ განიხილვენ სასამართლო სხდომებზე პროკურორის მონაწილეობით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 380 მუხლი).

სასჯელისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის ზომის შემცირების საკითხს იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ და სასჯელს იხდიან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 379 მუხლის შესაბამისად განიხილავს ის სასამართლო, რომლის სამოქმედო რაიონშიც მოთავსებულია სასჯელის მოხდის ადგილი. მაგალითად, პირი მსჯავრდებულია დუშეთის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ, ხოლო სასჯელს იხდის რუსთავში, საკითხი განხილული უნდა იქნეს რუსთავის სახალხო სასამართლოში. უკეთეს პირი მსჯავრდებულია საქართველოს სსრ სასამართლოს მიერ, დაუშვით კიათურის სახალხო სასამართლოს მიერ, მაგრამ სასჯელს იხდის საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგალითად, რსფსრ რომელიმე ოლქში, საკითხი უნდა განიხილოს კიათურის სახალხო სასამართლომ ან მისმა ზემდგომმა — საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ. საკითხის განხილვისათვის საჭიროა შესაბამის სასამართლოში იყოს მსჯავრდებულის შესახებ საჭირო მონაცემები. ამ მონაცემების წარდგენა, დამოუკიდებლად მათი სამყოფელი ადგილისა, დავალებული აქვთ განაჩენის აღმსრულებელ ორგანოებს.

გამომდინარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 11 მაისის დადგენილებიდან, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედო შემოღების წესი, რაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-

დიუმის მიერ ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებიც მსჯავრდებული არიან სამხედრო ტრიბუნალების მიერ. სამხედრო ტრიბუნალების მიერ მსჯავრდებულ პირთა მიმართ ახალი კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით სასჯელისაგან გათავისუფლებას ან სასჯელის მოყვანას ახალ კოდექსთან შესაბამისობაში ახდენენ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის ადგილის უახლოესი გარნიზონების სამხედრო ტრიბუნალებით, ხოლო თუ საქმე სამხედრო ტრიბუნალის წარმოებაშია, ახალი კოდექსის სამოქმედო შემოღებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს და გადაწყვეტს აღნიშნული სამხედრო ტრიბუნალი.

ამ ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით, სასჯელისაგან გათავისუფლების ან შემცირების შემთხვევებში, წამოიჭრება საკითხი სისხლის სამართლის სასჯელის სახით აღნიშნული ქონების კონფისკაციის ან ჯარიმების გადახდევინების შესახებ. ქონების კონფისკაცია და ჯარიმის გადახდევინება არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მიხედვით ქონების კონფისკაცია და ჯარიმის დადება მოცემული ქმედობისათვის გათვალისწინებული არ არის და განაჩენი ქონების კონფისკაციისა და ჯარიმის გადახდევინების ნაწილში მოყვანილი არ იყო სისრულეში 1961 წლის 1 მარტამდე, ე. ი. ქონება არ იყო ჩამორთმეული და ჯარიმა არ იყო გადახდევინებული.

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ ახალი კოდექსის შესაბამისად არ უნდა გავრცელდეს სასჯელების შემსუბუქება. თუმცა საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 44 მუხლი იძლევა განსაკუთრებულ საშიშ რეციდივისტად ცნობისათვის დამახასიათებელ აუცილებელ პირობებს, მაგრამ საბოლოოდ ამ საკითხს, ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების სასიათისა და ხარისხის, ასევე დამნაშავეს პიროვნებისა და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, წყვეტს სასამართლო. ამიტომ ადრე მსჯავრდებულ პირთა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საკითხი განვიხილულ უნდა იქნას: ა) მათ მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ და სასჯელს იხდიან საქართველოს ტერიტორიაზე, სასამართლოების მიერ სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, ხოლო ბ) მათ მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, იმ სასამართლოების მიერ, რომელთაც განაჩენი გამოიტანეს ან სათანადო შემდგომი სასამართლოების მიერ. აღნიშნული საკითხი სასამართლო სხდომებზე განიხილება პროკურორის მონაწილეობით; სასამართლო სხდომებზე შეიძლება გამოძახებულ იქნას მსჯავრდებული და შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი. სასამართლოს განჩინება ვასაჩივრებას არ ექვემდებარება, მაგრამ შეიძლება გაპროტესტებული იქნას პროკურორის მიერ.

როგორც ჩანს, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საკითხს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, იხილავს იგივე სასამართლო, რომელიც არსებითად განიხილავს სასჯელისაგან გათავისუფლების ან შემსუბუქების საკითხს.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, სასჯელების შემსუბუქება არ უნდა გავრცელდეს იმ პირების მიმართ, რომლებიც ადრე მსჯავრდებული არიან ყაჩაღობისათვის. მაგრამ დაუშვათ, რომ პირი მსჯავრდებული იყო 1961 წლის 1 მარტამდე ისეთი ყაჩაღობისათვის, რაც ახალი კანონმდებლობით ითვლება არა ყაჩაღობად, არამედ გაძარცვად. მაგალითად, მოქ. პ. 10 წლით იყო მსჯავრდებული მოქალაქეთა ქონების დატაცებისათვის, რასაც თან სდევდა ისეთი ძალადობა, რაც საშიში არ იყო დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ არალოგიური დანაშაულისათვის მოქმედი კოდექსის 151 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა მაქსიმუმ ვადით ექვს წლამდე, სასჯელები მათ არ უნდა შეუმსუბუქდეთ, ვინაიდან ამ შემთხვევაში შეზღუდვის დაწესები-

1 რსდსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წ. 21 იანვარს აღნიშნული საკითხი გადაწყვიტა სხვანაირად — მიუხედავად იმისა სად იხდის მსჯავრდებული სასჯელს — რესპუბლიკის ფარგლებში თუ მის გარეთ, რეციდივისტად ცნობის საკითხი უნდა განიხილოს სასამართლომ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით. ასე რომ, თუ პირი სასამართლოებუ-ლია რუსეთის ტერიტორიაზე და სასჯელს იხდის სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რსდსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ერთი მხრივ რეციდივისტად ცნობისა და მეორე მხრივ სასჯელისაგან გათავისუფლების ან შემსუბუქების საკითხი უნდა გადაწყვიტოს სხვადასხვა რესპუბლიკის სასამართლომ.

სას კანონმდებელს უთუოდ მხედველობაში ქონდა ყაჩაღობის ის ცნება, რაც ადრე არსებობდა. ამიტომ ამ საკითხს ფორმალური კრიტერიუმით უნდა მივუღებთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 1 მარტის ბრძანებულების შესრულებისას სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებად მიჩნეული უნდა იქნას ერთი პირის ან ჯგუფის მიერ ჩადენილი დატაცება თანხით 2.500 მანეთის ზევით (ფასების ახალი მასშტაბით). შესაძლებელია მსჯავრდებული ცნობილი იყოს დამნაშავეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეორე ან მეოთხე მუხლებით, მაგრამ დატაცებული თანხა არ აღემატებოდეს 2500 მანეთს და ამდენად მის მიმართ სასჯელის შემცირება უნდა გავრცელდეს. ასე რომ ეს თანხა ამ შემთხვევაში დაწესებულია მხოლოდ 1961 წლის 1 მარტის ბრძანებულების გამოყენებასთან დაკავშირებით და არა კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის.

შესაძლებელია გამოძიებაში იყოს საქმეები ისეთ ქმედობათა შესახებ, რომლებისთვისაც ახალი კოდექსით ვათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე ძველით, ხოლო დანაშაული ჩადენილია ადრე. მაგალითად, ადრე მოქმედი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 145 მუხლით განზრახ მკვლელობა, უკეთეს იგი არ შეიცავდა სსკ 144 მუხლით მოცემულ დამამძიმებელ ნიშნებს, ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ხოლო ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი 105 მუხლი კი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან თორმეტ წლამდე, გადასახლებით ან უამისოდ, ე. ი. ამჟამად ეს მოქმედება ისჯება უფრო მკაცრად. ასეთ შემთხვევებში, როგორც გამოძიებაში, ისე სასამართლოებში უნდა გამოიყენონ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი, ვინაიდან საერთო წესით კანონს, რომელიც ამძიმებს ქმედობის დასჯალობას, უკუქცევითი ძალა არა აქვს.

## სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები

### ა. პარანამე

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები მძლავრი ტემპებით ახორციელებენ სოციალიზმის მშენებლობას. უკანასკნელ წლებში მათ მიერ მოპოვებულია დიდი გამარჯვებები სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. მუშების, გლეხებისა და სახალხო ინტელიგენციის გამირული შრომით სოციალიზმი უკვე აშენებულია ბულგარეთში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში. შორს არ არის ის დრო, როცა ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია დამკვიდრდება სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე ამ ქვეყნების გადასვლის ისტორიული ამოცანის გადაჭრაში სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო და სამართალი პირველხარისხოვან როლს ასრულებს. განსაკუთრებით დიდია მნიშვნელობა, კერძოდ, სახალხო რესპუბლიკების კონსტიტუციებისა. წარმოადგენენ რა ზედნაშენის შემადგენელ ნაწილს, განამტკიცებენ და ადგენენ რა მშრომელი მასებისათვის სასურველ და ხელსაყრელ წესრიგს, ამ ქვეყნების ძირითადი კანონები ხელს უწყობენ ახალი, სოციალისტური ბაზისის ფორმირებას, მრავალწილობიანობის დაძლევისა და სოციალისტური სექტორის განუყოფელი ბატონობის დადგენას, სოციალიზმის სრულ გამარჯვებას.

სახალხო დემოკრატიული კონსტიტუციები საკანონმდებლო წესით განამტკიცებენ ამ რესპუბლიკების ახალ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობას, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ორგანოთა აგებულობისა და საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე საარჩევნო სისტემის ძირითად პრინციპებს.

სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების კონსტიტუციები ადგენენ სოციალისტური სამართლის სხვადასხვა დარგის ძირითად საწყისებს და მთელი მიმდინარე კანონმდებლობის იურიდიულ ბაზას ქმნიან.

სახალხო-დემოკრატიული კონსტიტუციების მიღება უმნიშვნელოვანესი რევოლუციური აქტი იყო, რომლითაც საკანონმდებლო წესით გაფორმდა ანტი-სახალხო რეჟიმების ლიკვიდაცია, ძალაუფლების გადასვლა ხალხის ხელში. მათი შემუშავება და დამტკიცება, რასაც თან ახლდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, სოციალიზმის ძალების კიდევ ერთი სერიოზული გამარჯვება იყო რეაქციის ძალებზე.

კომუნისტური და მუშათა პარტიების ინიციატივით, კონსტიტუციები მათ დამტკიცებამდე, როგორც წესი, გულმოდგინე საყოველთაო სახალხო განხილვის საფაზის იყო და მათში სათანადო ასახვა ჰპოვა მშრომელთა მიერ გამოთქმულმა შენიშვნებმა და სურვილებმა. ამ ქვეყნების არსებობის ისტორიულ-ძირითადმა კანონმა პირველად გამოხატა მშრომელი ადამიანის ნამდვილი ნიშნის ძირითადი განსხვავება სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების კონსტიტუციებისა ყოველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს კონსტიტუციისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არიან ჭეშმარიტად სახალხო კონსტიტუციები. რომლებიც საკანონმდებლო წესით განამტკიცებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით მშრომელთა უდიდეს ისტორიულ მონაპოვრებს.



იურიდიულად აფორმებენ ხალხისათვის ხელსაყრელი და სასურველი წესწყობილების შექმნას.

კონსტიტუციები განამტკიცებენ პროლეტარიატის დიქტატურას სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმით. ისინი ადგენენ, რომ სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკები — მშრომელებს, მუშებისა და გლეხების სახელმწიფოებია, სადაც მთელი ძალაუფლება ხალხიდან გამომდინარეობს და ხალხს ეკუთვნის.

წამყვან როლს საზღვარგარეთის სოციალისტურ ქვეყნებში ასრულებს მუშათა კლასი. იგი უკვე აღარ არის დაჩაგრული, უსინდისოდ ექსპლოატირებული, წარმოების იარაღებსა და საშუალებებს მოკლებული, შესაძლებელი უმუშევრობის წინაშე მუდამ მთრთოლვარე წინანდელი პროლეტართა კლასი. ახლა ის მმართველი კლასია, რომელიც ახორციელებს საზოგადოებაზე სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ფლობს დანარჩენ მშრომელებთან ერთად წარმოების ძირითად იარაღებსა და საშუალებებს. მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით, მშრომელთა ბედნიერი ცხოვრების ინტერესებისათვის, იგი ახორციელებს თავის დიქტატურას, რომლის უმაღლეს პრინციპს წარმოადგენს მუშათა და გლეხთა კავშირი, მუშათა კლასის ხელმძღვანელობით ამ კავშირში. მუშათა კლასისა და მისი მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელი როლი პირდაპირ ასახვას პოულობს რიგ ძირითად კანონებში. მაგალითად, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ: „მუშათა კლასი, რომელიც ემყარება ხალხის დემოკრატიულ ერთიანობას და რომელსაც თავისი ავანგარდი ხელმძღვანელობს, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის წამყვან ძალას წარმოადგენს“.

მუშათა კლასის ხელმძღვანელობით სოციალურ გათავისუფლებას მიადრწია მშრომელმა გლეხობამ. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში გლეხთა კლასმაც იცვალა კლასობრივი სახე. ახლა ის უკვე აღარ არის მეზატონის, კაპიტალისტის, კულაკის, მღვდლისა და სხვა ექსპლოატატორების მიერ გასრესილი, მარად მშვიერი წინანდელი გლეხობა, რომელსაც ძლივს გაჰქონდა თავი დღემდე. ის თავისი ცხოვრების სრულუფლებიანი განმგებელია, ერთგული მოკავშირე მუშათა კლასისა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

მუშათა კლასისა და მისი პარტიის ზრუნვის შედეგად სრული გასაქანი ჰპოვა თავისი საქმიანობის გაშლისათვის სახალხო ინტელიგენციამ. სახალხო ხელისუფლების ზრუნვასა და დახმარებას ინტელიგენცია პასუხობს უდიდესი მიღწევებით მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგში.

კონსტიტუციები განამტკიცებენ მიწის რეფორმის ჩატარებას, მრეწველობის, ბანკების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის საშუალებებისა და ვაჭრობაში ნაციონალიზაციის განხორციელებას, მემამულეთა კლასის, მსხვილი ბურჟუაზიის, აგრეთვე საშუალო ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილის ლიკვიდაციას, სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს ძალისა და ძლევამოსილების საფუძვლის — მძლავრი სოციალისტური სექტორის შექმნას, ამ სექტორის წამყვან მდგომარეობას ეკონომიკაში, სახალხო მეურნეობის განვითარებას გეგმიურობის საწყისებზე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კონსტიტუციებით დაშვებულია კერძო საკუთრების არსებობა. მაგრამ იგი არ უნდა აღემატებოდეს განსაზღვრულ ოდენობას. კანონით აკრძალულია ტრესტების, კარტელებისა და სინდიკატების არსებობა. კერძო საკუთრების უფლება, ისევე როგორც ამ საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემისა და მიღების უფლება, არ შეიძლება გამოყენებულ

იქნას საზოგადოების საზიანოდ. დადგენილია, თუ ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესები, იგი შეიძლება ნაციონალიზებულ იქნას სათანადო საზღაურის გაცემით. კანონის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობს მოქალაქეთა პირადი საკუთრება.

სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკების ეკონომიურ საფუძველს შეადგენს საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება, რომელსაც გააჩნია ორი ფორმა: საყოველთაო-სახალხო და კოოპერაციული.

საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელია. მისი გაზრდა-გადიდება ყოველი მოქალაქის მოვალეობაა. შრომა გამოცხადებულია განვითარების ძირითად საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფაქტორად.

კონსტიტუციების თანახმად, სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები წარმოადგენენ თავიანთი ხალხების ინტერესების დამოუკიდებელ და სუვერენულ დამცველებსა და გამტარებლებს. სსრ კავშირის ყოველმხრივი დახმარების შედეგად ისინი გახდნენ საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების სრულფასოვანი სუბიექტები.

სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკები — მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის მებრძოლი სახელმწიფოებია. ისინი წარმოადგენენ სოციალიზმის მშენებლობის მძლავრ იარაღს მშრომელი მასების ხელში, რომლებსაც წინ უძღვის მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური და მუშათა პარტიები.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ბუნება ნათლად არის გამოსახული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-3 მუხლში, რომელშიაც მითითებულია, რომ პოლონეთის რესპუბლიკა:

„1. დგას პოლონეთის ქალაქისა და სოფლის მშრომელების მონაპოვართა სადარაჯოზე, იცავს მათ ძალაუფლებასა და თავისუფლებას ხალხისათვის მტრული ძალებისაგან;

2. უზრუნველყოფს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებასა და განუხრელ ზრდას, მისი ინდუსტრიალიზაციის გზითა და ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის მეშვეობით;

3. აწყობს გეგმიურ მეურნეობას, ეყრდნობა რა საწარმოებს, რომლებიც შეადგენენ საზოგადოებრივ საკუთრებას;

4. ზღუდავს, გამოდევნის და ლიკვიდაციას უშვება იმ საზოგადოებრივ კლასებს, რომლებიც მუშებისა და გლეხების ხარჯზე ცხოვრობენ;

5. უზრუნველყოფს ხალხთა მასების კეთილდღეობას, ჯანმრთელობისა და კულტურული დონის მუდმივ ადმავლობას.

6. უზრუნველყოფს ეროვნული კულტურის ყოველმხრივ განვითარებას.“

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია სახალხო წარმომადგენლობები — სახალხო კრებები და სახალხო საბჭოები, რომლებიც სხვა სახელმწიფო ორგანოთა შორის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ მუშათა კლასის ძალაუფლების განხორციელებაში და სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. „აღბანეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკურ საფუძველს, — აღნიშნულია აღბანეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლში, — შეადგენს სახალხო საბჭოები, რომლებიც წარმოიშენენ ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში და განმტკიცდნენ ამ ბრძოლასა და სოციალიზ-

მის საფუძვლებს მშენებლობაში მოპოვებული ისტორიული გამარჯვება შედეგად“.

სახალხო-დემოკრატიულ უნიტარულ სახელმწიფოებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებია ერთპალატიანი სახალხო (ეროვნული) კრებები. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები უზენაესი სახელმწიფო ძალაუფლების მატარებელი არიან. მათ განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენს კანონმდებლობა. ისინი თავიანთ ხელში თავს უყრიან აგრეთვე მნიშვნელოვან აღმასრულებელ ფუნქციებს. სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების დეპუტატები ხალხის რჩეულებია. ისინი უმთავრესად მოწინავე მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები არიან. სოციალისტური სახელმწიფოების მშრომელთა დეპუტატები, წინააღმდეგ ბურჟუაზიულ პარლამენტარებისა, არა მარტო კანონმდებლნი არიან, არამედ აგრეთვე უშუალო მონაწილეობას ღებულობენ დამტკიცებული კანონების ცხოვრებაში გატარების საქმეში. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები მუშაობენ თავიანთ სესიებზე. სესიათაშორის პერიოდში უზენაეს ძალაუფლებას ახორციელებენ უმაღლესი წარმომადგენლობებიდან არჩეული, მათ წინაშე ანგარიშვალდებული და მათდამი დამორჩილებული ორგანოები, თანახმად იმ ფუნქციებისა, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ კონსტიტუციის საფუძველზე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში „სახელმწიფოს მეთაურის“ ორი სახე არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში არის ერთპიროვნული პრეზიდენტის ინსტიტუტი, ხოლო უმეტეს ქვეყნებში — ხელისუფლების უმაღლესი კოლექტიური ორგანოები — პრეზიდიუმები. კაპიტალისტური სისტემისაგან განსხვავებით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, როგორც კოლექტიური პრეზიდიუმის, ისე ერთპიროვნული პრეზიდენტის არჩევა ხდება უმაღლესი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. მთელი მათი საქმიანობისათვის ისინი პასუხს აგებენ და ანგარიშვალდებულნი არიან ამრჩევი ორგანოების წინაშე. მათ არ შეუძლიათ დაუპირისპირდნენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს (როგორც ამას ადგილი ჰქონდა გერმანიაში და ადგილი აქვს ამჟამადაც აშშ-ი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ერთპიროვნულ პრეზიდენტებად, რომლებსაც მნიშვნელოვანი უფლებამოსილებანი გააჩნიათ, არჩეული არიან კომუნისტები, რომლებიც ამ უფლებამოსილებას იყენებენ მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა ინტერესებისათვის.

სახალხო-დემოკრატიული კონსტიტუციების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები, მთავრობები მთლიანად პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე. სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ დარგებს განაგებენ სამინისტროები, სხვადასხვა უწყებები და სამმართველოები.

კონსტიტუციები ადგენენ, რომ ცალკეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო ძალაუფლებას ახორციელებენ სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სახალხო (ეროვნული) საბჭოების სახით. სახალხო საბჭოები სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ და სრულუფლებიან ორგანოებს წარმოადგენენ შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. სახელმწიფო ორგანოების პარალელ-

ლიზმი, რაც დამახასიათებელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოსათვის და რაც შემორჩენილი იყო ერთხანს სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკებში, ამჟამად ლიკვიდირებულია, როგორც სოციალისტურ სახელმწიფოსათვის უცხო მოვლენა. ახლა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში თვითეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს გააჩნია სახელმწიფო ხელისუფლების ერთი განსაზღვრული სრულუფლებიანი ადგილობრივი ორგანო შესაბამისი სახალხო საბჭოს სახით. ამავე დროს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლი არ არის შემოფარგლული მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტით, ვინაიდან ისინი მონაწილეობას დებულობენ უმნიშვნელოვანეს საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრაშიც.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მშრომელთა მონაპოვრების დაცვის საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მართლმსაჯულების ორგანოები. ამ ქვეყნების კონსტიტუციები და კანონმდებლობა ადგენს სასამართლო-პროკურატურის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის ჭეშმარიტად დემოკრატიულ წესს.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ორგანოთა მთელი საქმიანობა სოციალიზმის ამენების ერთიან მიზანს, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლებული საზოგადოების მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების ამოცანას ემორჩილება. მათ მოვალეობას შეადგენს მშრომელთა მასების ფართოდ ჩაბმა სახელმწიფო მმართველობის საქმეში. კონსტიტუციები ადგენენ ყველა მოქალაქეთა თანასწორობას კანონის წინაშე, მათ თანასწორუფლებიანობას მიუხედავად სქესისა, ეროვნებისა, რასისა და სარწმუნოებისა. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ შრომის, დასვენების, განათლების უფლება, მოხუცებულობაში ან შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. ქალები მამაკაცებთან ერთად თანაბარი უფლებებით სარგებლობენ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში. სახალხო-დემოკრატიული კონსტიტუციები ანიჭებენ მშრომელებს ფართო პოლიტიკურ უფლებებს: სიტყვის თავისუფლებას, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, კრებებისა და მიტინგების თავისუფლებას, ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლებას; მათ გარანტირებული აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება, პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, მიწერ-მოწერის საიდუმლოების დაცვის უფლება.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ძირითადი კანონები, გამოხატავენ რა მშრომელთა ინტერესებს, ფართო უფლებებთან ერთად ადგენენ მოვალეობებს, რომლებიც განუზრვლად უნდა შეასრულოს ყოველმა მოქალაქემ სახალხო-დემოკრატიული წყობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

სახალხო-დემოკრატიული კონსტიტუციების განმასხვავებელ თავისებურებას შეადგენს მათი თანამიმდევრული სოციალისტური დემოკრატიზმი, მოქალაქეთა უფლებების რეალური უზრუნველყოფა, ამ უფლებების განხორციელების გარანტირებაზე სიმძიმის ცენტრის გადატანა.

სახალხო-დემოკრატიული კონსტიტუციების ჭეშმარიტ დემოკრატიზმს ადასტურებს მათ მიერ განმტკიცებული საარჩევნო სისტემა. ისევე, როგორც სსრ კავშირის საარჩევნო სისტემას, მას საფუძვლად უდევს ხალხის სუვერენიტეტის ლენინური პრინციპი. არჩევნები აქ ხალხთა მასების ნების უშუალოდ

გამოხატვის საშუალებას, სახელმწიფო ხელისუფლების როგორც უმაღლესი, ისე ადგილობრივი ორგანოების შექმნის ერთადერთ და განსაკუთრებულ ხერხს, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე მშრომელი მასების კონტროლის საშუალებას წარმოადგენს. არჩევნებში მონაწილეობას დებულობს ქვეყნის ყოველი მცხოვრები, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანებას. კონსტიტუციები ადგენენ, რომ დებუტატი არის ხალხის მსახური, რომ დებუტატი მკიდრო კავშირში უნდა იყოს მშრომელებთან, სისტემატურად აცნობდეს მათ წარმომადგენლობითი ორგანოსა და პირადად მის საქმიანობას. ხალხს, ამომრჩეველებს უფლება აქვთ გამოიწვიონ წარმომადგენლობითი ორგანოდან ის დებუტატი, რომელმაც არ გაამართლა მათი ნდობა.

სახალხო რესპუბლიკების კონსტიტუციები — მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის კონსტიტუციებია. მათი შემუშავების ნიმუშს საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ძირითადი კანონი წარმოადგენდა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის 1960 წლის ძირითადი კანონები, რომლებიც, განსხვავებით სახალხო რესპუბლიკების უმრავლესობის კონსტიტუციებისაგან, სსრ კავშირის 1936 წლის ძირითადი კანონის მსგავსად, კერძო-კაპიტალისტური წყობის, ექსპლოატატორული კლასების და მათთან ერთად ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის ლიკვიდაციას, სოციალისტური მეურნეობის შექმნას განამტკიცებენ და, როგორც ასეთები, გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციებს წარმოადგენენ. საკითხი გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციების შემუშავების შესახებ დგას ბულგარეთსა და რუმინეთში. შორს არ არის ის დრო, როდესაც სოციალიზმის გამარჯვებას საკანონმდებლო წესით განამტკიცებენ ყველა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშრომელები.



### სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

1961 წლის 4 მარტის

დ ე დ მ ე ნ ი ლ მ ე ბ ე № 1

პირობითი მსჯავრის გამოყენების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

მოხსენა და განიხილა რა რსფარ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. ტ. რუბინიჩის, მოლდავეთის სსრ უმაღლესი სასამართლო თავმჯდომარის ამხ. ლ. ე. ლუნგუს, ლატვიის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარია ამხ. ბ. ა. ახანისა და ყირგიზეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ა. ო. ორდობაევის მოხსენებები სასამართლოების მიერ პირობითი მსჯავრის გამოყენების პრაქტიკის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში სასამართლოები უფრო ფართოდ იყენებენ პირობით მსჯავრს იმ პირობით, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ისეთ დანაშაულთა ჩადენაში, რაც არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის დიდ საშიშროებას. თუ 1958 წელს პირობითი მსჯავრის გამოყენებულ იქნა მსჯავრდებულთა 6,3 პროცენტის მიმართ, 1959 წელს პირობითი მსჯავრის დაედო 11,5 პროცენტს და 1960 წელს 17,1 პროცენტს მსჯავრდებულთა საერთო რიცხვიდან.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებული კანონის შესაბამისად, საქმის კონკრეტულ გარემოებათა და დამნაშავეს პიროვნების მხედველობაში მიღებით, სავსებით ამართლებს თავის თავს და ახდენს დიდ აღმზრდელობით და გამაფრთხილებელ ზემოქმედებას. პირობითი მსჯავრის გამოყენება საშუალებას იძლევა მშრომელთა კოლექტივის აქტიური მონაწილეობით უზრუნველყოფილ იქნეს სამართლის დამრღვევის ხელახალი აღზრდა და გამოსწორება დამნაშავეს საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე. პირობითი მსჯავრდებულთა დი-

დი უმრავლესობა არ ჩადის განმეორებით სამართლის დარღვევას და დადებითად აჩვენებს თავს წარმოებასა და ყოფა-ცხოვრებაში.

სასამართლოების მიერ პირობითი მსჯავრის გამოყენების პრაქტიკაში შემუშავებულია საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მშრომელთა კოლექტივებთან სასამართლო ორგანოების კავშირის, პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევაზე მეთვალყურეობისა და მათთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების განსაზღვრული ფორმები.

ამასთან ერთად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აღნიშნავს, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსა და უხეშ შეცდომებს. წინააღმდეგ ასრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლისა, რომელიც მოითხოვს, რომ პირობითი მსჯავრის დადების შესახებ განაჩენის გამოტანისას მხედველობაში იქნეს მიღებული საქმის გარემოებანი და დამნაშავეს პიროვნება, სასამართლოები რიგ შემთხვევებში იყენებენ პირობით მსჯავრს ბოროტ დამნაშავეთა, მათ შორის რეციდივისტთა მიმართ, რასაც მივეყვართ დამნაშავეობასთან ბრძოლის შესუსტებამდე.

იყენებენ რა პირობით მსჯავრს, სასამართლოები ზოგიერთ შემთხვევაში მხედველობაში არ ღებულობენ ჩადენილ ქმედობათა სიმძიმესა და დამდგარ მაგნე შედეგებს.

ასე, მაგალითად, ლატვიის სსრ დობელის რაიონის სახალხო სასამართლომ ორი წლით თავისუფლების აღ-



კვეთა მიუსაჯა პირობით და ხელახალი აღზრდისათვის გადასცა ავტოსატრანსპორტო კოლონიის კოლექტივის შოფერი კ. ი. დაძიჭისი, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ, მართავდა რა ავტომანქანას არაფხიზელ მდგომარეობაში, დაეჯახა საზიდს და მიაყენა მზიდავ სვინტიცკის თავის ქალის ფუძის მოტეხილობა და სხეულის სხვა მძიმე დაზიანებანი. აურდა რა დაეფარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, დაძიჭისმა გადაიყენა შემთხვევის ადგილიდან უგონო მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული სვინტიცკი, ხოლო თვითონ მიიმალა.

ადგილი ჰქონდა ფაქტებს, როცა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლოები მხედველობაში არ ღებულობდნენ მონაცემებს, რომლებიც უარყოფითად ახასიათებენ მსჯავრდებულის პიროვნებას.

მაგალითად, ქ. მურომის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ ა. ა. სუბოტინს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით და გადასცა იგი საზოგადოებრიობას ხელახალი აღზრდისათვის. სუბოტინი, რომელიც წინათ ორჯერ იყო გასამართლებული ყაჩაღობისა და ქურდობისათვის, 1959 წელში ვადამდე პირობით გათავისუფლდა საბატმრო ადგილიდან, მაგრამ იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული. იმყოფებოდა რა მთვრალ მდგომარეობაში, მან არყისთვის ფული მოსთხოვა მოქ. ბელოვს, ხოლო როცა ამ უკანასკნელმა უარი უთხრა, ჩაარტყა მას ჯიბის დანა ყელის არეში.

პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში მხედველობაში არ ღებულობდნენ არც საქმის გარემოებებსა და არც მონაცემებს დამნაშავეს პიროვნების შესახებ.

გურიევის საოლქო სასამართლომ პირობითი მსჯავრი გამოიყენა ხ.ზ. აგაევის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა ყაზახეთის სსრ სსკ 76 მუხლის მე-2 ნაწილით. აგაევმა სხვა პირებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მალაზი-

ების ორ გაძარცვაში, რა დროსაც კედლის განგრევიან გზით დატაცებულ იქნა 38,756 მანეთის სხვადასხვა საქონელი და ნაღდი ფული 9,357 მანეთის რაოდენობით (ძველი ფულით). სასამართლომ აგაევის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებას საფუძვლად დაუდო მისი ოჯახური მდგომარეობა და კოლექტივის შუამდგომლობა, მაგრამ მხედველობაში არ მიიღო არც ჩადენილ დანაშაულთა საშიშროების ხარისხი, არც აგაევის პიროვნება, რომელიც წინათ უკვე გასამართლებული იყო დატაცებისათვის.

აღნიშნულ შეცდომებთან ერთად, რომლებიც მოწმობენ პირობითი მსჯავრის უსაფუძვლო გამოყენებას, გვხვდება სასამართლოების მიერ იმ პირებისადმი თავისუფლების აღკვეთის უსწორო შეფასებების ფაქტები, რომლებმაც ჩაიდინეს არც თუ შესაწინააღმდეგებელი დანაშაულებანი და რომელთა გამოსწორება შესაძლებელია საზოგადოებრიობისათვის იზოლაციის გარეშე.

პირობითი მსჯავრის გამოყენების პრაქტიკაში აქამდე სერიოზულ ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ ბევრი სასამართლო სათანადოდ არ აფაეებს საზოგადოებრიობის როლს პირობით მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის საქმეში და, იყენებს რა პირობით მსჯავრს, ყოველთვის არ სარგებლობს საზოგადოებრიობისადმი მსჯავრდებულის ხელახალი აღზრდისათვის გადაცემის შესაძლებლობით. სასამართლოები ზოგიერთ შემთხვევაში უსაფუძვლოდ ეუბნებიან უარს მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობებს მათთვის იმ პირთა ხელახალი აღზრდისათვის გადაცემის შეახებ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ნაკლებად საშიშ დანაშაულთა ჩადენაში.

ასე, მაგალითად, კოსტრომის ოლქის ამავე რაიონის სახალხო სასამართლომ არ დააკამყოფილა №10 სამშენებლო სამონტაჟო სამმართველოს №3 სამშენებლო უბნის კოლექტივის შუამდგომლობა მუშა ბ. ა. ბარბაშოვის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების

სა და მისი ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის გადაცემის შესახებ, მიუსაჯა რა მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. ბარბაშოვი ცნობილი იქნა დამნაშავედ მასში, რომ, იმყოფებოდა რა ნასვამ მდგომარეობაში, ორჯერ შეეცადა გაერთყა მოქ. კოკინისათვის. ბარბაშოვი წინათ სამართალში არ ყოფილა, კარგად ხასიათდება სამუშაო ადგილიდან, კმაყოფაზე ჰყავს ორი მეორეწლოვანი შვილი. რსფარ უმალესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, შეიტანა რა ცვლილება სასამართლოს განაჩენში, გამოიყენა პირობითი მსჯავრი ბარბაშოვის მიმართ და გადასცა იგი სამშენებლო უბნის კოლექტივს გამოსასწორებლად და ხელახალი აღზრდისათვის.

ზოგჯერ სასამართლოები არ ითვალისწინებენ, რომ მშრომელთა კოლექტივის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კრების მიერ სამართლის დამრღვევის საქციელის განხილვის ფაქტს აქვს დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა და, წინააღმდეგ კანონისა, განსახილველად ღებულობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცალკეულ თანამდებობის პირთა ან ხელმძღვანელთა მიერ აღძრულ შუამდგომლობებს პირობითი მსჯავრის დადების შესახებ, რაც არ შეიძლება მიჩნეული იქნეს კოლექტივის ნების გამოხატვად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1960 წლის 26 მარტის №2 და 1960 წლის 17 სექტემბრის №5 დადგენილებებით სასამართლოების ყურადღება მიაქცია იმას, რომ აუცილებელია შემდგომ განმტკიცდეს კავშირი საზოგადოებრიობასთან პირობით მსჯავრდებულთა გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, და მიუთითა, რომ სასამართლოებს არ შეუძლიათ დაკმაყოფილდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებისადმი პირობით მსჯავრდებულთა ფორმალური გადაცემით გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის, არამედ უნდა გაუწიონ მათ დახმარება

აღმზრდელი მუშაობის ჩატარებაში.

ამჟამად სასამართლოების მუშაობა პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევაზე კონტროლის განხორციელების საქმეში რამდენადმე გაუმჯობესებულია. ბევრი სასამართლო იყენებს პირობით მსჯავრდებულთა ხელახლა აღზრდასთან და გამოსწორებასთან დაკავშირებულ მუშაობაში მონაწილეობის ისეთ ფორმებს, როგორცაა მოსამართლეთა საუბრები ხელახალი აღზრდისათვის გადაცემულ პირებთან, წარმოებაში და ყოფა-ცხოვრებაში პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევის გაცნობა და სხვ. მაგრამ აქამდე ამ მუშაობაში ნაკლებად არიან ჩაბმული სახალხო მსახურები, მაშინ, როცა ახალი წესი სახალხო მსახურთა არჩევისა საწარმოების, კოლმეურნეობებისა და დაწესებულებების მიხედვით უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის მათი ჩამოსათვის პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევაზე კონტროლის განხორციელების საქმეში და ამ უკანასკნელთა ხელახალი აღზრდისაკენ მიმართულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

რიგ შემთხვევებში სასამართლოები შეცდომებს უშვებენ პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩადენილი ერთგვაროვანი ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას.

არღვევენ რა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის მოთხოვნებს, სასამართლოები ხშირად არ ახდენენ წინა განაჩენით პირობითი მსჯავრის დადების დროს დანიშნული სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ მიმატებას უკანასკნელი დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელისათვის.





ესტონეთის სსრ ვირუსკის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 28 იანვრის განაჩენით ხ. ნ. კიანგსებს სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში კიანგსებმა ჩაიღინა უფრო მძიმე დანაშაული — ყაჩაღობა. ამ დანაშაულისათვის ვირუსკის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 22 სექტემბერს კიანგსებს მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ არ გადაწყვიტა საკითხი წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მიმატების შესახებ. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაშიაც კი, როდესაც საკითხი უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ არავითარ ეჭვს არ იწვევდა, სასამართლომ არ შეასრულა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის მოთხოვნა წინა განაჩენით დანიშნულ სასჯელის მიმატების შესახებ.

ამგვარი შეცდომები ამცირებენ პირობითი მსჯავრის გამაფრთხილებელ და აღმზრდელობით მნიშვნელობას და ასუსტებენ იმ დამნაშავეებთან ბრძოლას, რომლებსაც ჯიუტად არ სურთ დაადგინენ გამოსწორების გზას.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს:

1. მიეცეთ მითითება სასამართლოებს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-20 მუხლის შესაბამისად, ისინი პირობითი მსჯავრის გამოყენებისას უნდა გამოდიოდნენ, როგორც მსჯავრდებულის გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის, ისე მსჯავრდებულისა და სხვა პირების მიერ ახალ დანაშაულთა ჩადენის თავიდან აცდენის მიზნებიდან.

ითვალისწინებს რა პირობითი მსჯავრის დიდ აღმზრდელობით და გამაფრ-

თხილებელ მნიშვნელობას, მსჯავრდებულს სასამართლოების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენება აუცილებელია მაშინ, როდესაც სასამართლოები საქმის გარემოებათა შესაბამისად და დამნაშავის პიროვნების მხედველობაში მიღებით, მივლენ იმ რწმენამდე, რომ მიზანშეუწონელია მოიხადოს განაჩენით დანიშნული სასჯელი პირმა, რომელმაც ჩაიღინა ისეთი დანაშაული, რაც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას.

პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოები, ყველა შემთხვევაში, მოვალენი არიან ყოველმხრივ და ობიექტურად შეაფასონ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა მთელი ერთობლიობა, მიღებული გადაწყვეტილების მოტივების სავალდებულო აღნიშვნით განაჩენში.

2. მიეცეთ მითითება სასამართლოებს, რომ პირობითი მსჯავრი, როგორც წესი, არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მძიმე დანაშაულთა ჩადენაში. ასეთ დანაშაულთა ცალკეული მონაწილის მიმართ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს პირობითი მსჯავრი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია ამ პირის მეორეხარისხოვანი როლი და აგრეთვე თუ ის მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ დამნაშავის პიროვნებას და გარემოებანი, რომლებშიდაც ჩადენილია დანაშაული, იძლევა იმის საფუძველს, რომ საზოგადოებისაგან მსჯავრდებულის იზოლაცია მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული.

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგინენ სასამართლოები პირობითი მსჯავრის გამოყენებას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც მოცემულ შემთხვევაში თუმცა კი ჩაიღინეს ისეთი დანა-

შაული, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის დიდ საშიშროებას; მაგრამ წარსულში არა ერთხელ აქვთ ჩადენილი დანაშაულობანი.

3. იმის გათვალისწინებით, რომ პირობითი მსჯავრის დადების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო იძულების ღონისძიებების და საზოგადოებრივი ზემოქმედების შეხამების გზით მსჯავრდებულის გამოსწორება და ხელახალი აღზრდა საზოგადოებისაგან დამნაშავეის იზოლაციის ვარეშე, სასამართლოებმა პირობითი მსჯავრის გამოტანის თითოეულ შემთხვევაში უნდა გამოიყენონ საჭირო ზომები პირობით მსჯავრდებულზე ასეთი ზემოქმედების უზრუნველსაყოფად.

კვლავ მიექცეს სასამართლოების ვანსაკუთრებული ყურადღება იმის აუცილებლობას, რომ უზრუნველყონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად კონტროლი პირობით მსჯავრდებულთა ყოფაქცევაზე და ჩაახან ამ მუშაობაში სახალხო მსაჯულები და საზოგადოებრივი აქტივი.

პირობით მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის და ხელახალი აღზრდისათვის გადაცემის შესახებ საზოგადოებრიობის შუამდგომლობათა დაკმაყოფილებისას, სასამართლოებმა უნდა განუმარტონ კოლექტივა მაღალი მორალური პასუხისმგებლობა პირობით მსჯავრდებულთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებისათვის და აღმოუჩინონ კოლექტივის საჭირო დახმარება.


4. იყენებენ რა პირობით მსჯავრს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობათა უქონლობისას, სასამართლოებს, მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად, უფლება აქვთ დასვან საზოგადოებრივი ორგანი-

ზაციის ან ცალკეული პირის (მოცემული კოლექტივის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრთა რიცხვიდან) წინაშე საკითხი მათ თანხმობაზე — იკისრონ პირობით მსჯავრდებულზე მეთვალყურეობისა და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარების მოვალეობა.

5. მიეცეთ მითითება სასამართლოებს, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე და 38-ე მუხლების მიხედვით პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ახალი, ერთგვაროვანი ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულის ჩადენა იწვევს ადრე პირობით დანიშნული სასჯელის რეალურ აღსრულებას. სასამართლოები მოვალენი არიან განუხრელად დაიცვან კანონის მოთხოვნა წინა განაჩენით პირობით დანიშნული სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ მიმატების შესახებ იმ სასჯელისათვის, რაც სასამართლოს მიერ განსაზღვრულია გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ახლად ჩადენილი ერთგვაროვანი ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულისათვის.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე და 38-ე მუხლებს დარღვევით წინა განაჩენით პირობით დანიშნული სასჯელი არ მიმატებია სასჯელს ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის, სასჯელის მიმატება შეიძლება მხოლოდ საქმის ხელახალი განხილვისას ამ მოტივით შეტანილი პროტესტის საფუძველზე განაჩენის გაუქმების შემდეგ.

7. პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლო სხდომის თავმჯდომე-



რემ განაჩენის გამოქვეყნების შემდეგ უნდა განუმარტოს მსჯავრდებულს გამოსაცდელი ვადის მნიშვნელობა და გააფრთხილოს იგი თუ რა შედეგი მოყვება მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენას.

8. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის (რსფსრ 1960 წლის სსკ 44-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ სათანადო მუხლების) შესაბამისად საკითხი პირობითი მსჯავრის დადების დროს განაჩენით დადგენილი გამოსაცდელი ვადის შემცირების შესახებ უნდა გადაწყდეს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივის შუამდგომლობით, რომლებსაც დაკისრებული აქვთ პირობით მსჯავრდებულზე მეთვალყურეობა და ამ ვადის სულ ცოტა ნახევრის

გასვლის შემთხვევაში, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა მხედველობაში მიღებით.

9. მიექცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ყურადღება იმის აუცილებლობას, რომ სისტემატურად იქნეს შესწავლილი პირობითი მსჯავრის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, გამოვლინებულ და გავრცელებულ იქნეს სასამართლოების მუშაობის დადებითი გამოცდილება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებისადმი დახმარების აღმოჩენის საქმეში გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდისათვის გადაცემულ პირობით მსჯავრდებულებთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს  
თავმჯდომარე — **ა. გორკინი**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის  
მდივანი — **ი. ბრიზანიძე**

### სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

1961 წლის 4 მაისის

დ ა დ ე ნ ი ლ ი ე ბ ა № 2

#### სასჯელისაგან მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით გათავისუფლების თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოში სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენება ჩადენილი დანაშაულისათვის დამყარებულია ნამდვილი სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპებზე. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების აისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-20 მუხლის თანახმად „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანა-

შაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოაწიროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტად შესრულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშა-

ულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ.

გამომდინარე აქედან, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლია კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლი საშუალებას აძლევს სასამართლოს გამოიყენოს მსჯავრდებულთა მიმართ, ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული პირების გამოკლებით, ვადაძღვე პირობით გათავისუფლება ან შეუცვალა მათ სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით.

მოისმინა და განიხილა რა ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. კ. ა. სულეიმანოვი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. ს. გ. მუსაევის და ესტონეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. პ. ვ. აფანასიევის მოხსენებები, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის სხვა მასალები, სსრ კავშირია უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ცნობს, რომ უკანასკნელ დროს სასამართლოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარეს ვადაძღვე პირობით გათავისუფლების შესახებ საქმეთა განხილვის დარგში. ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოების საქმიანობაში ვადაძღვე პირობით გათავისუფლებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებშია სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლისა და იმ მითითებათა სერიოზულ დარღვევებს, რაც მოცემულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილებაში „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ და 1960 წლის 17 სექტემბრის დადგენილებაში „სასამართლოების მდგომარეობის შესახებ 1960 წლის პირველ ნახევარში“.

ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ ზოგიერთი სასამართლო არაკრიტიკულად უდგება ვადაძღვე პირობით გათავისუფლების შესახებ წარმოდგენილი მასალების განხილვას და ნაცვლად იმისა, რომ საქმის გარჩევისას მთავარი ყურადღება მიაქციოს იმ ძირითადი აკეთხის გამორკვევას — და-

ამტიკა თუ არა მსჯავრდებულმა თავისი გამოსწორება, ახდენს უმთავრესად იმის შემოწმებას — მოიხდა თუ არა მსჯავრდებულმა სასჯელის ვადის ის ნაწილი, რაც მოითხოვება, სთვლია რა შეცდომით, რომ თითქოს მხოლოდ ამ უკანასკნელ გარემოებაზე და მოკიდებული საკითხის არსებითი ვადაწყვეტა.

აკმოლნსკის ოლქის ქ. ატბასარის სახალხო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება წინათ ორჯერ გასამართლებული უშაკოვის ვადაძღვე პირობით გათავისუფლების შესახებ, რომელიც იხდიდა რა სასჯელს, სისტემატურად და ბოროტად არღვევდა დაწესებულ რეჟიმს, რითვისაც არაერთხელ დაეღო დისციპლინური სასჯელი, კერძოდ, მოთავსებული იყო საჯარიმო იზოლიატორში. სასამართლოს არ გააჩნდა არავითარი მონაცემები იმის შესახებ, რომ უშაკოვი იხდიდა რა სასჯელს, გამოსწორდა.

ადგილი აქვს ფაქტებს, როცა ზოგიერთი სასამართლო, წინააღმდეგ კანონისა, რომელიც გამოიცხავს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა მიმართ ვადაძღვე პირობით გათავისუფლების გამოყენების შესაძლებლობას, განსახილველად ღებულობს მასალებს და გამოაქვს კიდევ დადგენილებები ასეთ მსჯავრდებულთა ვადაძღვე პირობით გათავისუფლების შესახებ.

სასამართლო პრაქტიკაში არ არის ერთნაირი მიდგომა იმ მონაცემების შეფასებისადმი, რომელთა არსებობა საფუძველს იძლევა ჩათვლილ იქნეს, რომ მსჯავრდებულმა, იხდიდა რა იგი სასჯელს, დაამტკიცა თავისი გამოსწორება. ზოგიერთი სასამართლო მსჯავრდებულის გამოსწორების თაობაზე საკითხის გადაჭრისას მხედველობაში არ ღებულობს ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა და მონაცემებს პიროვნების შესახებ. სხვა სასამართლოები მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების უდავო მტკიცებათ სთვლიან მხოლოდ იმ გარემოებას, რომ იგი არ არის დასჯილი რეჟიმის დარღვევისათვის ან ამუშაოსაგან თავის არიდებისათვის.

რიგ შემთხვევებში სასამართლოები წარმოებაში ღებულობენ წარდგინ-

ბებს, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ზოგად მონაცემებს მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ყოფაქცევითა და შრომისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელთა მიხედვითაც არ შეიძლება სწორი დასკვნის გაკეთება იმაზე, გამოსწორდა თუ არა მსჯავრდებული. ბევრი წარდგინება დამყარებულია არა იმის გულმოდგინე შეფასებაზე თუ როგორ იქცეოდა მსჯავრდებული მის მიერ მოხდილი სასჯელის მთელი დროის ან ამ დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში, არამედ დახასიათებაზე მისი ყოფაქცევის შესახებ დროის მოკლე მანძილზე.

აზერბაიჯანის სსრ ყარაღალია რაიონის სახალხო სასამართლომ ვადამდე პირობით გაათავისუფლა ვ. ზ. დავიდიანი, რომელიც საპატიმრო ადგილებში ყოფნის უმეტესი დროის განმავლობაში, 1960 წლის სექტემბრამდე, ცუდად იქცეოდა, პარავდა პატიმრება ფულსა და ნივთებს, იწყებდა ჩხუბს, სვამდა სპირტიან სასმელებს. მიუხედავად ამისა დავიდიანი იმავე წლის ოქტომბერში ვადამდე პირობით იქნა გათავისუფლებული, თუმცა მონაცემები მისი დადებითი ყოფაქცევის შესახებ დროის აყეთ მოკლე მანძილზე არ იძლეოდა საკმარის საფუძველს მისი გამოსწორების თაობაზე დასკვნის გაკეთებისათვის.

ადგილი აქვს ცალკეულ ფაქტებს, როცა წარმოდგენილ მასალებში არაობიექტურად არის გადმოცემული მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ მსჯავრდებულს.

ასე, მაგალითად შრომა-გასწორების კოლონიის ადმინისტრაციამ 1960 წლის 20 მარტს ვადამდე პირობით გასათავისუფლებლად წარადგინა ი. ვ. კონიუხინი, რომელსაც ხულიგნობისათვის მისჯილი ჰქონდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მიუთითა რა წარდგინებაში, რომ მის მიერ წინათ ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევის მხოლოდ ერთ შემთხვევას. პირადი საქმის მასალებია გაცნობისას კი დადგინდა, რომ კონიუხინი სისტემატურად არღვევდა დაწესებულ რეჟიმს, მონაწილეობდა სპირტიანი სასმელების დალე-

ვაში, უარს ამბობდა მუშაობაზე, ორჯერ გაიქცა კოლონიიდან.

სასამართლოები ზოგჯერ ასრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების 44-ე მუხლის დარღვევით განაახილველად ღებულობენ და დადებითადაც სწყვეტენ წარდგინებებს იმ პირთა ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ, რომლებსაც თვით საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციის აზრით არ დაუმტკიცებიათ თავიანთი გამოსწორება, არამედ მხოლოდ მოიხადეს სასჯელის ვადის ის ნაწილი, რომელიც უფლებას იძლევა გამოყენებულ იქნეს მათ მიმართ ვადამდე პირობით გათავისუფლება, უკეთუ ისინი გამოსწორებულნი არიან.

ესტონეთის სსრ რაკვერესის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ვორობიოვის, რომელიც წარსულში ყაჩაღობისათვის იყო გასამართლებული, მსჯავრი დაედო „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების 1 მუხლის 11 ნაწილით. იხდიდა რა სასჯელს შრომა-გასწორების კოლონიაში, ვორობიოვი სისტემატურად არღვევდა რეჟიმს, არაერთგზის იყო დასჯილი სპირტიანი სასმელების დალევისათვის, აზარტული თამაშისათვის და მუშაობაზე უარის თქმისათვის. მიუხედავად ამისა კოლონიის ადმინისტრაციამ იგი ვადამდე პირობით გასათავისუფლებლად წარადგინა, მიუთითა რა წარდგინებაში, რომ ვორობიოვი არ იმსახურებს ამას. 1960 წლის 12 ოქტომბერს ესტონეთის ასრ კელიასის რაიონის სახალხო სასამართლომ კანონის დარღვევით არა მარტო მიიღო წარდგინება განსახილველად, არამედ გამოიყენა კიდევ ვორობიოვის მიმართ ვადამდე პირობით გათავისუფლება, თუმცა მისი ყოფაქცევა და შრომისადმი დამოკიდებულება არ ადასტურებდა, რომ იგი გამოსწორებული იყო.

რიგ შემთხვევებში სასამართლოებს გამოაქვთ გადაწყვეტილებანი მსჯავრდებულის ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ სასჯელის ვადის იმ ნა-

წილია მხედველობაში მიღების გარეშე, რომლის მოხდის შემდეგაც შესაძლებელია მისი გათავისუფლება. ამის შედეგად ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა ვადამდე პირობით გათავისუფლება გამოიყენება დანიშნული სასჯელის ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ, თუმცა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით მისი გამოყენება შესაძლებელი იყო სასჯელის სულ ცოტა ორი მესამედის მოხდის შემდეგ.

რიგ სამხედრო ტრიბუნალთა პრაქტიკაში გვხვდება ფაქტები, როცა სსსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა საფუძვლების 44-ე მუხლის დარღვევით სასჯელისაგან ვადამდე პირობით თავისუფლდებიან პირები, რომლებსაც დანიშნული აქვთ სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, მათ მიერ ვადის ნახევრის მოხდის შემდეგ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად.

ზემოაღნიშნულ მეცდომათა შედეგად თავისუფლებიან ალკვეთის ადგილებიდან უსაფუძვლოდ იქნენ გათავისუფლებული ისეთი მსჯავრდებულები, რომლებსაც არ დაუმტკიცებიათ თავიანთი გამოსწორება და რომელთა ნაწილმა კვლავ ჩაიღინა დანაშაულობანი.

ვადამდე პირობით გათავისუფლების უსწორო გამოყენების ფაქტებთან ერთად სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება იმ პირთა ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის შემთხვევები, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება და მიიხადეს სასჯელის ვადის იან ნაწილი, რასაც კანონი მოითხოვს.

ზოგიერთი სასამართლო, წინააღმდეგ კანონისა, უარს ეუბნება ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე იმის გამო, რომ მსჯავრდებული, რომელიც არ არიან რეციდივისტი, წარსულში გასამართლებული იყო.

მაგალითად, ქ. სემიპალატინსკის სახალხო სასამართლომ უარი უთხრა სახელმწიფო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის მსჯავრდებულ ზახულის ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ იგი წინათ

გასამართლებული იყო ხულიგნობისათვის, თუმცა ეს უკანასკნელი გარემოება არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო ვადამდე პირობით გათავისუფლების დამატკიცებლად მსჯავრდებულის გამოსწორების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში.

ზოგიერთი სასამართლო ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძვლად სთვლის კანონით გაუთვალისწინებელ სხვა გარემოებებას.


ქ. ბაქოს სტალინის რაიონის სახალხო სასამართლომ უარი უთხრა, მაგალითად, ა. კ. ტალიბოვს ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე, რომელიც პირველად იყო გასამართლებული ქურდობისათვის და მიაჯილი ჰქონდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, იმ მოტივით, რომ ტალიბოვს დანიშნული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთის არახანგრძლივი ვადა და ამიტომ უნდა მოეხდა ამ ვადის არა ნახევარი, არამედ ორი მესამედი.

აზერბაიჯანის სსრ ქ. კიროვაბადის სახალხო სასამართლომ უარი უთხრა ქურდობისათვის გასამართლებულ გუსეინოვს ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე იმიტომ, რომ მან დანიშნული ჰქონდა იმ მუხლის სანქციით გათვალისწინებულ უმდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელის ზომა, რომლითაც მას მსჯავრი დაედო.

ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა სასამართლოები უარს ეუბნებოდნენ მსჯავრდებულებს ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი უარყოფდნენ თავიანთ ბრალს იმ დანაშაულში, რომლის ჩადენისათვისაც იხდიდნენ სასჯელს.

სასამართლოები ზოგჯერ უსაფუძვლოდ ეუბნებიან უარს ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე იმ მოტივით, რომ პატიმარმა ცოტა ხანი დაჰყო მოცემულ შრომა-გასწორების დაწესებულებაში.

იყენებენ რა ვადამდე პირობით გათავისუფლებას, სასამართლოები ბევრ შემთხვევაში არ სარგებლობენ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებით — გათავისუფლონ მსჯავრდებულები დამატებითი სასჯელისაგან, აგრეთვე გამო-



იყენონ ვადამდე პირობით გათავისუფლება იმ პირობით, რომლებსაც მისჯილი აქვთ გამასწორებელი სამუშაოები, გადასახლება და გასახლება.

რიგ შემთხვევებში სასამართლოები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებზე 44-ე მუხლის გამოყენების დროს მხედველობაში არ ღებულობენ, რომ ეს მუხლი სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლებასთან ერთად უშვებს სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით. მიუხედავად ამისა, ასეთი შეცვლა გამოიყენება მეტისმეტად იშვიათ შემთხვევაში.

ზოგიერთი სასამართლო სასჯელის მოუხდელი ნაწილის სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის მთავარად იყენებს მოუხდელი ვადის შემცირებას, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული, ე. ი. ფაქტიურად ამცირებს სასამართლოს მიერ დანიშნულ სასჯელის ზომას, რაც დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ საკანონმდებლო ან ზედამხედველობის წესით საქმია განხილვისას.

ცალკეული სასამართლოები ვადამდე პირობით გათავისუფლებას ურევნენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობით მსჯავრში და, წინააღმდეგ კანონისა, უნიშნავენ ვადამდე პირობით გათავისუფლებულ პირებს გამოსაცდელ ვადებს ან ახდენენ სასჯელის მოუხდელი ნაწილის პირობითად განსაზღვრას, თვითნებურად ამცირებენ ან ზრდიან რა ამ ნაწილს.

ესტონეთის სსრ ვილიანდისის რაიონის სახალხო სასამართლომ პატიმარ კუკას მიმართ წარდგინების განხილვისას, რომელსაც მოსახდელი დარჩა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, გათავისუფლა იგი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ჩაუთვალა რა მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი პირობითად ორი წლის გამოსაცდელი ვადით.

იხილავენ რა საქმეებს იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც ვადამდე

პირობით გათავისუფლებულმა პირებმა სასჯელის მოუხდელი ვადის პერიოდში ჩაიდინეს, სასამართლოები ერთგვაროვანი ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრის დადების დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, წინააღმდეგ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლისა, არ ახდენენ პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის მიმატებას.

ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ საქმეთა განხილვისას დაკავშირებულ სასამართლოების მუშაობაში არსებულ სხვა ნაკლოვანებათაგან უნდა აღინიშნოს ის, რომ მასალები ვადამდე პირობით გათავისუფლების თაობაზე ხშირად წყდება დიდი აჩქარების ვითარებაში, როცა ერთ სასამართლო სხდომაზე განსახილველ საქმეთა რიცხვი აღწევს რამდენიმე ათეულს, რაც იწვევს მათ ზერელე, უყურადღებო განხილვას. ხოლო ზოგჯერ უსწორო გადაწყვეტილების მიღებასაც.

საქმეები ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ ხშირად თვით სასამართლოს შენობაში ირჩევა, მაშინ როცა მათ განხილვას სასჯელის მოხდის ადგილზე სხვა მსჯავრდებულთათანდასწრებით შეუძლია დიდი აღმზრდელითი ზემოქმედება მოახდინოს ამ უკანასკნელებზე.

დადგენილებებს ვადამდე პირობით გათავისუფლების ან მასზე უარის თქმის შესახებ სასამართლოები ხშირად აფორმებენ ზოგადად, იმ მოტივების გადმოცემის გარეშე, რომლებიც იძლევიან ამა თუ იმ დასკვნამდე მისვლის საფუძველს. ყაზახეთის სსრ ზოგიერთი სასამართლო კი დადგენილების შედგენას ახდენს წინასწარ გამოზადებულ ბლანკებზე, რომლებიც შეიცავენ დადგენილების ტექსტს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და იმ საკითხების სწორად გადაჭრის მიზნით, რომლებიც ვადამდე პირობით გათავისუფლებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშევიან, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს მიეცეს

სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. იმ საკითხების გადაწყვეტა, რაც დაკავშირებულია ვადამდე პირობით გათავისუფლების გამოყენებასთან მსჯავრდებულთა მიმართ, განსაკუთრებით იმ პირთა მიმართ, რომლებიც იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, წარმოადგენს საბჭოთა სასამართლოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას.

2. სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას მთავარია არა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა მოიხადა სასჯელის ვადის ის ნაწილი, რომელსაც კანონი მოითხოვს, არამედ მისი სანიმუშო ყოფაქცევა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულება, რაც მოწმობს მის გამოსწორებას.

დასკვნა მსჯავრდებულის გამოსწორების შესახებ მისი პიროვნების, ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და მასში მსჯავრდებულის მონაწილეობის ხარისხის გათვალისწინებით უნდა ემყარებოდეს იმ მონაცემების ერთობლიობას, რომლებიც ეხება შრომა-გასწორების კოლონიაში მის მიერ რეჟიმის დაცვას, შესრულებულ სამუშაოსა და მისადმი დამოკიდებულებას, თავისი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას და ა. შ. ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, კერძოდ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლება და იმ სამუშაოს ხასიათი, რომელსაც იგი ასრულებს.

დასკვნას მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების შესახებ საფუძვლად უნდა დაედოს არა მარტო დახასიათება იმ პერიოდისათვის, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს იმ ვადის დადგომას, რომლის მოხდის შემდეგაც შესაძლებელია ვადამდე პირობით გათავისუფლება, არამედ აგრეთვე ის მონაცემები, რომლებიც ეხება მის მიერ სასჯელის მოხდის მთელ დროს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამ ვადის მნიშვნელოვან ნაწილს.

სასამართლოებმა გულმოდგინედ უნდა გამოიკვლიონ გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მსჯავრდებულის მიმართ ვადამდე პირობით გათავისუფლების გამოყენების შესახებ საკითხის გადაწყვეტისათვის, სახელობრ: ხომ არ არის მოცემული პირი ისეთი მსჯავრდებული, რომლის მიმართაც, თანახმად კანონისა, არ გამოიყენება ვადამდე პირობით გათავისუფლება, დანიშნული სასჯელის ვადის ხანგრძლივობის თუ ორი მესამედის მოხდის შემდეგ უნდა გათავისუფლდეს მსჯავრდებული, ვადის რა ნაწილია მის მიერ ფაქტიურად მოხდილი.

3. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ მოთხოვნა ვადამდე პირობით გათავისუფლების თაობაზე წარდგინებათა განხილვისას ყველა მონაცემების გულმოდგინედ გამოკვლევის შესახებ არ უნდა იქნეს გაგებული როგორც დაწესება რაიმე შეზღუდვისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის გამოყენებაში. სასამართლო პრაქტიკაში არ უნდა ექნეს ადგილი როგორც ვადამდე პირობით უსწორო გათავისუფლების, ისე სასჯელისაგან იმ პირთა გათავისუფლებაზე უარის თქმის შემთხვევებს, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი გამოსწორება.

სასამართლოებს უფლება არა აქვთ ვადამდე პირობით გათავისუფლებაზე უარი უთხრან იმ მოტივებით, რომლებიც კანონში არ არის აღნიშნული, კერძოდ, ძველი ნასამართლობის მოტივით, უკეთეს მსჯავრდებული არ წარმოადგენს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს, დანიშნული სასჯელის ლმობიერების მოტივით, აგრეთვე იმ მიზეზით, რომ მსჯავრდებულმა ცოტა ხანი დაჰყო მოცემულ შრომა-გასწორების დაწესებულებაში. თუ სასამართლოს ხელთ არა აქვს ისეთი მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ მსჯავრდებულის ყოფაქცევას სხვა საპატიმრო ადგილებში, იგი მოვალეა დაუბრუნოს საქმე შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას მსჯავრ-





დებულის შესახებ სრული ცნობების წარმოსადგენად.

4. სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილი საკითხების გამო. განმარტებულ იქნეს:

ა) სასამართლომ არ უნდა მიიღოს თავის წარმოებაში წარდგინება ისეთი მსჯავრდებულის ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ, რომელსაც თვით იმ ორგანოების აზრით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან შევიდნენ ასეთი წარდგინებით, არ დაუმტკიცებია თავისი გამოსწორება, აგრეთვე თუ მსჯავრდებულს არ მოუხდია სასჯელის ვადის ის ნაწილი, რაც დაწესებულია კანონით;

ბ) ყველა შემთხვევაში, როცა ზემდგომი სასამართლო აუქმებს დადგენილებას ვადამდე პირობით გათავისუფლების ან მასზე უარის თქმის შესახებ, საქმე გადაიგზავნება ქვემდგომ სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის მოსამართლეთა სხვა შემადგენლობის მიერ;

გ) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის გამოყენებისას სასამართლოს არ აქვს უფლება შეუმციროს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ვადა, არამედ შეუძლია ან ვადამდე პირობით გაათავისუფლოს მსჯავრდებული, ან შეუტყველოს მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელის სახით;

დ) უკეთეს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეცვლილი ჰქონდა სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელით, ახალი სასჯელის მოხდისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება არ გამოიყენება;

ე) სასამართლოებმა ვადამდე პირობით გათავისუფლების დროს არ უნდა დანიშნონ რაიმე გამოსაცდელი ვადა, ვინაიდან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის მიხედვით ჰოცემილ შემთხვევაში გამოსაცდელ ვადას წარმოადგენს სასჯელის მოუხდელი ნაწილი; ასევე არ შეიძლება ადგილი ექნეს თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ვადის შეცვლას პირობითი მსჯავრით.

ვ) პირები, რომლებსაც მისჯილი აქვთ სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, მათ მიმართ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში, ვადამდე კი არ უნდა იქნან გათავისუფლებული, არამედ ვადამდე პირობით.

5) სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლოებმა სასჯელის მოუხდელი ვადის პერიოდში იმ პირთა მიერ ჩადენილი ერთგვაროვანი ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულის შესახებ საქმეებზე განაჩენის გამოტანისას, რომელთა მიმართ ადრე გამოყენებული იყო ვადამდე პირობით გათავისუფლება, მსჯავრდებულის მიერ წინა განაჩენით მისთვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა მიუმატონ ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს.

განაჩენის გაუქმება საკასაციო წესით იმ მოტივით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ შეასრულა კანონის მოთხოვნა სასჯელის მოუხდელი ნაწილის მიმატების შესახებ, თანახმად სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების 46 მუხლისა შესაძლებელია მხოლოდ პროკურორის პროტესტით, რომელიც ამ მოტივით იყო შეტანილი.

6. მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმას, რომ ძირითადი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით გათავისუფლებისას საჭიროა აგრეთვე განხილულ იქნეს საკითხი იმ დამატებითი სასჯელებისაგანაც გათავისუფლების შესაძლებლობის შესახებ, რომლებიც აღნიშნულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლში.

7. რჩევა მიეცეს სასამართლოებს, რომ სხვა მსჯავრდებულებზე აღმზრდელი ზემოქმედების გაძლიერების მიზნით წარდგინებები ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ განიხილონ, როგორც წესი, შრომაგასწორების დაწესებულებებში გასვლით.

8. დაუშვებლად იქნეს ცნობილი სისხლის სამართლის პროცესის ყოველგვარი გაუბრალოება ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ საქმეთა განხილვისას (დიდი რაოდენობის საქმეთა დანიშვნა ერთ სასამართლო სხდომაზე, დადგენილებათა ტექსტების შემცველი წინასწარ გამზადებული ბლანკების გამოყენება და სხვ.)

დადგენილება ვადამდე პირობით გათავისუფლების ან მასზე უარის თქმის შესახებ უნდა იყოს მოტივირებული და შეიცავდეს იმ დასკვნის ვრცელ დასაბუთებას, რომელზედაც მივიდა სასამართლო წარდგინების განხილვის შედეგად.

9. ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ დადგენილებებზე უსაფუძვლობის მოტივით შეტანილი პროტესტის განხილვისას, რომელიც შეეხება დადგენილების გაპროტესტების მომენტისათვის საპატიმრო ადგილიდან გათავისუფლებულ პირს, სასამართლოებმა იმ მასალების შემოწმებასთან ერთად, რომლებიც საფუძვლად დაედო მსჯავრდებულის გათავისუფლებას, მხედველობაში უნდა მიიღონ აგრეთვე მონაცემები მისი ყოფაქცევის შესახებ საპატიმრო ადგილიდან გათავისუფლების შემდეგ.

10. მიექცეს სასამართლოები ყურადღება იმას, რომ აუცილებელია დამყარდეს უფრო მჭიდრო კავშირი მშრო-

მელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ სამეთვალყურეო კომისიებთან, საჭირო შემთხვევებში მოწვეულ იქნენ სამეთვალყურეო კომისიების წარმომადგენლები სასამართლო სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად და მოსმენილ იქნეს მათი დასკვნები ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ წარდგინებათა განხილვის დროს.

11. საჭიროა სასამართლოები განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლიან სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 45-ე მუხლის შესაბამისად აასჯელისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ მასალათა განხილვას იმ პირებია მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თვრამეტი წლის ასაკამდე.

12. სავალდებულოდ იქნეს ცნობილი, რომ სასამართლოებმა, რომლებიც იხილავენ საქმეებს ვადამდე პირობით გათავისუფლების ან სააჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ, გადაგზავნონ დადგენილებათა ასლები განაჩენის გამომტან სასამართლოში საქმეზე დასართავად.

13. რჩევა მიეცეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, სამხარეო, საოლქო სასამართლოებსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოებს სისტემატურად განაზოგადონ სასამართლო პრაქტიკა ვადამდე პირობით გათავისუფლების გამოყენებაზე და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეთა გადაწყვეტასთან დაკავშირებით სასამართლო საქმიანობაში აღმოჩენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს  
თავმჯდომარე — ა. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის  
მდივანი ი. ბრიშანიანი



გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარება წარმოადგენს ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარების ერთ-ერთ ხელშემწყობ საშუალებას. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მათი სარჩელების გამო საქმეთა სწორი და დროული გადაწყვეტა სასამართლო ორგანოების მნიშვნელოვანი ამოცანაა.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლო ორგანოები ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას ზოგჯერ კიდევ უშვებენ შეცდომებს და არასწორად იყენებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ. ეს შეცდომები იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი სასამართლო:

ა) უსაფუძვლოდ ეუბნება უარს გამომგონებლებს და რაციონალიზატორებს ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ დავათა გამო სასარჩელო განცხადებების მიღებაზე;

ბ) სასარჩელო განცხადებათა მიღებისას არ ამოწმებს წარმოდგენილი სარჩელის საფუძველს, რის შედეგადაც სწყვეტს სასამართლოს არაქვემდებარე დავებს გამოგონების სიახლის, პრიორიტეტისა და საავტორო მოწმობის გაცემის შესახებ;

გ) არსებითად იხილავს საქმეებს სავარაუდო გამოგონების ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ სარჩელთა

გამოვიდრე იგი ცნობილ იქნა გამოგონებად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის მიერ;

დ) არ იცავს აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ დებულების მე-19 პუნქტის მოთხოვნას იმ დავათა წინასწარი სასამართლოსგარეშე განხილვის წესის თაობაზე, რომლებიც ეხება გამოგონებებისათვის და რაციონალიზატორულ წინადადებებისათვის საზღაურის ოდენობას, მასზე დარიცხვასა და გაცემის ვადებს;

ე) საქმეებზე იმ გამოგონებებისადმი საავტორო საზღაურის შესახებ, რომლებიც დანერგილია 1959 წლის 1 მაისამდე, იყენებს ადრე მოქმედ კანონმდებლობას არა მარტო საზღაურის გაანგარიშების მიმართ, არამედ ამ დავათა გადაწყვეტის წესის მიმართაც;

ვ) არ გამოაქვს კერძო დადგენილებანი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უხეში დარღვევის ფაქტების, აგრეთვე გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვის და დანერგვის დროს დაშვებული ვაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტების აღმოჩენისას;

ზ) არ იხილავს საქმეებს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სარჩელების გამო უშუალოდ საწარმოებში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სარჩელების გამო საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა ზუსტად უნდა იხელმძღვანელონ კანონმდებლობით ამ საკითხზე და, კერძოდ, დებულებით აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ და ინსტრუქციით აღმოჩენებისათვის, გამოგონებებისათვის და რაციონალიზატორულ წინადადებებისათვის საზღაურის შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის დადგენილებით .

2. დებულების 44-ე და 46-ე პუნქტების შესაბამისად დაევბს გამოგონების ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ სწყვეტს სასამართლო; ამიტომ სასამართლოებმა არ უნდა თქვან უარი ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ გამომგონებელთა სასარჩელო განცხადებების მიღებაზე.

დავები ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ სასამართლოში შეიძლება აღძრულ იქნეს როგორც საავტორო მოწმობის (პატენტის) გაცემის შემდეგ, ისე მის გაცემამდე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლო, მიიღებს რა სასარჩელო განცხადებას, რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 113 მუხლის „ე“ პუნქტისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამისი მუხლების თანხმად შეაჩერებს წარმოებას საქმეზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის ცნობის მიღებამდე საავტორო მოწმობის გაცემის შესაძლებლობის შესახებ (დებულების 39-ე პუნქტი). სასამართლო საქმეს არსებითად სწყვეტს მხოლოდ იმის შემ-

დეგ, როცა კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას საავტორო მოწმობის გაცემაზე. საავტორო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შეტყობინების შემთხვევაში საქმე სასამართლოში წარმოებით ისპობა.


გამომგონებელთა დავები სიახლის, პრიორიტეტისა და საავტორო მოწმობის გაცემის შესახებ სასამართლოს არ ექვემდებარება.

3. დებულების 56-ე პუნქტის აზრით სასამართლოს ექვემდებარება დავები როგორც რაციონალიზატორულ წინადადებებზე პირველობის, ისე მისი ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ. ეს დავები სასამართლოს ქვემდებარება იმ შემთხვევებშიაც, როცა საავტორო მოწმობა გაცემული არ არის, თუმცა წინადადება დანერგილია ან დადგენილი წესით ცნობილია ისეთად, რომელიც უნდა დაინერგოს.

დავები წინადადებათა კვალიფიკაციის შესახებ სასამართლოს არ ექვემდებარება. იმ შემთხვევაში, როცა წინადადება დანერგილ იქნა, მაგრამ საწარმოს (დაწესებულების) ადმინისტრაცია უარს ამბობს იცნოს იგი როგორც რაციონალიზატორული, სასამართლო, მიიღებს რა განცხადებას ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ დავის გამო, შეაჩერებს წარმოებას საქმეზე ამ წინადადების კვალიფიკაციის განსაზღვრამდე ზემდგომი ორგანიზაციის მიერ. თუ წინადადება არ იქნება ცნობილი რაციონალიზატორულად, სასამართლო შეწყვეტს წარმოებას საქმეზე.

რაციონალიზატორული წინადადების ავტორობის (თანაავტორობის) შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაავალდებულოს საწარმოს (ორგანიზაციის) ადმინისტრაცია მისცეს ავტორს მოწმობა რაციონალიზატორულ წინადადებაზე.

4. დავები გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის



საზღაურის ოდენობის, მასზე დარიცხვის წესისა და გაცემის ვადების შესახებ ექვემდებარება სასამართლო განხილვას, უკეთეს მოსარჩელის მიერ დაცულ იქნა ამ დავათა სასამართლომდე წინასწარი განხილვის წესი, რაც გთვალისწინებულა აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ დებულების მე-19 პუნქტით.

სასამართლოს უფლება არა აქვს უარი თქვას საზღაურის ოდენობის, მასზე დარიცხვის წესისა და გადახდის ვადების შესახებ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სასარჩელო განცხადებების მიღებაზე იმ საფუძველით, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი გამომგონების ან რაციონალიზატორული წინადადების გამოყენების შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტის გაანგარიშება.

დებულების 55-ე პუნქტითა და ანაზღაურების შესახებ ინსტრუქციის მე-4 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როცა გამომგონებლის თუ რაციონალიზატორის საჩივარი საზღაურის ოდენობის, მასზე დარიცხვის წესისა და გადახდის ვადების საკითხის გამო უშედეგოდ იქნა დატოვებული უშუალოდ სამინისტროს, უწყების, სახალხო მეურნეობის საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოს კომიტეტის ხელმძღვანელის (მისი მოადგილის) მიერ, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს შეუძლიათ წარმოადგინონ სარჩელი სასამართლოში.


სასამართლოებს ექვემდებარება აგრეთვე ანაზღაურების შესახებ ინსტრუქციის მე-18 პუნქტში ჩამოთვლილ ხელმძღვანელ მუშაკთა სარჩელები რაციონ-

ალიზატორულ წინადადებებისათვის საზღაურის გადახდის თაობაზე.

5. განემარტოს სასამართლოებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის №435 დადგენილების მე-3 პუნქტი ეხება მხოლოდ ანგარიშსწორების მოხდენას გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან საავტორო საზღაურის გამო და არა ამ დავათა გადაწყვეტის პროცესუალურ წესს. ამიტომ სასამართლოებმა უნდა მიიღონ წარმოებაში საქმეები გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სარჩელების გამო საავტორო საზღაურის გადახდევინების შესახებ გამომგონების ან რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის ვადის მიუხედავად, უკეთეს დავები საბოლოოდ არ არის გადაჭრილი ადრე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და თუ მოსარჩელის მიერ დაცულია დებულების მე-19 პუნქტით დადგენილი წესი. საზღაურის ოდენობა და ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა ამ შემთხვევებში განისაზღვრება ადრე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმეებზე გამოყენებულ უნდა იქნეს რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 44-ე მუხლითა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები, უკეთეს „დებულებით აღმოჩენათა, გამომგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ“ სხვა ვადები არ არის დადგენილი (პუნქტი 44).

ყველა შემთხვევაში, როცა სასამართლო საფუძველიანად სცნობს იმ მიზეზ-



ებს, რომელთა გამოც გაშვებულია სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, მას შეუძლია გააგრძელოს ეს ვადა.

7.გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლებების და კანონიერი ინტერესების უხეში დარღვევის, ავტორობის მითვისების, თანავტორად აღიარებაზე იძულების, გამომგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვის და დანერგვის დროს დაშვებული გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის და დებულების მე-17 და მე-18 პუნქტებში მითითებულ სხვა დარღვევათა შემთხვევებში სასამართლოებმა უნდა გამოიტანონ კერძო დადგენილება იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომელთაც ბრალი მიუძღვის აღნიშნულ დარღვევებში.

8. სასამართლოებმა მკაცრად უნდა დაიცვან რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლთა მოთხოვნები და დაენმარონ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ავტორებს საჭირო დამამტკიცებელ საბუთთა შეგროვებაში.

9. რჩევა მიეცეს სასამართლოებს ფართოდ დანერგონ თავიანთ პრაქტიკაში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სარჩელების გამო საქმეთა განხილვა უშუალოდ იმ საწარმოებში, რომელთა მიერაც დანერგილია გამოგონება ან რაციონალიზატორული წინადადება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე  
**ა. გორაკინი**

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის  
მდივანი **ი. ბრიზანინი**

## ნოტარიუსის მუშაობის უმჯობესი საკითხი

### ბ. ცვიბიზვილი


საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

სანოტარო ორგანოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობათა რეგულირების საქმეში. კანონით სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოებს დაკისრებული აქვთ უმნიშვნელოვანესი ამოცანები გარიგებათა დასამოწმებლად და სხვა სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად.

სანოტარო მოქმედებათა შესრულებისას სახელმწიფო ნოტარიუსები ვალდებული არიან გაუწიონ მშრომელებს აქტიური დახმარება მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში, რათა კანონის უცოდინარობა, წერა-კითხვის მცირემცოდნეობა და სხვა ამგვარი გარემოება არ იქნეს გამოყენებული მოქალაქეთა საზიანოდ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ახორციელებენ საჭირო მუშაობას მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის.

1960 წელს ნოტარიული წესით დამოწმებულ იქნა 575.110 დოკუმენტი. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ბიუჯეტმა მიიღო თანხა 4.885.256 მანეთის ოდენობით.



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ძირითადად მოქმედი კანონის მოთხოვნათა დაცვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციას. ნოტარიუსები საგრძნობ მუშაობას ეწევიან მოსახლეობაში სანოტარო კანტორის ფუნქციათა განმარტებისა და ამ მუშაობის ფორმების შესახებ. ახორციელებენ სოფლის საბჭოების მუშაკთა ინსტრუქტირებას, მათ მიერ სანოტარო მოქმედებათა კანონის შესაბამისად შესრულების მიზნით. ანზოგადებენ მნიშვნელოვან სანოტარო მოქმედებათა პრაქტიკას, რაც დახმარებას უწევს სანოტარო კანტორებს მუშაობის უკეთ წარმართვაში.

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა ქ. თბილისის ლენინის, კიროვის, თელავის, ბორჯომის, ბათუმის, გაგრის, თერჯოლის და სხვა რაიონების სახელმწიფო სანოტარო კანტორებმა. მათ მიერ ნოტარიული წესით დოკუმენტთა დამოწმება ხდება მოქმედი კანონის სრული შესაბამისობით. ამასთან მთელ რიგ სანოტარო კანტორებში განვილი პერიოდში ჩატარებული რევიზიის შედეგები გვიჩვენებს, რომ ცალკეული ნოტარიუსების მიერ კანონების დარღვევა მათდამი დაკისრებული მოვალეობის აღსრულების ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ისინი არასაკმარისად იცნობენ სანოტარო პრაქტიკას და სუსტად იციან მოქმედი კანონმდებლობა. განსაკუთრებით იგრძნობა მოქმედი კანონის მოთხოვნათა დარღვევა სამემკვიდრეო მოწმობების გაცემისა და შენობის გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმებისას.

მოქმედი დებულების 64-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით მახარაძის და წულუკიძის რაიონების სახელმწიფო ნოტარიუსებმა, (თ. კიდურაძე, ლ. ლორთქიფანიძე, ქ. თუთაბერიძე, ვ. გუგუშვილი, შ. ხეთისავრიშვილი, ა. ჯოხაძე, ა. ხომტარია), მოქალაქეებზე (ვ. ულიაჩენკო, ი. ვეკუა, ნ. ბიათაშვილი, ს. ფანოზიშვილი, მ. სამსეიშვილი, გ. ცერცვაძე, მ. გორდაძე) ისე გაცეს სამემკვიდრეო მოწმობები, რომ არ მოთხოვეს მათ სამემკვიდრეო ქონების დამტოვებელთა გარდაცვალების ოფიციალური მოწმობები და სამკვიდროს მიმღების ნათესაური კავშირის დამადასტურებელი საბუთები. ნოტარიუსების მიერ კანონის მოთხოვნათა ასეთ შეუსრულებლობას შეიძლება მოყვეს ნამდვილ მემკვიდრეთა უფლებების სერიოზული დარღვევა.

დამკვიდრების უფლების მოწმობათა გაცემის საკითხში შეცდომების ჩადენის აცილებისათვის ნოტარიუსმა უნდა მოთხოვოს მოქალაქეს საჭირო დოკუმენტები, კერძოდ: სამკვიდროს დამტოვებლის სიკვდილის შესახებ, მემკვიდრისა და სამკვიდროს დამტოვებლის ნათესაური კავშირის შესახებ, ხოლო შენობის დამკვიდრების დროს — შენობის სამკვიდროს დამტოვებლის კუთვნილებისა და ამ შენობის სადაზღვევო შეფასების შესახებ და აგრეთვე სამკვიდროს დამტოვებლის იმ ქონების კუთვნილების შესახებ, რომელიც ექვემდებარება სპეციალურ რეგისტრაციას. კანონის სერიოზული დარღვევები აღინიშნება აგრეთვე ცალკეული სანოტარო კანტორების მიერ შენობების გასხვისების ხელშეკრულებების დამოწმებისას.

ზოგიერთი სანოტარო კანტორა (ბოლნისი, გურჯაანი, ყვარელი, ჩოხატაური, სამგორი) შენობების გასხვისების ხელშეკრულებათა დამოწმებისას (ა. გაგოშიძის, ი. აჯალოვის, ე. კოლენსიკოვას, პ. ლომსაძის, ვ. ქოროლიშვილის, ქუფარაშვილის, ქ. ალაბაზოვის, ა. არუთინოვის, ი. სეფიაშვილის და სხვათა საქმეებზე) არღვევენ საქართველოს სსრ ნოტარიატის შესა-

ხებ მოქმედი დებულების 35-36-ე მუხლების მოთხოვნებს, შენობის გამსხვივებლებს არ თხოვენ ცნობას გასასხვივებელ სახლმფლობელობაზე აკრძალვის (ყადაღის) არ არსებობის შესახებ, კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრების დადგენილებებს, რომ შენობის შემძენს გადაეცეს მიწის ნაკვეთი სარგებლობაში, კომლის წევრთა და სამეურვეო ორგანოს თანხმობას ქონების გასხვივებაზე. სანოტარო კანტორების საქმიანობაში არსებული ასეთი არასწორი პრაქტიკა ლახავს ორგანიზაციათა და მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებებს.

ცალკეული რაიონის ნოტარიუსები არ იცავენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის მოთხოვნებს და შენობის გასხვივების ხელშეკრულებებში აღნიშნავენ გასხვივებული სახლმფლობელობის არა იდეალურ, არამედ რეალურ წილს, ოთახის, სართულის და შენობის მდებარეობას, (ახალქალაქის, ტყიბულის, საგარეჯოს, დუშეთის, კასპის, სანოტარო კანტორები).

შენობის ნასყიდობის ხელშეკრულებების დამოწმებისას მოქმედი კანონის შეუსრულებლობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ ზოგიერთ ნოტარიუსს ავიწყდება, რომ საერთო საკუთრების ერთ-ერთი მონაწილის მიერ შენობის მიწი კუთვნილი წილის გასხვივების ხელშეკრულებაში შენობის რეალური ნაწილის სარგებლობის წესის აღნიშვნა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადებულია სათანადო ხელშეკრულება სხვა მონაწილეებთან ან წარმოდგენილია წერილობითი თანხმობა საერთო საკუთრების სარგებლობის წესის შესახებ.

ცნობილია, რომ ორი შენობის ერთი პირის პირად საკუთრებაში გადაცემა მოქმედი კანონით აკრძალულია, ამიტომ შენობის გასხვივების ხელშეკრულების დამოწმებისას კანონი ავალებს ნოტარიუსებს განუმარტონ მხარეებს ამ საკითხზე არსებული კანონის მოთხოვნა.

შემოწმებამ გამოავლინა, რომ ცალკეული რაიონის ნოტარიუსები (ოჩამჩირის, ქ. ბათუმის და სხვა სანოტარო კანტორები) საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის შინაარსს არ აცნობენ შენობის გამყიდველს და შემძენს, რითაც ირღვევა მოქალაქეთა უფლებები.

წულუკიძის და ქარელის სანოტარო კანტორების მიერ ბინის ნასყიდობის დამოწმებულ ხელშეკრულებებს ცალკეულ შემთხვევაში თანდართული აქვს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საქალაქო და რაიონული აღმასკომის მიერ გაცემული ცნობები, რომ გამყიდველს ნება ეძლევა გაასხვივოს პირად საკუთრებაში მყოფი შენობა. ასეთი ცნობის გამოთხოვა ნოტარიატის დებულების 35-ე და 36-ე მუხლებით გათვალისწინებული არ არის.

ხარვეზების აღმოფხვრის და სანოტარო კანტორების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საჭიროა მაღალკვალიფიციური რევიზიების ჩატარება და მნიშვნელოვან სანოტარო მოქმედებათა პრაქტიკის განზოგადების შედეგად სათანადო ღონისძიებების დასახვა, აგრეთვე კვალიფიციური კადრების შერჩევა, მათთვის სემინარების მოწყობა და სხვა, რაც უთუოდ ხელს შეწყობს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.



## აღვოკატთა შრომის ანაზღაურების ახალი სისჯავის საკითხისათვის\*

ადვოკატი ვ. ჯუღელი

ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა, რომლის ძირითადი ნორმები მოცემულია სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის მიერ 1956 წლის თებერვალში მოწონებულ სანიმუშო დებულებაში, მიუღებლად უნდა იქნეს მიჩნეული. ჯერ ერთი, აგი არ შეესაბამება შრომის ანაზღაურების სოციალისტური ფორმების ზოგად პრინციპებს, მეორეც — არ არის ცხოვრებით გამართლებული, არ პასუხობს ადვოკატურის მოღვაწეობის პრაქტიკულ ინტერესებს.

როგორც ცნობილია, ამჟამად მოქმედი წესის მიხედვით, ჩვენი შრომის ანაზღაურება წარმოებს ყველა ადვოკატისათვის დაწესებული ერთიანი სანარდო შეფასების მიხედვით შესრულებული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით.

რა კორექტივი შეაქვს ამ წესში ახალ დებულებას, რომელიც თითქოს და უფრო თანმიმდევრულად პასუხობს პრინციპს — „თვითეულს შრომის მიხედვით?“

უპირველეს ყოვლისა წამოყენებულია წინადადება, რომ დადგენილ იქნეს ადვოკატის ხელფასის გარანტირებული მინიმუმი. ეს ერთი შეხედვით მიზიღველია, მაგრამ რა სასარგებო ხარჯზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ხელფასის მინიმუმი იმ ადვოკატებისა, რომლებიც არ გამოიმუშავენ ხელფასის ნორმის (გარანტირებული მინიმუმის) მიღებისათვის აუცილებელ თანხას?

ახალი დებულების მიხედვით ასეთ წყაროს იმ ადვოკატის ხელფასის შესავსებად, რომელსაც არა აქვს გამოიმუშავება ანდა არასაკმაო გამოიმუშავება აქვს, წარმოადგენს ზოგიერთი დაქვითვა იმ ადვოკატების გამოიმუშავებიდან, რომლებმაც გადააჭარბეს ნორმას (უფრო ზუსტად, დაქვითვა ადვოკატის ხელფასის

იმ ნაწილიდან, რომელიც ნორმაზე მეტია და აღემატება დადგენილ მინიმუმს). საესებით ნათელია, რომ ერთი ხელფასის ასეთი დაქვითვა მეორის ხელფასის შესავსებად, ნიშნავს ყველა ადვოკატისათვის ერთი სანარდო შეფასების შეცვლას დიფერენცირებული სანარდო შეფასებით, რომლის დროსაც შრომა იმ ადვოკატისა, რომელმაც გადააჭარბა ნორმას, მისთვის ხელფასის დაქვითვის გამო უფრო ნაკლებად ფასდება, მაშინ როცა ადვოკატის შრომა, რომელმაც ვერ გამოიმუშავა მინიმუმი, სხვის მიერ გამოიმუშავებული თანხისაგან მისი ხელფასის შეცვლების ხარჯზე ფასდება უფრო მეტად.

სანარდო შეფასების ასეთი დიფერენციაციის შედეგად შრომა იმ პირისა, ვინც ზედმეტს მუშაობს, უფრო დაბალი შეფასებით წარმოებს, ვიდრე იმისა, ვინც უფრო ნაკლებს მუშაობს.

ახალი დებულების თანახმად იმ ადვოკატების ხელფასიდან დაქვითვის ჩარიცხვა, რომლებიც აჭარბებენ მინიმუმს, ხდება ფონდში, რომელსაც დებულებაში ეწოდება — „სარეზერვო“.

რამდენადაც ამ ფონდის დანიშნულებას შეაქვს იმ ადვოკატთა ხელფასები, რომლებმაც ვერ გამოიმუშავეს ნორმა, ეს ფონდი, თუ საენებს, დავარქმევთ თავის სახელს, უფრო სწორი იქნებოდა იწოდებოდეს კმაყოფაზე მყოფთა ფონდად.

ამ ფონდის შექმნას სწორედ ის ახალი, რაც შეაქვს ადვოკატთა შრომის ანაზღაურების წესში ჩვენს მიერ განხილულ „დებულებას“.

მაგრამ რა საერთო აქვს ამას ანაზღაურების სოციალისტური პრინციპთან, რომელიც გულისხმობს — „თვითეულს შრომის მიხედვით?“

უფროსად „სოვეტსკაია იუსტიციის“ 1959 წლის პირველ ნომერში მოთავსე-

\* იბეჭდება განხილვის წესით.

ბული სტატიის ავტორები (ვოლჩკოვი და სუხარევი) ადვოკატთა შრომის ანაზღაურების ახალ სისტემას უკავშირებენ დაბალი ხელფასის მქონე მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის გადიდების ხაზს, რომელიც უკანასკნელ წლებში ტარდება.

მაგრამ ვოლჩკოვისა და სუხარევის ეს დამოწმება ყურით არაა მოთრეული. საერთოდ ცნობილია, რომ დაბალი ხელფასის მქონე მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის გადიდების ღონისძიებას, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ატარებს, არაფერი აქვს საერთო კმაყოფაზე ყოფნის დანერგვასთან და რეგრესული სანარდო ანაზღაურების დადგენასთან.

შესაძლოა ზოგიერთმა ამხანაგმა გვისაყვედუროს, რომ ჩვენ ახალი დებულების გაკრიტიკებისას ვეყრდნობით წმინდა ფორმალურ პოზიციას, არ ვღებულობთ მხედველობაში იმ ამხანაგებისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობას, რომლებსაც არა აქვთ გამოიმუშავება.

ეს საყვედური არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად: არ შეიძლება დავა იმაზე, რომ ადვოკატის მატერიალური მდგომარეობა უმეტეს შემთხვევაში, ანდა საერთოდ სულ არ ემთხვევა მისი ადვოკატური ჰონორარის მოცულობას. ზომ ხდება ხშირად, რომ ადვოკატი, რომელსაც არა აქვს საქმარისი გამოიმუშავება ცხოვრობს მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახში, რომლის სხვა წევრები არიან დიდი ხელფასის მქონე მოსამსახურეები, და პირიქით, ადვოკატს, რომლის გამოიმუშავება საშუალო დონეს აღემატება თავის კმაყოფაზე ყავს შრომისუნარმოკლებულები, ავადმყოფები და ესაჭიროება მატერიალური დახმარება.

გადახვევა პრინციპიდან — „თვითეულს შრომის მიხედვით“ — არ არის ახალი სისტემის ძირითადი ნაკლი. მისი ყველაზე უფრო ჩრდილოვანი მხარეები ლაკავშირებულია გარანტირებული მიზნითვის გადახდის პრაქტიკულად განზორციელებასთან.

გარანტირებული მიზნითვის განაკვეთის დადგენას შეუძლია რამდენადმე გამოიწვიოს ადვოკატთა დემორალიზაცია, შეასუსტოს მათი მისწრაფება გა-

მოიმუშავების უზრუნველყოფისადმი (კლიენტების შრომატევადი დავალებების მიღებაზე უარის თქმა და ა. შ.).

ეს წინასწარ განჭვრიტეს ახალი დებულების ავტორებმაც.

ამიტომ ადვოკატის შრომისადმი მისწრაფების შესაძლებელი დემობილიზაციის საწინააღმდეგოდ დებულებაში შეტანილია ნორმა, რომლის თანახმად „იმ დროის განმავლობაში, როცა ადვოკატი სამსახურში არ არის საპატიო მიზეზის გარეშე, ფული მას არ მიეცემა“.


ამ წესის შემოღება საეხებით გასაგებია, რადგანაც პრაქტიკულად შეუძლებელია იმის შემოწმება, მიიღო თუ არა ადვოკატმა ესა თუ ის დავალება (რაც უმეტესად ცნობილია მხოლოდ ადვოკატისა და კლიენტისათვის) და ასეთ ვითარებაში შესაძლებელი რეგულირების ერთადერთი ფორმაა კონტროლი — „სამსახურში სიარულის“ ფორმალური ნიშნის მიხედვით.

უკრულ „სოვეტსკაია იუსტიციის“ 1959 წლის მესამე ნომერში მოთავსებული ვლადიმეროვის შენიშვნის მიხედვით „ადვოკატის სამსახურში სიარულის“ მოთხოვნა ნიშნავს მისთვის იმ მოვალეობის დაკისრებას, რომ იყოს იურიდიულ კონსულტაციაში „მთელი სამუშაო დროის განმავლობაში“ (როგორც დებულება მოითხოვს).

რალას ნიშნავს ამ წესის ცხოვრებაში გატარება?

ჩვენ ვიცით, რომ ადვოკატის საზოგადოებრივად სასარგებლო მოღვაწეობა ზორციელდება სასამართლო ორგანოების, არბიტრაჟის შენობებში და იმ ორგანიზაციებში, რომელთაც ადვოკატი ემსახურება.

ხოლო რამდენიმე განცხადების დაწერა, რაც ხდება იურიდიულ კონსულტაციაში, წარმატებით შეუძლია ერთ ან ორ მორიგე ადვოკატს. საკითხავია, როგორ შეიძლება გამართლებულ იქნეს ადვოკატის არანაყოფიერი და არავისთვის საჭირო სამუშაოზე ყოფნის მოთხოვნა იურიდიულ კონსულტაციაში და ამასთან დაკავშირებული დიდი რაოდენობის საათების უნაყოფო დაკარგვა, რომლებიც შეიძლება დახარჯულიყო წიგნზე მუშაობაზე (ბიბლიო-



თეკის სიმყუდროვეში ან საკუთარ სახლში), რაც ასე საჭირო და მნიშვნელოვანია თვითეული ადვოკატისათვის.

ამიტომ უცნაურია, რომ მომხრენი ახალი დებულებისა, რომლითაც ადვოკატები განწირული არიან დროის არანაყოფიერი ხარჯვისათვის იურიდიული კონსულტაციების ვიწრო და ხმაურიან ოთახებში და ამით მდაბლდებიან უნიჭო ჩინოვნიკების დონემდე, რომლებიც მოუთმენლად მოელან „სამუშაო საათების“ დასრულებას, თვლიან დებულებას საადვოკატო მუშაობის ხარისხის ამაღლების საშუალებად.

დასასრულ საჭიროდ მიგვაჩნია შეეჩერდეთ ე. წ. გარანტირებული მინიმუმების განაკვეთების საკითხზე.

დებულება გვთავაზობს დაწესდეს გარანტირებული მინიმუმის 3-4 განაკვეთი. საკითხის ასეთი გადაჭრა თითქოს მართლაც წარმოადგენს ერთადერთ შესაძლებლობას, რადგანაც რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სწორი აგველო გეზი ხელფასის გათანაბრებაზე.

მაგრამ, შეიძლება თუ არა პრაქტიკულად დავეუდგინოთ ადვოკატებს მათი კვალიფიკაციის შესაფერი მართებულ განაკვეთი.

ჩვენ ვიცით, რომ ამჟამად ადვოკატის ხელფასი სულაც არ არის პირდაპირ პროპორციული მისი კვალიფიკაციისა, სტაჟისა და სხვა საქმიანი მონაცემებისა.

ხშირია შემთხვევები, როცა ნაკლებად კვალიფიცირებულ ადვოკატებს შედარებით უფრო დიდი გამომუშავება აქვთ, მაშინ როცა მალალი კვალიფიკაციის მქონე ადვოკატებს არა ჰყავთ კლიენტურა.

რა გამოვა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავეყრდნობით კვალიფიკაციის კრიტი-

რიუმს და დავეყოფთ ადვოკატებს კატეგორიებად გამომუშავების განაკვეთის მიხედვით? უეჭველია, რომ შეიქმნება დიდი შეუსაბამობა განსაზღვრული კვალიფიკაციის მქონე, მაგრამ კლიენტურის არ მქონე ადვოკატის მალალ განაკვეთსა და მის ფაქტიურ გამომუშავებას შორის.

შეიძლება თუ არა ამ შეუსაბამობის ლიკვიდაცია „სარეზერვო ფონდის“ ხარჯზე? რა თქმა უნდა, არა, რადგანაც, როგორც უკვე შევნიშნეთ, ადვოკატის კვალიფიკაციისა და ფაქტიური გამომუშავების შეუსაბამობა მასიური მოვლენაა, ხოლო სარეზერვო ფონდის სახსრები უკიდურესად შეზღუდულია (რამდენადაც ისინი იქმნება ზედმეტი გამომუშავებიდან შედარებით დაბალი პროცენტის გამოქვითვის ხარჯზე).

მაშასადამე, გარანტირებული მინიმუმში პრაქტიკულად უნდა ემყარებოდეს ადვოკატის ფაქტიურ გამომუშავებას. მაგრამ რას ნიშნავს საადვოკატო განაკვეთების დადგენა ფაქტიური გამომუშავების მიხედვით?

ეს ნიშნავს მიაკერო მეორე ან მესამე ხარისხის ადვოკატების იარლიყი იმ კვალიფიცირებულ ადვოკატებს, რომლებსაც არ ჰყავთ კლიენტურა და პირიქით, პირველი კლასის ჩინი მიაწილო იმ იღბლიან შემგუებლებს, რომელთა მალალი გამომუშავება არ არის გამართლებული მათი საქმიანი თვისებებით.

ცხადია, რომ ასეთი დიფერენციაცია არ არის მართებული და ჯანსაღი. მას ფაქტიურად შეუძლია განამტიცოს უარყოფითი მხარეები ადვოკატთა ხელფასების განაწილებაში, რომელიც თვისთავად მართლაც მოითხოვს რეგულირებას მხოლოდ სხვა ფორმით.

## ადვოკატთა დახვითი სიგჳის შესახებ

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ გამოქვეყნებული იყო ადვოკატ კეკელიას წერილი სთაურით „ადვოკატის დაცვითი სიტყვა“. მიუხედავად იმისა, რომ წერილში ბევრი საინტერესო საკითხი სწორადაა გადაჭრილი, მაინც არ შეიძლება დავეთანხმოთ ავტორის ზოგიერთ მოსაზ-

რებას. ადვოკატი კეკელია თავის წერილში სამართლიანად აღნიშნავს „ადვოკატი ყოველთვის მალა უნდა აყენებდეს ჭეშმარიტებას, სიმართლეს. ფაქტები უნდა შესაბამებოდეს საქმეში მოცემულ მასალებს, ხოლო მისი კრიტიკა უნდა იყოს პრინციპული და ლოგიკური. ადვო-

კატს უნდა ქონდეს თავის რწმენა, მას უნდა სჭეროდეს თავისი სიმართლის. ფაქტების დამახინჯება და არასწორად მოტანა არამცთუ შევლის ბრალდებულს, არამედ ვნებს მას“ (გვ. 38) ეს მოსაზრება უთუოდ სწორია და მართებული. შემდეგ ადვოკატი კეკელია სვამს ასეთ კითხვას: „შეუძლია თუ არ ადვოკატს თავის დაცვით სიტყვაში დამნაშავედ ცნოს თავის ღაცვის ქვეშ მყოფი, როცა ეს უკანასკნელი უარყოფს ბრალდებას. ის იზიარებს და სწორად მიანინა გ. ს. სტროგოვიჩის შემდეგი მოსაზრება: „...მ შემთხვევაში, როდესაც სამართალში მიცემული უარყოფს თავის ბრალდებას და დავობს ბრალდებაზე, დამცველს არ შეუძლია და არც უნდა განაცხადოს სასამართლოში, რომ სამართალში მიცემულის გამართლება უსაფუძვლოა და მან დანაშაული ჩაიდინა“ (გვ. 39); მაგრამ ყველა შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული უარყოფს ბრალდებას, ადვოკატი რომ გაუყვას ამ მოსაზრებას, უსაფუძვლოდ მიმანინა. მოვიყვან მეტად დამაჯერებელ მაგალითს. 1960 წლის 1 თებერვალს გალის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა კ. ქარდავას საქმე, რომელსაც ჩადენილი ქონდა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ 58 „ა“ პუნქტის პირველი ნაწილით. წინასწარი გამოძიების მასალებით დადგენილ იყო, რომ კ. ქარდავამ დაარღვია მოძრაობის წესები, შემხვედრი მანქანის გვერდის აქცევის დროს გადავიდა საცალფეხო გზაზე და მანქანის ძარის წინა მხარე გაკრა საცალფეხო გზაზე მდგომ ს. არქანიას, რომელიც საავადმყოფოში მიყვანიდან 45 წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

კ. ქარდავამ წარდგენილ ბრალდებაში არც წინასწარ და არც სასამართლო სამსჯავრო გამოძიების სტადიაში თავი არ სცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ მანქანა მან არ დააჯახა ს. არქანიას. აღსანიშნავია, რომ მანქანა მოქალაქეთა შეძახილებისა და ყვირილის გამო შემთხვევის ადგილიდან 10-20 მეტრის დაშორებით გაჩერებული იქნა. შეკითხვაზე, ხომ არ მიდიოდა მის წინ რომელიმე მანქანა, კ. ქარდავამ განმარტა: არა, ასეთი არ იყო. სასამართლო ექსპერტის დასკვნით ს. არქანიას მიყენებული ჰქონდა დაზიანება მკვრივი საგნის ძლიერი დარტყმის შედეგად (გატეხილი ჰქონდა ცხვირი და თავის ქალა). ასევე ყველა მოწმებმა დადასტურეს, რომ ნამდვილად კ. ქარდავას მმართველს ქვეშ მყოფი მანქანის ძარის წინა ნაწილი მოხვდა ს. არქანიას. ამ შემთხვევაში, რა აზრი ქონდა ბრალდებულ კ. ქარდავას ვერსიას ბრალდების უარყოფაზე. და თუ მე, როგორც მისი ინტერესების დამცველი, გავყვებოდი კ. ქარდავას მიერ ბრალდების უარყოფას სტრო-

გოვიჩისა და კეკელიას მოსაზრების მიხედვით, სასამართლოს წინაშე უნდა მომეტხოვა, რათა კ. ქარდავას მიმართ გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი, რაც ნიშნავდა იმას, რომ გვერდი ამხვია ჰერმარტიტებისათვის და განგებ დამემხინჯებია ფაქტი. საქმე მართო ბრალდებულის მიერ ბრალეულობის უარყოფაში როდია. თუ ბრალეულობა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო სამსჯავრო გამოძიების დამამტკიცებელი საბუთებით უტყუარად დასტურდება, მაშინ, როგორ უნდა გაექცეთ მას, როგორ უნდა აუქციოთ გვერდი ასეთ მასალებს. ვიდრე ამ დამამტკიცებელი საბუთების მიმართ საწინააღმდეგო მოსაზრება არ არსებობს, როგორ შეიძლება მოვითხოვოთ მართო ბრალდებულის მიერ ბრალეულობის უარყოფით მისი გამართლება. თვითონ ადვოკატი კეკელია თავის წერილის დასაწყისში სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ზოგიერთი იურიტი უგულვებელყოფს ადვოკატის რწმენას და მოითხოვს, რომ მან იხელმძღვანელოს მხოლოდ ბრალდებულის ინტერესებით. ეს აზრი ყოვლად მიუღებელია საბჭოთა ადვოკატისათვის, ამტკიცებდე იმას, რაც არ გწამს, ნიშნავს უპრინციპობას და სიყალბეს. შეუძლებელია სასამართლო დააჯერო იმაში, რაც თვითონ არ გჯერა“, გვ. 58. აქ ხომ ისეთ შემთხვევაზეა ლაპარაკი, როდესაც ბრალდებული უარყოფს თავის ბრალდებას, მაგრამ ასეთი, თავისი ინტერესების დამცველს არ სჭერა. ამიტომ, ჩემის აზრით, ადვოკატის დაცვითი სიტყვა აგებული უნდა იქნეს არა ცალმხრივად ბრალდებულის მიერ ბრალეულობის უარყოფიდან გამომდინარე, არამედ წინასწარი და სასამართლო სამსჯავრო გამოძიების მიერ შეგროვილი მასალების ერთობლიობიდან გამომდინარე. ბრალდებულის პირადი ახსნა-განმარტება საქართველოს სსკ 57 მუხლით ითვლება ერთერთ დამამტკიცებელ საბუთად სხვა საბუთებთან ერთად და არა ერთადერთ დამამტკიცებულ საბუთად, თუნდაც ეს ბრალდების უარყოფას, ანდა ბრალდების აღიარებას შეეხებოდეს.

საკითხის სწორ გაგებად უნდა იქნეს მიღებული და გატარდეს ცხოვრებაში ამხ. რასულოვის მიერ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლეს საბჭოს მეორე სესიაზე 1959 წლის 22-25 დეკემბრის მოხსენებაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ „კავშირის საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო წინადა-

დებათა კომისიას შემოაქვს რა ეს წინადადება, გამოდის იქიდან, რომ დამცველი ვალდებულია გამოიყენოს ყველა კანონით გათვალისწინებული ზომები ბრალდებულის დასაცავად. აღნოუჩინოს ბრალდებულს საჭირო იურიდიული დახმარება. ამასთან საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ საბჭოთა კანონის და სოციალისტური წნეობის პრინციპების თვალსაზრისით დამცველს არ შეუძლია დაიკავოს თავი ისე, რომ ყოველგვარი საშუალებით და ხერხებით დააძვინოს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პასუხისმგებლობისაგან. საბჭოთა დამცველი უნდა ემსახურებოდეს სოციალისტური საზოგადოების კანონის სიმართლის დაცვის საქმეს. სწორედ ამით უნდა განისაზღვროს დამცველის საქციელის

(ყოფაქცევის) ხაზი ბრალდებულის დაცვის დროს. ბრალდებულის კანონიერი ინტერესების და უფლებების დაცვა—აი რა შეადგენს დამცველის ამოცანას და არა დაცვა ბრალდებულის არაკანონიერი მოთხოვნისა, რომელნიც აუცილებლად გადაიზრდებიან ხოლმე დამნაშავეისა და დანაშაულის დაცვაში. (სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის ამხ. რასულოვის მოხსენება უმაღლესი საბჭოს მე-5 მოწვევის მეორე სესიაზე ჟურნალი „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტ“ 1959 წ. № 1, გვ. 163).

**უ. დანელია,**

გალის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა  
სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის  
პასუხისმგებლობის თაობაზე კანონის დამატების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დაემატოს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 25 მუხლს მითითება სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის ქონების კონფისკაციის შესახებ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა

სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, აგრეთვე სავალუტო ფასეულობათა ან ფასიანი ქაღალდების სპეკულაცია —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე ქონების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე, სავალუტო ფასეულობისა და ფასიანი ქაღალდების აუცილებელი კონფისკაციით“.

2. დაემატოს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონს 27 მუხლი შემდეგი შინაარსით:

„მუხლი 27. სახელმწიფო დანაშაულობის დაფარვა

წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა იმ სახელმწიფო დანაშაულის, რაც გათვალისწინებულია ამ კანონის 1, 6, 9, 14, 15, 24 და 25 მუხლებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე ან გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 24 თებერვალი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის  
პასუხისმგებლობის თაობაზე კანონის 25 მუხლის დამატების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

დაემატოს სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 25 მუხლს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსით:

„სავალუტო ფასეულობით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, აგრეთვე სავალუტო ოპერაციების შესახებ წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ამ მუხლის პირველი ნაწილით იყო მსჯავრდებული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტი წლამდე ქონების კონფისკაციით“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
მდივანი **მ. გიორგაძე**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წელი 25 მარტი.



# ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გეგმების შესრულების ანგარიშგებაში წამატებისა და სხვა დამახინჯებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
დაწესდეს, რომ წამატება სახელმწიფო ანგარიშგებაში და გეგმების შესრულების შესახებ სხვა განზრახ დამახინჯებული საანგარიშო მონაცემების წარდგენა მიჩნეული უნდა იყოს სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებად, რომელიც ზიანს აყენებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას, და ის პირნი, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ამას, დაისჯებიან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.  
დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში დამატებანი ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
მდივანი მ. პიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 24 მაისი.

# ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
1. დაშვებულ იქნას სიკვდილით დასჯის — დახვერტის გამოყენება: განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის, რეწვის სახით ჩადენილი ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გასაღების მიზნით დამზადებისა და გასაღებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო და რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციასზე, ან ამ მიზნით ქმნიან დანაშაულმბრევ დაჯგუფებებს, ანდა აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში.  
ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კა-

ნონმდებლობის საფუძველთა 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაშვებულია სიკვდილით დასჯის — დახვერტის — გამოყენება სამშობლოს დატაცებისათვის, ჯაშუშობისათვის, დივერსიისათვის, ტერორისტული აქტისათვის, ბანდიტიზმისათვის, რეწვის სახით ჩადენილი ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გასაღების მიზნით დამზადებისა და გასაღებისათვის, წინასწარ განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონთა მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის, ხოლო ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში — სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვისაც იმ შემთხვევებში, რომ-

ლებიც სპეციალურად გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით.

სიკვდილით დასჯის — დახვეწის გამოყენება დაშვებულია აგრეთვე განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულებისათვის და რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს, ან ახდენენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, ანდა ამ მიზნით ქმნიან დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში.

სიკვდილი არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თერაპეტი წელი, და ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის“.

2. დამატოს სახელმწიფო დანაშაულებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 24-ე მუხლს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„იგივე მოქმედება ჩადენილი რეწვის სახით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით, ან სიკვდილით და ქონების კონფისკაციით“.

3. დაწესდეს, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, აგრეთვე მძიმე დანაშაულებისათვის მსჯავრდებული პირები, რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილას გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, აგრეთვე ქმნიან ამ მიზნით დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში —

ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით.

4. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველთა 44-ე მუხლში შეტანილ იქნას ცვლილებანი და ამ მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პირობითი — ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა გამოყენებული არ იქნება:

1) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ;

2) იმ პირების მიმართ, რომლებსადაც გამოყენებული იყო თავისუფლების აღკვეთისაგან პირობითი — ვადამდე გათავისუფლება, ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა, თუ ამ პირებმა სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე განზრახ ჩაიდინეს ახალი დანაშაული, რომლისთვისაც მათ მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა;

3) იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულებისათვის, ბანდიტიზმისათვის, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღებისათვის, სავალუტო ოპერაციათა წესების დარღვევისათვის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, გაუპატიურებისათვის, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა, ან არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის, ყაჩაღობისათვის, ქრთამის მიღება-გაცემისათვის ან მექრთამეობაში შუამდგომლობისათვის, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში“.

5. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველთა 24-ე მუხლის შესაბამისად დაწესდეს, რომ სახელმწიფო დანაშაულებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის კანონის 1-10, 14, 15, 23-25 და 27 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გამო, სასამართლოს განაჩენით დამნაშავეებს სასჯელის დამატებით ღონისძიებად შეიძლება დაენიშნოს გადასახლება ორიდან ხუთ წლამდე ვადით.

6. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებანი და დამატებანი ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
თავმჯდომარე ლ. ბრაქუნაძე  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
მდივანი მ. ბიორბაძე





საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

გამომდინარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 24 თებერვლის, 25 მარტის, 5 და 18 მაისის ბრძანებულებებიდან, რომლებიც ითვალისწინებენ სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონში და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანას, აგრეთვე 1961 წლის 24 მაისის ბრძანებულებიდან, რომელიც აწესებს გეგმების შესრულების ანგარიშგებაში წამატებისა და სხვა დამახინჯებებისათვის პასუხისმგებლობას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მუხლი 24 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა.

სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაშვებულია სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება სამშობლოს დამტყანისათვის (მუხლი 65), ჯაშუშობისათვის (მუხლი 66), ტერორისტული აქტისათვის (მუხლები 67,68), დივერსიისათვის (მუხლი 69), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78), ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გასაღების მიზნით დამზადებისა ან გასაღებისათვის, რაც ხელობადაა გადაქცეული (88 მუხლის მეორე ნაწილი). განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104 და 258 მუხლის „გ“ პუნქტი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის (მუხლი 96), სოლო ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში — სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, იმ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული სსრ კავშირის კანონმდებლობით.

სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება დაშვებულია აგრეთვე განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულებისათვის და რომლებიც ტერორით ამინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს, ან აწეობენ თავდასხმებს ადმინისტრაციასზე, ან ამ მიზნით ქმნიან დანაშაულებრივ

დაჯგუფებებს, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში (მუხლი 78<sup>1</sup>).

სიკვდილი არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, და ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის“.

2. 44-ე მუხლის პირველ პუნქტს სიტყვების შემდეგ „ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78)“ — დაემატოს სიტყვები „შრომა-გასწორების დაწესებულებების მუშაობის დეზორგანიზაციისათვის (მუხლი 78)“, სიტყვების შემდეგ: „ყარაღობისათვის (მუხლები 96 და 152)“ — დაემატოს სიტყვები: „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის (მუხლი 96)“.

ამავე მუხლს დაემატოს პუნქტი მეოთხე შემდეგი შინაარსისა:

„4) პირი, რომელიც საპატიმრო ადგილებში სასჯელის მოხდისას ჩაიდენს განზრახ დანაშაულს, მიუხედავად მის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაულისა“.


3. 46-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„გათვალისწინებს რა საქმის გარემოებებს, დანაშაულის პირობებას, აგრეთვე დანაშაულის სამუშაო ადგილიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა კოლექტივების შუამდგომლობას მისთვის პირობითი მსჯავრის დადების შესახებ, სასამართლოს შეუძლია გადასცეს ამ ორგანიზაციებს ან კოლექტივებს პირობით მსჯავრდებული ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის“.

4. მუხლი 54 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 54. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით“.

თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაო, გადასახლება, გასახლება ან სადინციპლინო ბატალიონში გაგზავნა, სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა



თავისი გამოსწორება, მის მიმართ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს, სასჯელის დანიშნული ვადის სულ ცოტა ნახევრის ფაქტიურად მოხდის შემდეგ, სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით. ამასთან, მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს აგრეთვე შემდეგი ხასის დამატებითი სასჯელებისაგან: გადასახლების, გასახლების ან გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევისაგან.

ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის სულ ცოტა ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან შემდეგი დანაშაულისათვის:

მასობრივი არეულობისათვის (მუხლი 80), მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა განზრახ დაზიანებისათვის (მუხლი 87), კონტრაბანდისათვის (მუხლი 79),

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის (91 მუხლის მესამე ნაწილი, 92 მუხლის მესამე ნაწილი, 93 მუხლის მესამე ნაწილი და 94 მუხლის მესამე ნაწილი)

განზრახ მკვლელობისათვის (მუხლი 105), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (მუხლი 110),

გაუპატიურებისათვის, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ასეთივე დანაშაული (117 მუხლის მეორე ნაწილიდან),

ქრთამის აღებისათვის (189 მუხლის პირველი ნაწილი);

წინასწარი შეცნობით უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის (192 მუხლის მეორე ნაწილი);

წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის გამოტანისათვის, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა (193 მუხლის მეორე ნაწილი);

სპეკულაციისათვის დამამძიმებელ გარემოებაში. (165 მუხლის მეორე ნაწილი).

ქურდობისათვის, ძარცვისათვის, თაღლითობისათვის, რაც ჩადენილია განმეორებით (91 მუხლის მეორე ნაწილი, 92 მუხლის მეორე ნაწილი, 93 მუხლის მეორე ნაწილი, 150 მუხლის მეორე ნაწილი, 151 მუხლის მეორე ნაწილი, 153 მუხლის მეორე ნაწილი);

ბოროტი სულიერობისათვის (228 მუხლის მეორე ნაწილი);

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი უფროსიანდში წინააღმდეგობის გაწყვის ან იძულებისათვის, რათა მან დაარღვიოს თავისი თანამდებობრივი მოვალეობა (258 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები);

5. საბჭოთა სამართალი 3მე

უფროსის მიმართ ძალადობისათვის (მუხლი 260).

თუ იმ პირმა, რომლის მიმართ გამოყენებული იყო ვადამდე პირობით გათავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმეორებაში ჩაიდინა ახალი იმავე გვარის ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაული, სასამართლოს შეუძლია ახალი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ მიუმატოს წინათ ჩადენილ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რისთვისაც იხელმძღვანელებს ამ კოდექსის 42 მუხლში დადგენილი წესებით.

ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება:

1) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ (მუხლი 44);

2) იმ პირების მიმართ, რომლებიც ადრე ვადამდე პირობით გათავისუფლებულ იქნენ თავისუფლების აღკვეთისაგან, ან რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალათ უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ მათ სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე განზრახ ჩაიდინეს ახალი დანაშაული, რომლისთვისაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა;

3) იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65—74 მუხლები), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 48), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადების ან გასაღებისათვის (მუხლი 88), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის (მუხლი 89), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის (მუხლი 96<sup>1</sup>); განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104), გაუპატიურებისათვის, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა, ან არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი); ყაჩაღობისათვის (96 და 152 მუხლები), ქრთამის აღებისა და მიცემისათვის ან მექრთამეობაში შუამდგომლობისათვის, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (189 მუხლის მეორე ნაწილი და 190 მუხლის მეორე ნაწილი)“.

5. განსაკუთრებული ნაწილის პირველ თავს „სახელმწიფო დანაშაული“ დავმატოს 78<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 78<sup>1</sup>. მოქმედებანი, რასაც დევორგანიზაცია შეაქვს შრომაგასწორების დაწესებულებათა მუშაობაში.

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, აგრეთვე მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები, რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, აგრეთვე ქმნიან ამ მიზნით დანაშაულებრივ



დაჯგუფებებს ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში, —

ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან ისჯებიან სიკვდილით“.

6. 88-ე მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„იგივე მოქმედება, ჩადენილი ხელობის სახით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადამდე ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან ისჯება სიკვდილით ქონების კონფისკაციით“.

7. მუხლი 89 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 89. სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა

სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, აგრეთვე სავალუტო ფასეულობების ან ფასიანი ქაღალდების სპეკულაცია —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე ქონების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე სავალუტო ფასეულობების და ფასიანი ქაღალდების აუცილებელი კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, აგრეთვე სავალუტო ოპერაციების შესახებ წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ამ მუხლის პირველი ნაწილით იყო მსჯავრდებული, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე“.

8. 65, 66 მუხლებს, 67 მუხლის პირველ და მეორე ნაწილს, 68 მუხლის პირველ და მეორე ნაწილს, 69, 70, 78, 79 მუხლებს, 88 მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების შემდეგ „წლამდე, ქონების კონფისკაციით“, 71 მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების შემდეგ „შვიდ წლამდე“, 71 მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების შემდეგ „ათ წლამდე“, 72 მუხლს სიტყვების შემდეგ „რვა წლამდე“, 87 მუხლს სიტყვების შემდეგ „თხუთმეტ წლამდე“, დაემატოს სიტყვები „და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე“.

9. განსაკუთრებული ნაწილის პირველ თავს „სახელმწიფო დანაშაული“ დაემატოს 90<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსის:

„მუხლი 90<sup>1</sup>. სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა. წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა იმ სახელმწიფო დანაშაულის, რაც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 65-70, 73, 78, 79, 88 და 89 მუხლებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით — ვრ-

თიდან ხუთ წლამდე და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან ისჯება გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე“.

10. განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავს „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ“ დაემატოს 96<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსის:

„მუხლი 96<sup>1</sup> — სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, მიუხედავად დატაცების ხერხისა (91-94 და 96 მუხლები), — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით და ქონების კონფისკაციით“.

11. 91 და 150 მუხლების შენიშვნებში 96 მუხლზე მითითების შემდეგ დაემატოს მითითება „96<sup>1</sup>“ მუხლზე.

12. განსაკუთრებული ნაწილის მეექვსე თავს „სამეურნეო დანაშაული“ დაემატოს 163<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 163<sup>1</sup>. წამატება და სხვა დამახინჯება გვემის შესრულების ანგარიშგებაში.

წამატება სახელმწიფო ანგარიშგებაში და გვემების შესრულების შესახებ სხვა განზრახ დამახინჯებელი საანგარიშგებო მონაცემების წარდგენა, როგორც სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედება, რაც ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.

13. 205 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვების შემდეგ „თავისუფლების აღკვეთა სამ წლზე მეტი ვადით“ და მეორე ნაწილში სიტყვების შემდეგ „თავისუფლების აღკვეთა ათი წლით და მეტი ვადით“ დაემატოს სიტყვები „(გარდა ამ კოდექსის 90<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა)“.

14. 206 მუხლში სიტყვები „დიდი ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით“ ფრჩხილებში სიტყვების შემდეგ „94 მუხლის მესამე ნაწილი“ დაემატოს სიტყვები „მუხლი 96<sup>1</sup>“.

15. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მუხლი 32 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეები „ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეები იმ დანაშაუ-

ლთა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65, 67-78<sup>1</sup>, 80, 82 ნაწ. მეორე 85, 86 ნაწ. პირველი 87-90<sup>1</sup>“, 104, 160, 163<sup>1</sup>, 192-195 მუხლებით“.

2. 88 მუხლში 89 მუხლზე მითითების შემდეგ დაემატოს „90<sup>1</sup>“; ხოლო 96 მუხლზე მითითების შემდეგ დაემატოს „96<sup>1</sup>“.

3. 126 მუხლში 65-90 მუხლებზე მითითების ნაცვლად ჩაიწეროს „65-90<sup>1</sup>“, 96 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „96<sup>1</sup>“ ხოლო 161 მუხლის შემდეგ ჩაიწეროს „163<sup>1</sup>“; სიტყვები „116 პირველი ნაწილი“ შეიცვალოს სიტყვებით „116 მეორე ნაწილი“.

4. 375 მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს მითითება 65—74, 78, 96, 104 და 152 მუხლებზე; 117 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს სიტყვები „გაუპატიურება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ასეთივე დანაშაული“; 189 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს სიტყვები „პირველი ნაწილი“.

5. 376 მუხლის მეორე ნაწილში 78 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „78<sup>1</sup>“, 87 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „88 მუხლის მეორე ნაწილი და 89 მუხლის მეორე ნაწილი“, ხოლო 96 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „96<sup>1</sup>“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე  
ბ. ქოჩუნიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი  
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1961 წლის 31 მაისი.

# ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ღ ე ბ ე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს კომუნიზმს. ამ გრანდიოზულ შემოქმედების შრომაში მთელი ენერჯით მონაწილეობენ საბჭოთა ადამიანები. მათი საგმირო საქმეები, მათი თავდადებული შრომა და ცოცხალი ინიციატივა აღტაცებს იწვევს მთელ მსოფლიოში და წარმოადგენს დაუსრუტელ წყაროს ახალი შრომითი წარმატებების მისაღწევად. საბჭოთა კონსტიტუციამ ყველასათვის უზრუნველყო შრომის უფლება, რომელსაც წარმატებით იყენებს საზოგადოების ყოველი შეგნებული წევრი, რადგან ჩვენს ქვეყანაში, სადაც დიდი ხანია აღიარებულია პრინციპი „ეინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“, შრომა წარმოადგენს ღირსების, დიდებისა და მამაცობის საქმეს. საბჭოთა ადამიანები ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ოჯახში, იცავენ საბჭო-

თა კანონებს და პატივისცემით ეპყრობიან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. მაგრამ ქალაქად და სოფლად ჯერ კიდევ არიან ცალკეული პირები, რომლებსაც ჯიუტად არა სურთ პატიოსნად იმრომონ. ასეთი ადამიანები ხშირად მოსაჩვენებლად ეწყობიან სამუშაოზე, ხოლო ფაქტიურად ცხოვრობენ არაშრომითი შემოსავლით და მდიდრდებიან სახელმწიფოს სარჯზე, მშრომელთა სარჯზე, ან შრომისუნარიანები არიან, მაგრამ საერთოდ არსად არ მუშაობენ, ეწევიან აკრძალულ რეწვას, კერძომეწარმულ საქმიანობას, იღებენ არაშრომით შემოსავალს პირადი მანქანების ექსპლუატაციით, იყენებენ დაქირავებულ მუშაკებს და იღებენ არაშრომით შემოსავალს საავტარკო და მიწის სხვა ნაკვეთებიდან, აწარმოებენ სახლების, აგარაკების მშენებლობას არაშრომითი გზით ნაშოვნი სახსრებით, ამ მიზნით იყენებენ უკანონოდ შეძენილ სამშენებლო მასალებს და სინაღიან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქციელს. კოლმე-



ურნეობებში ასეთი პირები სარგებლობენ კოლმეურნეთათვის დაწესებული შეღავათებით, თავს არიდებენ პატიოსან შრომას, ხდიან შინაურ არაყს, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, არყევენ შრომის დისციპლინას და ამით ზიანს აყენებენ არტელის მეურნეობას.

ამ პირების ასეთ პარაზიტულ არსებობას, როგორც წესი, თან სდევს ლოთობა, მორალური გახრწანა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევა, რაც უარყოფითს გავლენას ახდენს სასოფადობრის სხვა მერყევ წევრებზე.

ანტისასოფადობრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ საჭიროა გადაწყვეტი ბრძოლის წარმოება, ვიდრე ეს სამარცხინო მოვლენა მილიანად აღმოიფხვრებოდეს ჩვენს სასოფადობაში, ასეთი პირების ირგვლივ შეუწყნარებლობისა და საყოველთაო გაკიცხვის გარემოს შექმნა.

ითვალისწინებს რა მშრომელთა მრავალრიცხოვან სურვილებს ანტისასოფადობრივი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სრულწლოვანი, შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომელთაც არ სურთ შესარულონ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური მოვალეობა — პატიოსნად იშრომონ თავიანთი უნარის მიხედვით, რომლებიც თავს არიდებენ სასოფადობრივად სასარგებლო შრომას, იღებენ არაშრომითს შემოსავალს მიწის ნაკვეთების, ავტომანქანების, საცხოვრებელი ფართობის ექსპლუატაციით ან სწადიან სხვა ანტისასოფადობრივ საქციელს, რაც მათ პარაზიტული ცხოვრების საშუალებას აძლევს, გასახლებულ უნდა იქნენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ორიდან ხუთ წლამდე ვადით, არაშრომითი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციით, გასახლების ადგილას შრომითს საქმიანობაში აუცილებელი ჩაბმით.

ზემოქმედების ასეთივე ზომები გამოყენებულ იქნება აგრეთვე იმ პირების მიმართ, რომლებიც თვალის ასახვევად ეწყობიან სამუშაოდ საწარმოებში სახელმწიფო და სასოფადობრივ დაწესებულებებში ან ითვლებიან კოლმეურნეობის წევრებად და, სარგებლობენ რა მუშების, კოლმეურნეობისა და მოსამსახურეების შეღავათებითა და უპირატესობებით, სინამდვილეში არყევენ შრომის დისციპლინას, ეწევიან კერძომეწარმულ საქმიანობას, ცხოვრობენ არაშრომითი გზით მოპოვებული სახსრებით ან სწადიან სხვა ანტისასოფადობრივ საქციელს, რითაც პარაზიტული ცხოვრების საშუალება ეძლევათ. ეს ზომები ინიშნება როგორც რაიონული (საქალაქო)

სახალხო სასამართლოს დადგენილებით, ისე სასოფადობრივი განაჩენით, რომელიც გამოაქვთ მშრომელთა კოლექტივებს საწარმოებში, საამქროებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეობრივადებში.

სასოფადობრივ განაჩენს გასახლების შესახებ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

იმ შემთხვევებში, როცა საქმის გარემოებათა გამო საჭიროა გადაწყდეს საკითხი არაშრომითი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციის შესახებ, არსებითად საქმე მილიანად ექვემდებარება განსახილველად რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილება ან სასოფადობრივი განაჩენი გასახლების შესახებ გამოტანილ იქნება მას შემდეგ, რაც პირი, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, მიუხედავად სასოფადობრივი ორგანიზაციების ან სახელმწიფო ორგანოების გაფრთხილებისა, დაწესებულ ვადაში არ დააღვა პატიოსანი შრომითი ცხოვრების გზას.

2. იმ პირთა გამოვლინებას, რომელნიც ეწევიან ანტისასოფადობრივ პარაზიტულ ცხოვრებას, და ყველა იმ გარემოებათა შემოწმებას, რომლებიც ამას ეხება, აწარმოებენ სახელმწიფო და სასოფადობრივი ორგანიზაციები, მშრომელთა კოლექტივები, მილიციისა და პროკურატურის ორგანოები მათ ხელთ არსებული მასალების მიხედვით. შემოწმების დამთავრების შემდეგ პროკურორის სანქციით მასალა ეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს ან მშრომელთა კოლექტივს განსახილველად.

3. იმ პირის შესახებ მასალების შემოწმებისა და განხილვის დროს, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, თუ მის მოქმედებაში დადგენილ იქნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, ასეთი პირის შესახებ საქმე იგზავნება პროკურატურის ორგანოებში.

4. როგორც მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, ისე რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილება იმ პირის მიმართ, რომელიც თავს არიდებს სასოფადობრივად სასარგებლო შრომას და ეწევა ანტისასოფადობრივ პარაზიტულ ცხოვრებას, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადა-

წყვეტილებებს, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებებს, აგრეთვე საზოგადოებრივ განაჩენებს გასახლების შესახებ, მას შემდეგ რაც ისინი დაამტკიცა აღმასკომმა, სისრულეში მოყვანენ მილიციის ორგანოები.

იმ პირებს, რომლებიც გასახლების ადგილებში თავს არიდებენ შრომას, მილიციის ორგანოების წარდგენით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები მიუსჯიან გამასწორებელ სამუშაოებს ხელფასიდან 10 პროცენტის დაკავებით; ხოლო იმ შემთხვევაში, როცა გამასწორებელ სამუშაოებსაც არიდებენ თავს, სასამართლოს შეუძლია შეუცვალოს მათ სასჯელი თავისუფლების აღკვეთით იმ წესით, რაც ვათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებით. გამასწორებელი სამუშაოების ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის დრო გასახლების ვადაში არ ჩაითვლება.

გასახლების ადგილიდან, ან იმ ადგილას ვაგზავნის დროს გზიდან გაქცევა ისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204 მუხლის შესაბამისად.

6. თუ ის პირი, რომელიც გასახლებული იყო,

სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, იგი გასახლების ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ შეიძლება ვადამდე გაათავისუფლოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით გასახლების ადგილის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ან რაიონულმა (საქალაქო) სახალხო სასამართლომ გასახლებულის წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით.

7. დავეალოს საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიიღოს დადგენილება ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

8. ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულება „ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
თავმჯდომარე — ბ. ძიუჭინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
მდივანი — ზ. გელდიავიძილი

ქ. თბილისი, 1961 წ. 14 ივნისი.



## საქართველოს კულტურა

1876 წლიდან ოთხი ათეული წლის განმავლობაში რუსეთში სისტემატურად გამოდიოდა „იურიდიული კალენდარი“. უფრო გვიან, 1912 წლიდან გამოსვლა იწყო ე. წ. „იურისტების კალენდარმა“. ჩვეულებრივი კალენდარისაგან განსხვავებით, აღნიშნული კალენდარები შეიცავდნენ მეტად მნიშვნელოვან ცნობებს სასამართლო, საგამომძიებლო, ნოტარიატის და ადვოკატურის ორგანოების მუშაობის შესახებ. კალენდარები დიდ დახმარებას უწევდნენ მოსახლეობას იურიდიული მომსახურების საკითხში, აგრეთვე იუსტიციის ორგანოების მუშაობის პრაქტიკულ მოდერნიზაციაში. თვითივე კალენდარი გამოდიოდა წელაწელში. თვითივე და იძლეოდა ზუსტ წარმოგენას მოქმედი იურიდიული დაწესებულებების შესახებ, ამ დაწესებულებაში მომხდარი ცვლილებებისა, ახალი საკანონმდებლო და მნიშვნელოვანი აღმინისტრაციული აქტების შესახებ და სხვა.

იურიდიული და იურისტების კალენდარების მიხედვით დინტერესებულ პირს შეეძლო ადვილად გარკვეულიყო თუ სად მდებარეობდა ესა თუ ის იურიდიული დაწესებულება, ვის ექვემდებარებოდა ცალკეული საკითხების განხილვა, რა პირობები არსებობდა საკითხის დაყენებისათვის, საქმის წარმოების ვადებში, ბაჟის საკითხში, ახალ საკანონმდებლო აქტებში, უფლებრივ და ბევრ ისეთ საკითხებში, რომლებიც მეტად სპეციფიური იყვნენ და მოითხოვდნენ არა მარტო იურიდიულ ცოდნას და გამოცდილებას, არამედ სპეციალურ ცნობებსაც, რომლებიც ცალკეულ იურისტებს შეიძლება არც კი ჰქონდათ.

სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც მოსახლეობის იურიდიული მომსახურება პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობისა და ყურადღების ცენტრში იმყოფება, ასეთი კალენდარების შექმნა დიდად

შეუწყობდა ხელს ამ საკითხის უკეთ ორგანიზაციას.

მრავალი მავალითის დასახელება შეიძლება, როდესაც მოქალაქეს სურს მიმართოს სასამართლოს ან პროკურატურას და მან არ იცის ამ დაწესებულების მისამართი, არ იცის რომელ საათებში აქვს მიღება ცალკეულ თანამდებობის პირს და ყოველივე ამის დადგენაში კარგავს ძვირფას დროს. ხშირია შემთხვევა, რომ მოქალაქეებს სხვადასხვა რაიონებიდან დედაქალაქში უხდებათ ჩამოსვლა რესპუბლიკის პროკურატურაში, უმაღლეს სასამართლოში და იუსტიციის სხვა დაწესებულებებში. ზუსტი ცნობების უქონლობის გამო, ისინი გარდა ამისა, რომ კარგავენ დიდ დროს, ეწევიან ზედმეტ ხარჯებს და აწყდებიან წინააღმდეგობებს, რომელთა თავიდან აცილება სრულიად უბრალოდ შეიძლება.

ზოგჯერ მოქალაქემ არ იცის სად მიიღოს იურიდიული კონსულტაცია, სად მოძებნოს მისთვის სასურველი ადვოკატი, სად შეიძლება შეიძინოს საღებრო მარკა, სად გადაიხადოს ჯარიმა და ბევრი სხვა, რაც ერთი შეხედვით წვრილმანია, სინამდვილეში კი ბევრ უხერხულობას ქმნის და იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას.

ასეთ კალენდარში მოცემული უნდა იყოს სისხლის, სამოქალაქო და საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დებულებების გადმოცემა.

საჭიროა უახლოეს ხანში გამოცემულ იქნას „იურიდიული კალენდარი“. ამ საკითხში ინიციატივა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ უნდა გამოიჩინოს.

### 3. შპანიძე

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლე

## საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმი

მიმდინარე წლის 31 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ს. ქაჯაიას მოხსენება — „რესპუბლიკაში წესამართლობის მდგომარეობის შესახებ 1960 წლას მეორე ნახევარსა და 1961 წლის პირველ კვარტალში“ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ფარქოსაძის მოხსენება — „სასამართლო პრაქტიკის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების მიერ 1960 წლის განმავლობაში განხილული შრომის დავის საქმეებზე“.

პირველ საკითხზე მომხსენებელმა განაცხადა: — 1960 წლის მეორე ნახევარსა და 1961 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა განახორციელეს ღონისძიებანი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. სასჯელის მკაცრი ზომები ეფარდება დამნაშავეებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან კატეგორიის საქმეებზე, შემცირდა ვადების დარღვევით საქმეთა განხილვა, გაუმჯობესდა სამსჯავრო გამოძიების ხარისხი და სხვ. შემდეგ ამ. ს. ქაჯაია შეჩერდა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რაც ჯერ კიდევ სასამართლო ორგანოებს გააჩნიათ თავიანთ საქმიანობაში.

— 1960 წლის მეორე ნახევარში, — ამბობს მომხსენებელი, ვადების დარღვევით განხილულ იქნა საქმეთა 14 პროცენტი, მიმდინარე წლას პირველ კვარტალში — 15 პროცენტი.

მომხსენებელს მოყავს საქმეთა უსაფუძვლო გაჭიანურების კონკრეტული მაგალითები. 1957 წლის 31 ივლისიდან 1960 წლის 27 აგვისტომდე ჭიანჭურდებოდა ასპინძის სარაიონთაშორისო პროკურატურასა და სახალხო სასამართლოში სახელმწიფო თანხების გამფლანგველ ვინმე კ. ჯულელის საქმის განხილვა. აღნიშნული საქმე ოთხჯერ იქნა დაბრუნებული დამატებითი გამოძიებისათვის, ამ ხნის განმავლობაში კ. ჯულელმა მოახერხა თავი დაეძვინა შესაფერისი სასჯელისაგან (სახალხო მოსამართლე გ. მათუშოვი).

5 თვეზე მეტ ხანს გაჭიანურდა მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოში ზ. კიარბიძის ბრალდების საქმის განხილვა. ამ ხნის გან-

მავლობაში პროცესი მისი მოუშაღებლობის გამო 9-ჯერ ჩაიშალა, მეთედ კი დაბრუნებულ იქნა დამატებითი გამოძიებისათვის.

სამ თვეზე მეტი გაჭიანურდა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოში სპეკულანტ ე. ბაწუშვილის საქმის განხილვა. ამ ხნის განმავლობაში 4-ჯერ ჩაიშალა პროცესი მოუშაღებლობის გამო.

ბევრა გასაჩივრებული განაჩენების გაუქმების შემთხვევები. 1960 წლის მესამე კვარტალში გასაჩივრებულ განაჩენებიდან გაუქმდა 8,4 პროცენტი, მეოთხე კვარტალში კი 7,9 პროცენტი. საქმეების განხილვის ვადების დარღვევებს ადგილი აქვს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოშიც.


შემდეგ მომხსენებელს მოყავს კონკრეტული მაგალითები განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა მიმართ ლმობიერი განაჩენების გამოტანისა, მოქალაქეთა უსაფუძვლოდ პასუხისგებაში მიცემისა და მსჯავრდადების ფაქტები, აგრეთვე ფაქტები, როდესაც მოსამართლეებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და პიროვნების გაუთვალისწინებლად გამოაქვთ მკაცრი სასჯელები.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო სახალხო სასამართლოების გამსვლელი სესიების მნიშვნელობას. ამ მხრივ რესპუბლიკაში ძალზე ცუდი მდგომარეობაა. 1960 წლის მეორე ნახევარში და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამსვლელი სესიები ძალზე მცირე რაოდენობითაა ჩატარებული. მაგალითად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამსვლელ სესიაზე არცერთი საქმე არ განუხილავს ქ. თბილისის ლენინის, კიროვის რაიონების, ქ. გორის, ახმეტის, გურჯაანის, დმანისის, კასპის, საგარეჯოს, ტყუბულის სახალხო სასამართლოებს.

მომხსენებელი ყურადღებას ამახვილებს საკითხზე თუ რა მნიშვნელობა აქვს სასამართლო პროცესებზე საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და დამცველთა მონაწილეობას, სასამართლო ორგანოების მუშაების მიერ მოსახლეობაში ლექცია-მოხსენებების ჩატარებას, პრესაში მოსამართლეთა მონაწილეობას.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავ-





მკდომარე ვ. ღვინჯილია, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ცქიტიშვილი, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი დ. ბაღათურია, სამხრეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე პ. შორაშაძე.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ე. ტაყიძემ, რომელმაც აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულობათა აღმოფხვრის საქმეში პროფილაქტიკურ აღმზრდელობითი ღონისძიებებს, რაც უნდა განხორციელდეს საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით.

შემდეგ აშხ. ე. ტაყიძე დაწვრილებით ანალიზს უკეთებს სახალხო სასამართლოების მიერ განხილულ ცალკეულ საქმეებს, სადაც დარღვეულია პროცესუალური ნორმები, ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე გამწესრიგებელი სხდომების მუშაობისა და წინასწარი გამოძიების მასალების ღრმად შესწავლის მნიშვნელობაზე.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ფარქოსაძე.

— ჩვენი ქვეყნის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში ყველა სამუშაო უბანზე, — ამბობს მომხსენებელი, — ყველა პირობა შექმნილი იმისათვის, რომ მოქალაქემ თავისუფლად იმუშაოს მისი უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით და მიიღოს შრომის ანაზღაურება მის მიერ დახარჯული შრომის მიხედვით.

შემდეგ აშხ. ვ. ფარქოსაძე შეჩერდა იმაზე, თუ რა ღონისძიებანი გატარდა რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებში შრომითი დავის საქმეებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულების — „შრომითი დავის განხილვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ და 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულების „სადაბრიკო, საქარხნო პროფესიონალური კავშირის ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ გამოცემის შემდეგ.

მომხსენებელი კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფს, რომ საწარმო-დაწესებულებებისა და ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელებში ზოგჯერ არასწორად ათავისუფლებენ მუშა-

კებს სამუშაოდან და ასევე არასწორად ეუბნებიან უარს კუთვნილი ფულადი თანხის ანაზღაურებაზე.

შეეხო რა პროფესიული ორგანიზაციების როლს შრომითი დავების განხილვის საქმეში, აშხ. ვ. ფარქოსაძემ მოიყვანა იმის მაგალითები, როდესაც პროფკავშირის სადაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტები შრომითი დავების განხილვის დროს არ იცავენ მუშაკის უფლებებსა და ინტერესებს.

— სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, — განაგრძობს აშხ. ვ. ფარქოსაძე, — რომ სახალხო სასამართლოები ძირითადად სწორად და კანონის შესაბამისად ასორციელებენ შრომითი დავის კატეგორიის საქმეების განხილვას; მაგრამ არის იმის შემთხვევებიც, როდესაც სახალხო სასამართლოები შრომით დავათა არსებითად განხილვისას საფუძვლიანად არ სწავლობენ საქმეში არსებულ მასალებს და არ ამოწმებენ საქმის ირგვლივ არსებულ ყველა დეტალს.

მაგალითისათვის მომხსენებელი ასახელებს მოქ. თხელიძის მაგალითს, რომელსაც ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახალხო სასამართლომ უსაფუძვლოდ უთხრა უარი სამუშაოზე აღდგენაზე.

შემდეგ მომხსენებელმა პლენუმის მონაწილეთა ყურადღება მიამჩნია იმას, რომ სახალხო სასამართლოებში სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვის დროს პროკურორები ყოველთვის არ ღებულობენ მონაწილეობას. სამუშაოზე აღდგენის შესახებ შესწავილლ საქმეებიდან პროკურორებს მონაწილეობა მიღებული აქვთ განხილულ საქმეთა რაოდენობის 41,2 პროცენტზე.

შემდეგ მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა კონკრეტულ ღონისძიებებზე, რაც უმოკლეს დროში უნდა განხორციელდეს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სასამართლო ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

აშხ. ვ. ფარქოსაძის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ცქიტიშვილმა, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გრ. ბიწაძემ, სამხრეთ ოსეთის ასსრ უმაღლესი სა-

სამართლოს თავმჯდომარემ პ. შაორშაძემ, საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო საქმეთა განყოფილების უფროსმა კ. ასიეიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა: უ. კაპანაძემ, გ. დედეაძიანმა და ნ. გაჯიევმა. განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილებები.\*

პლენუმმა მოიხმინა ორგანიზაციული საკითხი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლისთან არსებულ დისციპლინარულ კოლეგიის

წევრად ერთხმად იქნა არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი დ. გიორგაძე.

პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და საქართველოს სსრ პროკურორის პროტესტები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის ცალკეულ საქმეებზე.

### საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსთან არსებულ დისციპლინარულ კოლეგიას

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსთან არსებულმა დისციპლინარულმა კოლეგიამ თავის მორიგ სხდომაზე განიხილა კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ნ. გვინიაშვილის საკითხი.

სახალხო მოსამართლე ნ. გვინიაშვილის თავმჯდომარეობით 1961 წლის 27 მარტს გაწოდებულ იქნა თ. მაჭარაშვილის ბრალდების საქმე, რომლის დანაშაული გათვალისწინებული იყო საქართველოს სსკ 112-ე მუხლის პირველი ნაწილით.

თ. მაჭარაშვილი სახალხო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და მიესჯა ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა და განაჩენის გამოტანისთანავე აყვანილ იქნა პატიმრობაში.

საქართველოს სსკ 25 მუხლით, სასამართლოს უფლება არ ქონდა სასჯელის ზომად განესაზღვრა ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა, გარდა ამისა, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის, რომ თ. მაჭარაშვილს ჰყავდა ორი მცირეწლოვანი შვილი, რაც სასამართლოსათვის ცნობილი იყო საქმის განხილვის დროს.

განაჩენის გამოტანის მეორე დღეს სასამართლო იძულებული გახდა გამოეტანა დამატებითი დადგენილება თ. მაჭარაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სახალხო მოსამართლე ნ. გვინიაშვილი არ იცავს საქართველოს სსკ კანონის მოთხოვნას.

კოლეგიამ იხელმძღვანელა რა მოსამართლეთა დისციპლინური დებულების მე-16 მუხლის

„ა“ პუნქტით, კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს ნ. გვინიაშვილს გამოუცხადა საყვედური.

დისციპლინარულ კოლეგიაში განხილულ იქნა აგრეთვე მარნეულის რაიონის სახალხო მოსამართლე მამედოვ მამედ გასან ისმაილ ოღლის საკითხი.

სახალხო მოსამართლე მ. მამედოვმა მარნეულის რაიონის პროკურატურიდან გამოგზავნილ მ. კიარიმოვის სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში მიიღო 1960 წლის 10 სექტემბერს და განსახილველად დაწინა იმავე თვის 28 სექტემბერს, ე. ი. 18 დღის შემდეგ.

იმის გამო, რომ სახალხო სასამართლოს მიერ არ იყო გატარებული საჭირო ზომები მოწმეებისა და სამართალში მიცემულის პროცესზე გამოცხადებისათვის, საქმის განხილვა ცხრაჯერ გადაიდო, ხოლო უკანასკნელად 1961 წლის 22 თებერვალს სამსჯავრო სხდომის დადგენილებით აღნიშნული საქმე დაბრუნებულ იქნა დაპატივით გამოძიებზე ბრალდების დამძიმების მოტივით.

სახალხო მოსამართლე მ. მამედოვმა სრულყოფილად არ შეისწავლა მ. კიარიმოვის სისხლის სამართლის საქმე, არ მიიღო საჭირო ღონისძიებანი სასამართლო პროცესის მომზადების უზრუნველსაყოფად, ყოველივე ამან კი გამოიწვია აღნიშნული საქმის განხილვის გაჭიანჭურება ხუთი თვის განმავლობაში.

კოლეგიამ იხელმძღვანელა რა მოსამართლეთა დისციპლინური დებულების მე-16 მუხლის „ა“ პუნქტით, მარნეულის რაიონის სახალხო მოსამართლე მამედოვ მამედ გასან ისმაილ ოღლის გამოუცხადა საყვედური.

\* პლენუმის დადგენილებანი გამოქვეყნდება ჟურნალის შემდეგ ნომერში.

## პრეპარატურისა და მილიციის ერთობლივი მუშაობისათვის

ამას წინათ, საქართველოს სსრ პროკურატურაში ჩატარდა თათბირი რესპუბლიკის პროკურატურისა და მილიციის მუშაკთა მონაწილეობით, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. მეგრელიშვილმა.

თათბირზე მოხსენებით „პროკურატურისა და მილიციის ორგანოების როლი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა გახსნის საქმეში“ გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი ანს. კ. გედევანიშვილი. ილაპარაკა რა პროკურატურისა და მილიციის ორგანოების ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობაზე, მომხსენებელმა ფაქტობრივი მონაცემების ანალიზით ცხადყო საშიშ დანაშაულობათა დროულად გახსნის საქმეში პროკურატურისა და მილიციის ორგანოების ერთობლივი მუშაობის დიდი მნიშვნელობა. ზოგჯერ პროკურატურისა და მილიციის მუშაკები ზერელედ, უფულისყუროდ ეკიდებიან შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, გამოძიებისას არ სწავლობენ ყველა დეტალს. ყოველივე ეს იწვევს საქმეების ვაკუანურობას. მომხსენებელმა მოიყვანა საგარეჯოს რაიონში მომხდარი გოდერძიშვილის მკვლელობის მაგალითი. მილიციის ორგანოებმა უყურადღებოდ დატოვეს მკვლელობის დროს აივანზე დარჩენილი სისხლის კვალი, არ შეამოწმეს მოკლულის ახლოს დაგდებული თოფიდან როდის იყო მომხდარი გასროლა, მოწმეები დაკითხეს მკვლელობის დღიდან ორ-სამი კვირის შემდეგ, ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ გოდერძიშვილის მკვლელობის საქმე დღესაც გაუხსნელია.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, ამბობს მომხსენებელი, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ გაუხსნელია მკვლელობის 27 საქმე. ყოველივე ამას ადგილი არ ექნებოდა, რომ მილიციისა და პროკურატურის მიერ ყურადღება ექცეოდეს შემთხვევის ადგილის გულმოდგინედ დათვალიერებას. შემდეგ ანს. კ. გედევანიშვილი ვრცლად შეეხო გამოძიებლის როლს სახელმწიფო ქონების დამტაცებლებისა და გამნიაველების გამოვლენის საქმეში.

მომხსენების ირგვლივ გამართულ კამათში პირველი გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომკვლევო განყოფილების უფროსი გ. სოგორაშვილი, რომელმაც თათბირის მონაწილეებს მოუთხრო იმ დონისძიებებზე, რასაც მილიციის სამმართველოს საგამომკვლევო განყოფილება ატარებს გამოძიების დროულად დამთავრებისათვის.

ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა ი. ყორღანიამ მოიყვანა იმის მაგალითები, როდესაც მილიციის ორგანოები, ვადსცემენ რა საქმეს პროკურატურას, შემდეგ არავითარ დაინტერესებულს არ იჩენენ მათ მიერ წარმოებულ საქმეებზე. მაგალითისათვის მან დაასახელა ქ. თბილისის ლენინის რაიონი, სადაც პროკურატურას ვადაცა 12 გაუხსნელი საქმე, რის შემდეგ ამ საქმეების ბედით აღარ დაინტერესებულან. აღნიშნული საქმეები კი დღემდე გაუხსნელია.

მილიციის სამმართველოს გაფლანგვა-დატაცებასთან ბრძოლის განყოფის უფროსმა ანს. ბ. ბონდარენკომ დააყენა საკითხი, რათა სისტემატურად ჩატარდეს მილიციისა და პროკურატურის მუშაკთა სემინარები. მან მოიყვანა მაგალითები, როდესაც სასამართლოს და პროკურატურის ორგანოები 5-10 წლამდე მისჯილ პატიმრებს კასაციამდე ტოვებენ პატიმრობის ვარგში, ხოლო ისინი ხშირ შემთხვევებში იმალებიან.

საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა დ. ქორიძემ წამოაყენა წინადადება, რათა მილიციისა და პროკურატურის მუშაკებისაგან შეიქმნას ჯგუფები, რომელშიაც შევლენ ამ ორგანოების გამოცდილი მუშაკები, რომლებიც იმუშავენ გაუხსნელი საქმის გამოძიებაზე.

მილიციის სამმართველოს სამებრო განყოფილების მუშაკმა პ. კოვანმა თათბირს გაუზიარა ლენინისა და კიროვის რაიონების მილიციის განყოფილებების მუშაობის შემოწმების შედეგად გატარებული ღონისძიებანი.

რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა გ. ნადარეიშვილმა თათბირის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა უფრო მეტად დამყარდეს კონტაქტი პროკურატურისა და მილიციის ორგანოებს შორის მიმალულ დამნაშავეთა დაქვანის საქმეში.

თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსი გ. შელია. მან თათბირს აღუთქვა, რომ მილიციის სამმართველო ქმედით ზომებს ვატარებს ყველა ამ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რაც მილიციის ორგანოებს გააჩნიათ თავიანთ მუშაობაში. მან მოიყვანა იმის მაგალითები, რომ ზოგჯერ პროკურატურის ორგანოებმა უსაფუძვლოდ აკუანტრებენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა გამოძიების საქმეებს. მაგალითისათვის დაასახელა გაფლანგველ ვინმე ხახუ-

ბიას საქმე, რომლის მიმართ პროკურატურამ საქმე წარმოებით მოსპო.

— აღნიშნული თათბირი ამბობს ამხ. გ. შვილია, წინ გადადგმული ნაბიჯია პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ა. გიგაურმა.

თათბირმა დასახა ღონისძიება, რომლის ცხობრებაში გატარება გააუმჯობესებს პროკურატურისა და მილიციის ერთობლივ მუშაობას.

**დ. ნანობაშვილი**

**სემინარი ამხანაგური სასამართლოების კახივისკოვის**

ამას წინათ, ვ. აბაშიძის სახელობის კულტურის სახლში, ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს ინიციატივით ჩატარდა საწარმო-დაწესებულებების ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეების, მოადგილეების და წევრების სემინარი.

სემინარზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: „საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრი-

ბის როლის ამაღლების შესახებ“. (მომხს. ა. იობიძე), „ამხანაგური სასამართლოების ამოცანებისა და ორგანიზაციის შესახებ: საქმეები, რომლებსაც განიხილავენ ამხანაგური სასამართლოები და ამხანაგურ სასამართლოში საქმეების განხილვის წესი“. (მომხს. ე. კუბლაშვილი); „საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, რომლებსაც ამხანაგური სასამართლოები იყენებენ ამხანაგური სასამართლოების ხელმძღვანელობა“, (მომხს. ბ. სტურუა).

მომხსენებლებმა ამომწურავი პასუხი გასცეს სემინარის მონაწილეთა მრავალ შეკითხვას.

ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებმა სურველი გამოთქვეს პერიოდულად მოეწოს ასეთი სემინარები, აგრეთვე საინსტრუქტაჟო თათბირები, წინადადება შემოიტანეს, რათა სემინარებს დაესწრონ წარმოება-დაწესებულებათა და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

**მეხნიერული სხდვრები**

**სტუდენტთა სამეცნიერო წრეებში**

ნაყოფიერ, საინტერესო მუშაობას ეწევა ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება (თავმჯდომარე — სტუდენტი ბ. ფხალაძე).

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში გაერთიანებული არიან სისხლის, სამოქალაქო და სახელმწიფო სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო წრეები.

წრეებში გაერთიანებული არიან მოწინავე სტუდენტები, რომელთაც ხელმძღვანელობას უწევენ გამოცდილი პედაგოგები—პროფესორი ალ. ვაჩიიშვილი, დოც. გ. ერემოვი, დოც. ს. მრევლიშვილი.

კარგად მუშაობს სამოქალაქო სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს დოცენტი ო. გამყრელიძე. წრის მუშაობაში გაერთიანებულია 20 სტუ-

დენტი. დღემდე წაკითხულ იქნა 8 მოხსენება. კარგი შეფასება მიიღო ნ. ნადარეიშვილის მოხსენებამ „მემკვიდრეობა კანონით“, ი. მახარაძის „გამომგონებლობის დაცვის ფორმები“, ს. ეფრემიძის „საავტორო უფლება“.

სისხლის სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, რომელსაც პროფესორი ალ. ვაჩიიშვილი ხელმძღვანელობს დღემდე წაკითხულ იქნა 7 მოხსენება. მათგან მოწონება ხვდა ბ. ფხალაძის თემას „საზოგადოებრიობის მონაწილეობა დანაშაულთან ბრძოლაში“, გ. ფხალაძის თემას „თანამონაწილეობა საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით“ და სხვ.

ასევე ნაყოფიერად მუშაობს სახელმწიფო სამართლის სტუდენტთა სამეცნიერო წრე, (ხელმძღვანელი დოც. გ. ერემოვი). წრის სხდომაზე კარგი შეფასება დაიმსახურა სტუდენტების დ. კუხალიეშვილის და ნ. პაპავას მოხსე-



ნებებმა: „სასამართლო ორგანოების არჩენე-  
ბი სსრკ-ში“ და „კაპიტალიზმიდან სოციალიზმ-  
ში გადასვლის ფორმები“.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული ფაკულტე-  
ტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს რეს-  
პუბლიკის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ სტუ-  
დენტთა სამეცნიერო კონფერენციებში. ნ. ქავ-  
თარაძემ და ვ. არზამ — ქ. რიგის უნივერსიტე-

ტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე,  
ხოლო ლენინგრადში სტუდენტ იურისტთა  
პირველ საკავშირო კონფერენციაზე, რომე-  
ლიც ახლახან ჩატარდა ყურადღება მიიბყრო  
სტუდენტ ბ. ფხალაძის მოხსენებამ „საზოგა-  
დოებრიობის მონაწილეობა დანაშაულოთან  
ბრძოლაში“.

### ქართველი იურისტის გამოკვლევა გერმანულ ჟურნალში




გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის  
წამყვანმა იურიდიულმა თეორიულმა ჟურ-  
ნალმა — „შტაატ უნდ რეხტ“-მა წამოიწყო  
მისასაღმებელი ინიციატივა — სოციალისტური  
ქვეყნების იურიდიული დარგის მეცნიერ მუ-  
შაკთა მიერ გამოქვეყნებული უმნიშვნელოვა-  
ნისი წერილებს მოკლე შინაარსის ვადმოცემა  
თავის ფურცლებზე.

ამ ცოტა ხნის წინათ (№ 2, 1961 წ.) ასეთ  
წერილებს შორის ჟურნალმა გამოაქვეყნა ს.  
ჯორბენაძის სტატიის „უკიდურესი აუცილებ-  
ლობა საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა-  
ში“—მოკლე შინაარსი.

ამ გამოკვლევაში,--წერს ჟურნალი,—ს. მ.  
ჯორბენაძე ამხვილებს ყურადღებას იმაზე,  
რომ უკიდურესი აუცილებლობის შესახებ ზო-  
გადი ნორმის უქონლობა მოქმედ სამოქალა-  
ქო კოდექსების სერიოზულ ხარვეზად უნდა  
იქნას მიჩნეული. გამომდინარე აქედან იგი მო-  
ითხოვს, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუ-  
ძელებში უკიდურესი აუცილებლობის შესახებ  
ზოგადი ნორმის შეტანას, რათა პრაქტიკაში  
წამოჭრილი ასეთი საკითხების გადაწყვეტა მო-  
მავალში აღარ ხდებოდეს სისხლის სამართლის  
შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

ავტორის აზრით, საერთოდ, საჭიროა ვილა-  
პარაკოთ უკიდურეს აუცილებლობაზე არა  
როგორც ინსტიტუტზე, არამედ როგორც კა-  
ტეგორიაზე, ვინაიდან მისი ზოგადი დამახასი-  
ათებელი ნიშნება, ისევე როგორც დაუძლე-  
ველი ძალისა, ცალკეული სამართლებრივი დარა-  
გების: სისხლის სამართლის და სამოქალაქო  
სამართლის საზღვრებს სცილდება. ამიტომ იგი  
გამოდის იმ შეხედულების წინააღმდეგ, თით-  
ქოს საკმარისია უკიდურესი აუცილებლობის  
მოწესრიგება მხოლოდ სისხლის სამართალში,  
უკიდურესი აუცილებლობის ცნების შინაარ-  
სობრივი ერთგვაროვნობის მიუხედავად, სის-  
ხლისა და სამოქალაქო სამართალში, ისევე რო-  
გორც სამართლის სხვა დარგებში, არავითარ  
შემთხვევაში არ შეიძლება დატოვებული იქნას  
ყურადღების გარეშე მისი განსხვავებული  
სამართლებრივი შეფასება სისხლისა და სამო-  
ქალაქო სამართალში.

უკიდურესი აუცილებლობის პირობებში ჩა-  
დენილი ქმედობა სისხლის სამართალში,  
ისევე როგორც სამოქალაქო სამართალში  
ცნობილი უნდა იქნეს, როგორც მართლზომი-  
ერი ქმედობა. ამიტომ სისხლის სამართლებ-  
რივი წესით იგი დაუსჯადია, მაგრამ მიუხედა-  
ვად ამისა, პირს, რომელმაც უკიდურესი აუცი-  
ლებლობის პირობებში ზარალი მიაყენა, შეიძ-  
ლება დაეკისროს ზარალის ანაზღაურება.



ამომწურავი დასაბუთების შედეგად ავტორი გვთავაზობს სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მე-12 თავის შესაბამისი მუხლის შემდეგ ფორმულირებას:

ა) ზარალის მიყენება უკიდურესი აუცილებლობის პირობებში წარმოადგენს მართლზომიერ ქმედობას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია დაზარალებულის მოთხოვნის საფუძველზე და-

აკისროს ზარალის ანაზღაურება ზარალის მიმყენებელს, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება იმ პირისაგან, ვისმ ინტერესებისათვისაც მიყენებულ იქნა ზარალი.

ბ) პირი, რომელმაც თავისი ბრალეული ქმედითობით გამოიწვია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა, პასუხს აცებს დამდგარი შედეგისათვის“.

## იურიდიული ღარიბის მუშაობა დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 10 მაისის ბრძანებულებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვა რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები. მათ შორის იუსტიციის ორგანოების მუშაკები. ვაჭვეყნებთ მათ სიას:

1. არავიაშვილი ბარბაღე იოსების ასული — ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

2. არზიანი ლუბა დიანოზის ასული — ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლე.

3. არხანგელსკაია ოლღა მიხეილის ასული — რესპუბლიკის პროკურატურის ჯგუფის უფროსი.

4. აღნიაშვილი გიორგი იოსების ძე — „მმაჩის“ რესპუბლიკური არქივის გამგე.

5. ბარათაშვილი ბიძინა არჩილის ძე — საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი.

6. ბარამიძე გრიგოლ იოსების ძე — ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორი.

7. ბალათურია დავით ისიდორეს ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

8. ბუაჩიძე ალექსანდრე მალანჩის ძე — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

9. ბერძენიშვილი ვალერიან ფრიდონის ძე — აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

10. ბეკოევა ვერა ტიმიშის ასული — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს კოლეგიის მდივანი.

11. გადახაბაძე ევტიხი ივანეს ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი.

12. გაჯიევი ნახიბ ყურბანის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

13. გვეტაძე რამაზ რაჟდენის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფროსი.

14. გიგაური ანდრო იოსების ძე — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე.

15. გიორგაძე დავით ილიას ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.
16. დიღვესკაია ია გიორგის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის უფროსი კონსულტანტი.
17. გათენაშვილი აკაკი დიმიტრის ძე — დუშეთის სასამართლოს თავმჯდომარე.
18. გუბელიძე ზინაიდა აპოლონის ასული — აჭარის ასსრ პროკურატურის საერთო განყოფილების გამგე.
19. თათარაშვილი შოთა იოსების ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სსდომის მდივანი.
20. თევზაძე ვასილ იოსების ძე — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.
21. თავაძე ოლია ფარნაოზის ასული — ქ. რუსთავის პროკურატურის მდივანი.
22. ილურიძე ანა იოსების ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი.
23. იოსავა გიორგი ყირიმის ძე — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.
24. ისაგულავი ისაკ აირაპეტის ძე — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.
25. იოზიძე ალექსანდრე გიორგის ძე — ქ. ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარე.
26. კანდელაკი ლიდა ოქროპირის ასული — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.
27. კაპანაძე უშანგი თეიმურაზის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.
28. კოჭლამაზაშვილი იოსებ თომას ძე — გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს მოსამართლე.
29. კობილოვი მაქსიმე იაკობის ძე — სამხრეთ ოსეთის ჯავის რაიონის პროკურორი.
30. ლოლაძე თამარ ალექსანდრეს ასული — რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი რეფერენტი.
31. ლომთათიძე ნატალია ერმილეს ასული — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი.
32. მაისურაძე თამარ პავლეს ასული — ქ. თბილისის სტალინის რაიონის პროკურატურის უფროსი მდივანი.
33. მამულია ბესარიონ ანდრეას ძე — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.
34. მახარაძე ამბროსი ამბაკოს ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი.
35. მეგლაძე ოთარ მიხეილის ძე — კრიმინალისტური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი.
36. მეუნარგია ვიქტორ პავლეს ძე — ქ. თბილისის კალენინის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი.
37. მიქაძე ნიკოლოზ გრიგორის ძე — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსი.
38. მჭავანაძე ალექსანდრე სერგოს ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის არბიტრი.
39. მოღებაძე თინათინ რაჟდენის ასული — ქ. თბილისის სანოტარო კანტორის უფროსი ნოტარიუსი.
40. მარკელია არდატელი კასიანეს ძე — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწე.
41. ნიკოლაიშვილი მედეა სერგოს ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის უფროსი რევიზორ-ინსპექტორი.
42. ოდიშარია კონსტანტინე თეიმურაზის-ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი.
43. პაიჭაძე აკაკი ნიკიფორეს ძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

44. სიხარულიძე ვლადიმერ ილარიონის ძე — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

45. სურგულაძე თამარი დიმიტრის ასული — აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი.

46. ტაკიძე არონ ერმალოს ძე — ქ. თბილისის პროკურორი.

47. ქავთარაძე კონსტანტინე ფარნაოზის ძე — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

48. ღვინიაშვილი მაყვალა ნიკოლოზის ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი ინსპექტორი.

49. ღვინჯილია ვლადიმერ ნესტორის ძე — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

50. შარაშენიძე შალვა ბარნაბის ძე — რესპუბლიკური პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

51. ჭანტურია შოთა ბეგოს ძე — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

52. ჭელიძე სერაფიმონ ლუარსაბის ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

53. ხოვანი დორა გიორგის ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რევიზორი.

54. ჯაფარიძე სიმონ ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის განყოფილების უფროსი.

55. ჭინჭინაშვილი იაკობ მეერის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის უფროსი კონსულტანტი.

56. ჯომიდავა აკაკი ალექსის ძე — რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი.

57. ძამაშვილი რუსუდან იაგორის ასული — ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს მდივანი.

58. წერეთელი კირილე ფარსადანის ძე — ამბროლაურის რაიონის პროკურატურის მდივანი.

59. ჩიჩუა ნინა ივანეს ასული — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს კანცელარიის უფროსი.

60. ფიფია ვიქტორ სარდიონის ძე — აჭარის ასსრ პროკურორის თანამემწე.

## სურსათი უზრუნველყოფის შედეგად

შურსათ „საბჭოთა სამართლის“ გასული წლის № 4-ში დაიბეჭდა წერილი სათაურით „მხოლოდ ქალაქებში არსებობენ...“ მასში გაკრიტიკებული იყო თბილისის 26 კომისრების რაიონის სახალხო რაზმეულების უმოქმედობა. როგორც საქართველოს კომპარტიის თბილისის 26 კომისრების რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ცხაკაია გვატყობინებს რაიკომის ბიურომ შურ-

ნალის სიგნალის საფუძველზე განიხილა რაიონის სახალხო რაზმელთა საქმიანობის საკითხი. შურსათის ფურცლებზე გამოქმეული კრიტიკული შენიშვნები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებლად. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად აშუამდგომარეობა გამოსწორებულია.



# ინდოეთის გენერალურს პრეტორი — ინდოეთის იურიდიული შეხვედრის გვირაბი რამ იხსავლენ საბჭოთა კოლმეხმარებელს



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე  
ესაუბრება ინდოეთის გენერალურ პროკურორს მ. კ. სეტელვადს.

სამაგრი ლაინერი „ტუ-104“ თბილისის აეროვოგზლის ბაქანს მიუახლოვდა. თვითმფრინავის მოსკოვს გაფრენამდე დაახლოებით 20 წუთი რჩება. ჩვენ მიველით შუა ტანის ჭალარა შავგერმან კაცთან, რომელსაც ასაკისათვის შეუფერებელი ცოცხალი, ახალგაზრდა თვალები ჰქონდა. ეს იყო ინდოეთის გენერალური პროკურორი მ. კ. სეტელვადი.

— ბატონო სეტელვად, — მივმართეთ მას, — ხომ არ ინებებთ გააკეთოთ განცხადება ჟურნალ „საბჭოთა სამართლისათვის“?

— სიამოვნებით, — გვიპასუხა მან, — გთხოვთ გადასცეთ ჟურნალის მკითხველებს, საქართველოს იუსტიციის მუშაკებს, რომ ყოველივე სიკეთეს ვუსურვებ მათ. დიდ ხანს დამრჩება ხსოვნაში სასიამოვნო მოგონებანი თქვენს რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ. მინდა აგრეთვე აღვნიშნო ვანსაკუთრებული თავაზიანობა და სტუმართმოყვარეობა, რაც გამიწია, ყველამ, ვინცა კი შევხვდი.

ინდოეთის გენერალური პროკურორი მ. კ. სეტელვადი საქართველოში იყო მაისის მეორე ნახევარში. იგი საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მოწვევით. საბჭოთა ქვეყანაში, კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში, ბ-ნი სეტელვადი გაცივო სასამართლო და პროკურატურის ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობას.

გაცხოველებული საუბარი გაიმართა ინდოეთის გენერალურ პროკურორსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ე. პ. ტაკიძეს შორის. საუბარში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებმა და პრეზიდიუმის წევრებმა.

ე. პ. ტაკიძემ დაწვრილებით პასუხი გაცა სტუმრის კითხვებზე. მან განაცხადა, რომ საქართველოში 88 სახალხო სასამართლო მუშაობს. მოსამართლე ჩვენში არჩევითია, — თქვა ამხ. ე. ტაკიძემ, მას ფარული კენჭისყრით ირჩევენ. სახალხო მსაჯულებს ირჩევენ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ჯარის ქვედანაყოფებში, სახლთმმართველობებში.

— ეს ყოველგვარი წახალისების ღირსია, შენიშნა ბ-ნმა სეტელვადმა.  
ილაპარაკა რა უმაღლესი სასამართლოს საქმიანობაზე, რომლის შემადგენლობა აგრეთვე

არჩევითა, ამხ. ა. ტაკიძემ აღნიშნა, რომ უმაღლესი სასამართლო შედგება სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოლეგიებისაგან. უმაღლესი სასამართლო საკასაციო ინსტანციაა ქვემდგომი სასამართლოებისათვის. სასამართლოს სისტემის უმაღლესი კოლეგიური ორგანოა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო სპენუმი.

ინდოეთის გენერალური პროკურორზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ე. პ. ტაკიძის მიერ მოყვანილმა ფაქტებმა, მაგალითებმა, რომლებიც ახსიათებენ სახალხო მოსამართლეთა, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხრეთ-ოსეთის საოლქო სასამართლოს წევრთა შემადგენლობას. უველა მათგან უმაღლესი განათლება აქვს. სახალხო მოსამართლეთა 37 პროცენტი ქალია.

— მოყვანილი მონაცემები, — თქვა ინდოეთის გენერალურმა პროკურორმა, — მოწმობენ, რომ საქართველოს ჰყავს იურიდიულ მუშაკთა მაღალგანვითარებული კადრები. საგულისხმოა, რომ მათ შორის ბევრია ქალი.

მ. კ. სეტელვადი შეხვდა აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურატურის პასუხისმგებელ თანამშრომლებს. საუბარში შეეხნენ პროკურატურის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ბ-ნი სეტელვადი დიდი ყურადღებით ეცნობოდა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაკების პრაქტიკას. სახალხო მოსამართლემ გრ. შეწირულმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მონაწილეობს საზოგადოებრიობა მართლმსაჯულების შესრულებაში.

ბ-ნი სეტელვადმა აღნიშნა, რომ სახალხო სასამართლოს ნახვა, მისი მუშაობის გაცნობა ჩემთვის დიდად საინტერესო იყო.

ინდოეთის გენერალური პროკურორი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძონიძემ. სტუმარმა კმაყოფილება გამოთქვა საქართველოში ყოფნის გამო.

ჩვენი კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მ. კ. სეტელვადმა თქვა: მე მიმაჩნია, რომ ინდოეთის იურისტებს შეუძლიათ ბევრი რამ ისწავლონ თავიანთი საბჭოთა კოლეგიებისაგან.

მ. შაშიშვილი.



ინდოეთის გენერალური პროკურორი მ. სეტელვადი საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში.

# ქორეა და მიმოხილვა

## მნიშვნელოვანი გეოგრაფიკული საქართველოს სახელმწიფოებრივ სფეროებში

მოკავშირე რესპუბლიკების როლის განუხრელი ზრდა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მათი სუვერენული უფლებების სისტემატური გაფართოება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის მკაფიო გამოხატულებას. შესანიშნავი პერსპექტივები იშლება ყველა მოძმე რესპუბლიკის წინაშე სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების განუხრელ ზრდას.

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხებს, რომ უარესად ზუსტად იქნას გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეროვნული და სპეციფიკური თავისებურებანი, განუხრელად განვახორციელოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, ავამაღლოთ მშრომელთა ინიციატივა და პოლიტიკური აქტივობა, განვაფართოოთ ადგილების თვითმოქმედება და თაოსნობა.

სკვპ XXI ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენი მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას არა მარტო ცენტრში, არამედ, აგრეთვე განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკებში, წარმოადგენს საბჭოთა სოციალისტური ერების სახელმწიფოებრივობის განვითარების შესწავლა.<sup>2</sup>

ეროვნულ სახელმწიფოებრივი მშენებლობის ლენინურ პროგრამასა და პრაქტიკას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს დროში, როდესაც სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და იმ ისტორიული


გამარჯვებების უშუალო გავლენით, რომლებიც საბჭოთა ხალხმა ახალი ცხოვრების მშენებლობაში მიიბოგა, კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა განსაკუთრებული ძალით გაიშალა და გამოიწვია იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევა.

ამასთან დაკავშირებით, მეტად აქტუალურია ამოცანა — შესწავლილი იქნეს და მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან მეცნიერულად გაშუქდეს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების საკითხი, მათ შორის, ქართველი ხალხის, როგორც ერთიანი მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძმური ოჯახის ერთ-ერთი თანასწორუფლებიანი წევრის საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის ფორმირებისა და განვითარების გამოცდილება.

ყოველმხრივ უნდა მივესალმოთ ვ. ნ. მერკვილაძის წიგნის გამოცემას, რომელიც საინტერესოა არამარტო სპეციალისტ-ისტორიკოსებისა და სახელმწიფოთმცოდნე იურისტებისათვის, არამედ, აგრეთვე საბჭოთა მკითხველების ფართო წრისათვისაც. ეს წამოწყება უფრო დასაფასებელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ლიტერატურა ასეთი სახის ნაშრომებით მდიდარი არ არის. ავტორი სწორად წერს: „თანამედროვე პირობებში, როდესაც ეროვნულ-კოლონიური საკითხი დგას საერთაშორისო ცხოვრების ცენტრში, როდესაც მრავალი ხალხის სუვერენულ სახელმწიფოთა მშენებლობაში ეროვნული საკითხი პირველ ადგილზეა წამოწეული, საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის შექმნისა და განმტკიცების ლენინური პროგრამის პრაქტიკული განხორციელების გამოცდილების შესწავლასა და განვითარებას აქვს არა მარტო პოლიტიკური

1 ვ. ნ. მერკვილაძე, ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის საფუძვლების მშენებლობა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1959, გვ. 159.

2 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა სტენოგრაფიული ანგარიში, ტ. II, გვ. 306. (რუს. ენაზე).



და თეორიული, არამედ, აგრეთვე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა“ (გვ. 7).

ე. ნ. მერკვილაძის ნაშრომი ემყარება მნიშვნელოვან ფაქტურ, მთელ რიგ პირველად გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, სამართლებრივ და სხვა მასალას, და ფართოდ გვიჩვენებს ე. ი. ლენინისა და დიდი რუსი ხალხის თვალსაჩინო როლს ქართველი ხალხის საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის შექმნასა და განმტკიცებაში, რუსი და ქართველი კომუნისტების ბრძოლას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ხორცშესახმელად. ავტორის ყურადღების ცენტრში დგას 1921-1922 წლები, რომლებიც საქართველოს ისტორიაში წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის ჩამოყალიბების პერიოდს. ეს პერიოდი მოიცავს სამ ლირსუსანიშნავ მომენტს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

ჯერ ერთი, სახელმწიფოებრივი წყობის ფორმების საკითხის გადაჭრა აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის მოგვარება ე. ი. თვით საქართველოს ხალხებს შორის ეროვნული მშვიდობის უზრუნველყოფა; მეორე, ამიერკავკასიის კომუნისტების საერთო ღონისძიებანი ამიერკავკასიის ხალხებს შორის ეროვნული მშვიდობის დამყარებისა და ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის; მესამე, საქართველოს კომუნისტებისა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების კომუნისტების ერთობლივი ბრძოლა იმისათვის, რომ ძმური თანამშრომლობა დამყარონ რსფს რესპუბლიკასთან, განმტკიცონ ეს თანამშრომლობა და განახორციელონ სსრ კავშირის შექმნის ლენინური იდეა. ამ სამი ძირითადი მომენტის შექმნა ავტორი იკვლევს და ანალიზს უკეთებს ქართველი ხალხის საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის წარმოშობას, განვითარებასა და განმტკიცებას.

წიგნი შედგება შესავალისა და სამი თავისაგან. შესავალში დახასიათებულია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის როლი და მნიშვნელობა ეროვნული თანასწორობის განხორციელებაში და პროლეტარიატის დიქტატურის ბაზაზე ეროვნული სახელმწიფოებრივობის შექმნაში. ავტორი გვიჩვენებს აგრეთვე იმ უდიდეს ცვლილებებს, რაც მოხდა მთელი მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში: სოციალიზმის სისტემის შექმნას, ზრდასა და განმტკიცებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრ განვითარებას, რომლებსაც აზიისა და

აფრიკის ხალხები ეწევიან თავიანთი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის. შესავალში დასაბუთებულია აგრეთვე სარეცენზიო წიგნის მიზანი და ამოცანები.

პირველი თავი ეძღვნება რუსეთში მომხდარ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლების პირველ ღონისძიებებს ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების საქმეში. მასში ნაჩვენებია პარტიის უდიდესი მოღვაწეობა, ე. ი. ლენინის, მისი უახლოესი თანამებრძოლებისა და მოწაფეების თეორიული და პრაქტიკული მუშაობა პარტიის ეროვნული პროგრამის განხორციელებისათვის. ინტერესს არ არის მოკლებული ავტორის მოყვანილი დოკუმენტები, ფაქტები, რომლებიც მკაფიოდ ახასიათებენ საბჭოთა ხელისუფლების ღრმა ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას, მის პირველ ნაბიჯებს ამ მიმართებით. რუს და უკრაინელ ხალხს შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მაგალითად იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უკრაინელ ხალხს დაუბრუნა ეროვნული რელიქვიები (დროშები, თელები, სიგელები და სხვა). 1917 წლის 24 ნემბერს რსფსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიხსინა ამხ. ლენინის მოხსენება ამ საკითხზე და გადაწყვიტა უკრაინელი ხალხისათვის საზეიმოდ გადაეცა რელიქვიები და სიგელი რუსი ხალხისაგან.

„ველიკორუსი ხალხი და რევოლუციური პეტროგრადი, — ნათქვამი იყო სიგელში, — მიესალმება და უგზავნის თავისუფალ კივის წმინდა საჩუქარს ხალხების ძმობის ნიშნად. დაე, იდიდოს და განმტკიცდეს თავისუფალი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს ხალხების ძმური კავშირი. დაე, გაქრეს მტრობა და აჩრდილიც კი ერთი ხალხის მიერ მეორის ჩაგვრისა“ (გვ. 19).

წიგნში მოყვანილ ამ და სხვა ფაქტებსა და დოკუმენტებს დაუფასებელი მნიშვნელობა ქონდა რუს და უკრაინელ, ბელორუს, ქართველ და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებს შორის ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ „...სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება მთავარი და გამაწყვეტი პირობა იყო ეროვნული ჩაგვრის მოსპობისა და რუსეთის სხვადასხვა ეროვნებას შორის თანასწორუფლებიანობის, მეგობრობის და ძმური თანამშრომლობის უზრუნველყოფისა“ (გვ. 25).

წიგნში ძალზე საინტერესოა მეორე და მესამე თავები. ავტორი გვიხატავს საქართველოს

საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის მშენებლობის ფართო და მკაფიო სურათს, გვიჩვენებს საქართველოს კომუნისტების ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებმაც დროებით ხელთ იგდეს ძალაუფლება საქართველოში. მრავალრიცხოვანი დოკუმენტების საფუძველზე ავტორი დამაჯერებლად ამხილებს მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკას, ნიღაბს ხდის მათს კონტრარევოლუციურ შოვინისტურ ბუნებას. ამიერკავკასიის ნაციონალისტური სეიმის პროვოკაციულ გადაწყვეტილების საპასუხოდ, რომელმაც გააფორმა ამიერკავკასიის ჩამოცილება საბჭოთა რუსეთისაგან, საქართველოს მშრომელები მიტინგებზე იღებდნენ რეზოლუციებს მოთხოვნით — აღდგენილიყო კავშირი საბჭოთა რუსეთთან. სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცთა კრების რეზოლუციაში, რომელიც მიღებულია 1917 წლის 8 დეკემბერს, ნათქვამი იყო: „ჩვენ არ გვინდა ჩამოვშორდეთ რუსებს, ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ რუსებთან ერთად, როგორც ვცხოვრობდით წინათ...“

გთხოვთ ყველა ქართველ, სომეხ... ოს ამხანაგს შემოუერთდეს ჩვენს დადგენილებას. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს! გაუმარჯოს რუსებთან ერთობას, თანასწორობასა და ძმობას! გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას სახალხო კომისართა საბჭოს სახით“. (გვ. 30).

მენშევიკებმა ვასცეს და გაყიდეს საქართველოს ეროვნული ინტერესები და მიმართეს თხოვნით უცხოელ კაპიტალისტებს განეხორციელებიათ საქართველოს პროტექტორატი. 1918 წლის ივნისში საქართველოში შემოყვანილ იქნა გერმანელთა ჯარები. ვ. ი. ლენინი განუწყვეტილად ეხმარებოდა ქართველ კომუნისტებს, ხელმძღვანელობდა მათს ბრძოლას, ამხილებდა მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკას. საქართველოს „დამოუკიდებლობის“ მოთხოვნის ნამდვილ ხასიათს რომ განმარტავდა, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოველად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან, ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ...“<sup>1</sup> წიგნში დამაჯერებლად არის ნაჩვენები ქართველი მშრომელების თავდადებული ბრძოლა მენშევიკური მთავრობისა და უცხოელ დამპყრობთა

წინააღმდეგ. 1918 წელს მთელ საქართველოს მიედო გლეხთა აჯანყებების ტალღა, რასაც თან ახლდა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. აუღელვებლად ვერ წაიკითხავდნენ დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მოწოდებას, რომელიც ნათლად მოწმობს ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ. მასში აღნიშნულია, რომ მენშევიკურმა მთავრობამ ვასცა მშრომელები, მოწყვიტა საქართველო რუსეთს, ხოლო „სამაგიეროდ ჩვენს სახლში შემოუშვა ავაზაკ ვილკელების ჯარები, რომლებსაც ჩვენი სისხლი სწყურიათ...“

...ასეთი საშინელება ჩვენს ქვეყანას არ განუცდია არც ძველად, არც ახლა, არც შაჰბახისისა და ალა მამად ხანის ურდობის შემოსევის დროს, არც სისხლისმძემვრე ნიკოლოზ რომანოვის შავი რეაქციის დროს. საქართველოს ახალმა თვითმპყრობელებმა — მენშევიკებმა ყველას გადააქარბეს.

მაგრამ ისინი სასტიკად ცდებიან. ისინი ვერ მოესწრებიან იმას, რაც წინათ იყო. გლეხობამ ჩვენში ყველგან გამოიღვია...<sup>2</sup>

ამხანაგო გლეხებო! მუშებო და ჯარისკაცებო! ჩვენს მოწოდებას გამოეხმაურეთ ყველა მაზრიდან, ყველა კუთხიდან... ყველა სოფლებიდან, და ვისაც რით შეგიძლიათ — თოფით, ცულთით, ანდა კეტით, მხარი დაუჭირეთ საერთო საქმეს“. (გვ. 35).

ავტორი გვიჩვენებს, რომ საქართველოს მშრომელების ვაჟკაციური ბრძოლა კომუნისტების ხელმძღვანელობით, გამარჯვებით დასრულდა. საბჭოთა რუსეთის, წითელი არმიის ძმური დახმარებით, რომელიც მოეშველა აჯანყებულებს, 1921 წელს საქართველოში გაიმარჯვებულა სოციალისტურმა რევოლუციამ. ვ. ი. ლენინი კიძემ ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს დეპეშით აცნობა: „თბილისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელ დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

საერთაშორისო იმპერიალიზმის დაქირავებულმა აგენტებმა რუსი ხალხის მიერ ქართველი ხალხისათვის გაწეული უანგარო დახმარების გამო შემზარავი ღმერთი ატეხეს და შეეცდნენ ორი ხალხის ძმური მეგობრობისათვის ცილი დაეწამებინათ. ვ. ი. ლენინი დაძაბული აღევნებდა თვალყურს თუ რა ამბები ხდებოდა საქართველოში და საზღვარგარეთ და მოითხოვდა ფართო პროპაგანდის გაჩაღება ამ ცილისმწამებლური კამპანიის წინააღმდეგ. 1921 წლის

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 7—8.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი კიძემ, სტატიები და სიტყვები, მოსკოვი, 1959 წ. გვ. 98.

18 აპრილს ვ. ი. ლენინი წერდა გ. კ. ორჯონიკიძეს: „საზღვარგარეთ, განსაკუთრებით მარტოვმა, წერეთელმა და სხვებმა გაშმაგებული აგიტაცია გააჩაღეს ჩსფს რესპუბლიკის წინაღმდეგ საქართველოს გასაბჭოებისთან დაკავშირებით. საჭიროა საქართველოს რევკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია და აღნიშნოს, ჯერ ერთი, ჩსფს რესპუბლიკის მშვიდობისმყოფელური როლი, მეორე, აქტიური და ინიციატივითანი როლი ქართველ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მსახრისა, რომლებმაც დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა...“<sup>1</sup>

საქართველოს საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის საფუძვლების მშენებლობაში მდინარეობდა მძიმე პირობებში. ეროვნული საკითხის ეს სირთულე საქართველოში და მთელს ამიერკავკასიაში „აიხსნებოდა არა მარტო მოსახლეობის ჭრელი ეროვნული შემადგენლობით და ხალხების პოლიტიკური და ეკონომიური ჩამორჩენილობით, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის მძაფრი გამწვავებით, რომელიც უშუალო შედეგი იყო კონტრრევოლუციური პარტიების და უცხოელი ოკუპანტების სამწლიანი ბატონობისა“ (გვ. 63).

ამ პირობებში ქართველ კომუნისტებს მოეთხოვებოდა თავისებური ტაქტიკის გამოყენება, რომელიც გამოდგებოდა სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის კონკრეტულ ისტორიულ პირობებში და საქართველოს ახალი სახელმწიფოებრივობის შექმნაში. საქართველოს საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის მშენებლობისა და განმტკიცების კონკრეტული პროგრამა დაამუშავა ვ. ი. ლენინმა. საქართველოს კომუნისტებისათვის გამოგზავნილ მის წერილებსა და საღირებეტივო მითითებებში დასახული იყო მათი განხორციელების რეალური გზები და საშუალებები. ვ. ი. ლენინმა იცოდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების სპეციფიკური პირობები. მას მიაჩნდა, რომ საქართველოში, ისევე როგორც მთელს ამიერკავკასიაში, სოციალისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია ადგილობრივი კომუნისტების თავისებური ტაქტიკა.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ავტორის მიერ მოყვანილ ვ. ი. ლენინის 1921 წლის 2 მარტის წერილს, რომელიც იმ დღესვე გადასცა პირდაპირი მავთულით ი. ბ. სტალინმა გ. კ. ორჯონიკიძეს და რომელიც სპეციალურად იყო

განკუთვნილი საქართველოს კომუნისტებისათვის. ვ. ი. ლენინი მიესალმებოდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას საქართველოში და მიუთითებდა:

„...აუცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრილი ვაჭრობის მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა. უნდა შევიგნოთ, რომ არათუ აზრი არა აქვს ამ წვრილი ვაჭრობის ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი მსხვერპლიც კი გავიღოთ, ოღონდ გავაუქმობესოთ მათი მდგომარეობა და დაუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის წარმოების შესაძლებლობა...“

გთხოვთ გასთოდეთ, რომ საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დამომობლობაზე იქნება დამყარებული“.<sup>2</sup>

1921 წლის 14 აპრილის წერილში ვ. ი. ლენინი ასე განსაზღვრავდა საქართველოსა და მთელი კავკასიის კომუნისტებს თავისებური ტაქტიკის არსს:

„მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამომობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ“.<sup>3</sup>

ეს ლენინური მითითებები დაედო საფუძვლად ქართველი კომუნისტების მოღვაწეობას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლისა და ბრძოლიუნარიანობის გაძლიერების საქმეში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნილების შესაბამისად, აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის ხალხებს უფლება მიეცათ თვითონ განესაზღვრათ თავიანთი ბედ-იღბალი. ავტორი გვიჩვენებს თუ როგორ მყარდებოდა თანდათანობით სწორი ურთიერთობა საქართველოსა და აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის ხალხებს შორის, იკვლევს, როგორ ყალიბდებოდა ამ ხალხების საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობა.

ავტორის მიერ საინტერესოდაა ნაჩვენები ის, თუ როგორ შეიქმნა და მოღვაწეობდა საქკ(ბ) ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებასთან ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილების სომხური და აზერბაიჯანული სექციები, აგრეთვე საქართველოს მუსლიმანული მისაზ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინის კრებული XXXV, გვ. 234.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 189—190.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 296.



ლები და საქმეთა საბჭო, რომელიც 1921 წლის აპრილში შეიქმნა.

ავტორი ახასიათებს საბჭოთა სახელმწიფო-ებრივობის მშენებლობის ძირითად მომენტებს, ცენტრსა და ადგილებზე, გვიჩვენებს რევოლუციური კომიტეტების და მათ შემდგომ შექმნილი საბჭოების მოღვაწეობას. საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ, რომელიც გაიხსნა 1922 წლის 25 თებერვალს კანონმდებლობით განამტკიცა მუშების, გლეხებისა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები, როგორც საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკური საფუძველი, ვაფორმდა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრივობა. შრომის ამ ნაწილში სასურველი იქნებოდა როგორც ცენტრის, ისე ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საკითხის უფრო დაწვრილებით გაშუქება, აგრეთვე საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუციის დეტალურად განხილვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის საბჭოთა სახელმწიფოებრივობის ფორმირებასა და განმტკიცებაში დიდი რუსი ხალხის მხრივ ძმურ დახმარებას. წიგნში ეს ნაჩვენებია ბევრი თვალსაჩინო მაგალითით. ავტორი სამართლიანად წერს:

„ფაქტურ უთანასწორობის ძირითად პირობას წარმოადგენდა რუსეთის მუშათა კლასის უანგარო ქმედითი დახმარება ჩამორჩენილი ხალხებისადმი მათი ეკონომიკის, კულტურის განვითარების საქმეში, საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის განმტკიცების საქმეში“ (გვ. 112).

რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ 1921 წლის 21 მაისის სხდომაზე, რომელსაც ვ. ი. ლენინი თავმჯდომარეობდა, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სს რესპუბლიკისათვის კრედიტის მიცემის შესახებ 5 მილიონი მანეთის რაოდენობით“ (გვ. 124).

ამხილებდა რა მენშევიკების ცილისწამებას საქართველოს მიერ ვითომდა „დამოუკიდებლობის“ დაკარგვის შესახებ, ი. ბ. სტალინი მიუთითებდა, რომ „... მოსკოვში გადაუწყვეტიათ გაუწიონ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს მცირეოდენი დახმარება 6,5 მილიონი მანეთის სესხით ოქროთი. გარდა ამისა, მე გავიგე, რომ საქართველოსა და სომხეთს თურქე უსასყიდლოდ ეძლევათ ნავთის პროდუქტები

აზერბაიჯანიდან, — რა შემთხვევაც წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ცხოვრებაში. არა მგონია საჭირო იყოს ამის მტკიცება, რომ ეს და ამგვარი აქტები იმ არ ასუსტებენ, არამედ განამტკიცებენ ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას“<sup>1</sup> — წიგნში მოიპოვება მრავალი სხვა ფაქტი, რომელიც მოწმობს რუსი ხალხის დახმარებას საქართველოს მშრომელებისადმი. ავტორი საესებით სწორად წერს „რუსეთის მუშათა კლასმა მთელ მსოფლიოს უჩვენა ნიმუში წინათ დაჩაგრული ერების მშრომელთა წინაშე თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ღრმა ვაგებისა. ჩამორჩენილი ხალხებისათვის უანგარო ძმური დახმარების გაწევით და მაღალი რევოლუციური თვისებების გამოვლინებით რუსეთის მუშათა კლასმა ახალი მდიდარი შინაარსი შეიტანა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეაში“ (გვ. 131.).

ახლა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი შეკავშირდა ერთიან ძმურ ოჯახთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნაცადი ლენინური პრინციპების საფუძველზე. ლენინური იდეებისა და ტრადიციების ერთგულ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მაღლა უჭირავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის დროშა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა კვლავ აღნიშნავდა, რომ პარტია „... ყოველთვის შეურიგებულ ბრძოლას ეწეოდა როგორც დიდმპყრობელებს შოვინიზმის, ასევე ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ“<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, საჭირო იყო ნაშრომში გაძლიერებულიყო სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ასპექტი დიდი ნორმატიული მასალის ანალიზისა და ჩვენების ხარჯზე და პირველ რიგში, ძალაუფლებისა და მმართველობის ორგანოების საკითხში, აგრეთვე მთელ რიგ საკითხებში. არასრულყოფილად არის ნაჩვენები და გაანალიზებული, აგრეთვე, ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხი, ნაშრომის ზოგიერთ ადგილზე გვხვდება განმეორებანი. სასურველი იყო ავტორს მიეთითებია ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურა.

ეს შენიშვნები სრულიადაც არ აყენებს ჩრდილს ვ. ნ. მერკვილაძის საინტერესო ნაშრომს.

დოც. ა. ვაპრიჩიძე

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 106.

<sup>2</sup> ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების შესახებ 1959—1965 წლებში.

# საქართველოს კონსტიტუცია

## მოსახლეობას

### საბინაო საკითხებზე

1. რა წესით შეიძლება იმ დაკეტილი ბინის ფართობის გათავისუფლება, რომლის დაქირავებული წასულია სხვა ქალაქში (რაიონში) სამუშაოდ?

იმ პირებს, რომლებიც თავისი ოჯახით დროებით წავიდნენ, საცხოვრებელი ბინა ენახებათ ექვსი თვის განმავლობაში. ეს ვადა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გაგრძელებული იქნას სათანადო ადგილობრივი საბჭოს კომუნალური მეურნეობის საბინაო სამმართველოს ან სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ (სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისარტა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების 34 მუხლი). თუ კანონით დადგენილ ვადაში მობინადრე არ დაბრუნდება, დაკეტილი ბინის გათავისუფლება უნდა მოხდეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის დანართის მე-10 პუნქტი).

2. შეიძლება თუ არა საბინაო სამმართველოს ნებართვით საცხოვრებელი ბინის საერთო სარგებლობის ადგილები (სამზარეულოები, საკუჭნაოები), გამოყენებული იქნეს საცხოვრებელ ბინად?

საცხოვრებელი ბინა და მისი საერთო სარგებლობის ადგილები გამოყენებული უნდა იქნეს მისი პირდაპირი დანიშნულების მიხედვით. ამიტომ საბინაო სამმართველოს განკარგულება ბინის საერთო სარგებლობის ადგილებში (სამზარეულო, საკუჭნაო, დერეფანი) მოქალაქეთა ჩასახლების შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმებული უნდა იქნეს როგორც კანონსაწინააღმდეგო და მოქალაქენი გასახლებული (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 12 დეკემბრის დადგენილების 6 მუხლი).

3. წინასწარი გამოძიების პერიოდში მობინადრეს ენარჩუნება თუ არა საცხოვრებელი ბინის ფართობი.

იმ პირს, რომელიც გასულია საცხოვრებელი ბინიდან საგამომძიებლო ორგანოების დადგენილებით მისი დაპატიმრების გამო, საცხოვრებელი ბინა ენახება წინასწარი გამოძიების მთელ პერიოდში.

თუ წინასწარი გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყდა ან სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, მობინადრეს ჩამორთმეული ბინა უნდა დაუბრუნდეს დამოუკიდებლად ვადის გასვლისა. ასეთ შემთხვევაში პატიმრობიდან გათავისუფლებულს სასამართლოს წესით შეუძლია პატიმრობის გათავისუფლების მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში მოითხოვოს საცხოვრებელი ბინის დაბრუნება. ის პირი, რომელიც ამ ვადის განმავლობაში არ მოითხოვს ბინის დაბრუნებას, ჰკარგავს უფლებას მოცემულ საცხოვრებელ ბინაზე (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 12 დეკემბრის დადგენილება).

4. იმ პირს, რომელიც უმართებულოდ იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო შემდგომ შემდგომი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებით გამართლებული, აქვს თუ არა უფლება მოითხოვოს იმ ბინის დაბრუნება, რომელიც მას დაკავებული ჰქონდა დაპატიმრებამდე?

ის პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ექვს თვეზე მეტი ვადით, ჰკარგავს უფლებას საცხოვრებელი ბინის ფართობზე განაჩენის სისრულეში



მოყვანის მომენტიდან. შემდგომ, საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვასთან დაკავშირებით სასამართლოს განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით მოსპობა არ წარმოადგენს საფუძველს წინა დაკავებული ბინის დაბრუნებისათვის (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 12 დეკემბრის დადგენილების 14 პუნქტი).

**5. შრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს შეუძლია თუ არა მობინადრეს ჩამოართვას ზედმეტი საცხოვრებელი ბინის ფართობი?**

თუ ბინის ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მობინადრეს აღმოაჩნდება ზედმეტი საცხოვრებელი ბინის ფართობი გაცალკევებული ოთახის სახით, ასეთი ზედმეტი ფართობის ჩამორთმევა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მხოლოდ იმ პირობით, თუ საბინაო სამმართველოს მიერ მობინადრე წინასწარ წერილობით გაფრთხილებული იყო სამი თვის განმავლობაში თავისი შეხედულებით სხვა პირის ზედმეტ ფართობში ჩასახლების შესახებ, მაგრამ მობინადრე ეს უფლება არ განახორციელა აღნიშნულ ვადაში (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 12 დეკემბრის დადგენილების II პუნქტი).

**6. ვალდებულია თუ არა მობინადრე მოახდინოს საცხოვრებელი სახლის ძირითადი შეკეთება?**

საცხოვრებელი სახლის ძირითადი შეკეთების ვალდებულება ეკისრება მესაკუთრეს, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მესაკუთრის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა უფლებას აძლევს მობინადრეს მოახდინოს ძირითადი შეკეთება, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით და ამ შეკეთების ღირებულება ჩათვალს ბინის ქირაში ან გაათავისუფლოს ბინა და მესაკუთრეს გადაახდევინოს ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალი (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 159 მუხ.).

**7. საცხოვრებელი ბინის შეკეთების მოტივით შეიძლება თუ არა მობინადრის გასახლება?**

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება საცხოვრებელი ბინიდან მობინადრის გასახლება, თუ აუცილებელია ბინის ძირითადი შეკეთება. ამასთან იმ პირობით, რომ შეკეთების შემდეგ იგი კვლავ ჩასახლებული იქნება აღნიშნულ ბინაში (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლის „ი“ პუნქტი).

\* \* \*

## **პროცესუალურ საკითხებზე**

**1. შეიძლება თუ არა სასამართლოში მოპასუხის იძულებითი წესით მოყვანა?**

შრომისუუნარო მეუღლის და ბავშვების შესანახი აღიშენების და შრომის ხელფასის გადახდევინების, აგრეთვე გარდაცვალების ან დასახიჩრებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მოპასუხის იძულებითი წესით მოყვანა, თუ მოპასუხე საქმის გამარჩევი სასამართლოს რაიონში ან ქალაქში ცხოვრობს. ამასთან, ასეთი წესით მოყვანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო საჭიროდ ცნობს მოპასუხის პირადად გამოცხადებას და როდესაც იგი ორჯერ იქნება დაბარებული და სათანადოდ გაფრთხილებული (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 106 მუხლი).

სამოქალაქო სამართლის ყველა დანარჩენ საქმეებზე სასამართლოში მოპასუხის იძულებითი წესით მოყვანა არ შეიძლება.

მოპასუხის გამოუცხადებლობა, როდესაც სასამართლოს აქვს ცნობა, რომ მას უწყება ჩაბარდა, საქმის გარჩევას და გადაწყვეტას ვერ დააბრკოლებს. ამასთან, თუ აუცილებელია მოპასუხის ახსნა-განმარტების მოსმენა, სასამართლოს შეუძლია გადადოს საქმის გარჩევა. მოპასუხის მეორედ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქმე გადაწყდება არსებული მასალის მიხედვით.

## პროცის საპროტოლის საკითხავზე

### 1. შეიძლება თუ არა მუშაკის დათხოვნა სამუშაოს გაცდენისათვის?

სამუშაოს გაცდენად ითვლება სამუშაოზე გამოუცხადებლობა საპროტო მიზეზის უქონლად მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

სამუშაოს გამცდენებად ითვლებიან აგრეთვე ის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც სამუშაოზე წასვლაში გამოცხადდებიან.

არა საპროტო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის საწარმოს დირექტორს ან დაწესებულების უფროსს შეუძლია გამოიყენოს ერთ-ერთი შემდგომი ღონისძიება:

ა) დისციპლინური სასჯელი (შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ვადით სამ თვემდე ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება იმავე ვადით) შრომის შინაგანაწესის თანახმად;

ბ) წელთა ნაშასხურობისათვის პროცენტული დანამატის მიღების უფლების ჩამორთმევა ვადით სამ თვემდე ან ნაშასხურობისათვის ერთდროული გასამრჯელოს შემცირება 25 პროცენტამდე;

გ) დათხოვნა სამუშაოდან შრომის წიგნაკში იმის აღნიშვნით, რომ მუშაკი დათხოვნილია არასაპროტო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის.

ასეთი საფუძვლით საუშაოდან დათხოვნილი მუშაკი ჰკარგავს განუწყვეტელი მუშაობის სტაჟს და დროებით შრომისუნარიობის გამო დახმარებით უზრუნველყოფის უფლებას იღებს იმის შემდეგ, როცა ახალ სამუშაოზე, სულ ცოტა, ექვს თვეს მიინც იმუშავეს.

აღნიშნული ღონისძიებების გამოყენების ნაცვლად საწარმოს დირექტორს ან დაწესებულების უფროსს თავისი შეხედულებით შეუძლია მასალები სამუშაოს გამცდენთა მიმართ განსახილველად გადასცეს ამხანაგურ სასამართლოს (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულება).

არასაპროტო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის მუშაკის დათხოვნა შეიძლება პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

### 2. სასამართლოს შეუძლია თუ არა განიხილოს მუშაკის განცხადება სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ?

სასამართლოს უფლება არ აქვს განსახილველად მიიღოს მუშაკის განცხადება განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ (გათავისუფლების შესახებ). მუშაკი პირადი თხოვნით გათავისუფლების დროს ვალდებულია ორი კვირით ადრე გააფრთხილოს ამის შესახებ საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაცია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 25 აპრილის ბრძანებულების თანახმად განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად და მუშაკი თავისი სურვილით გათავისუფლებულად ორი კვირის გავლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც იგი გააფრთხილებს ადმინისტრაციას სამუშაოდან წასვლის შესახებ.

მუშაკის განცხადება განსაზღვრული ვადით დადებულ შრომის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ განიხილება საერთო საფუძველზე შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ არსებული დებულების მიხედვით.

ასეთივე წესით უნდა იქნას განხილული დავა იმ პირებთან დადებული შრომის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, რომლებიც ვალდებული არიან უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებელთა დამთავრების შემდეგ იმუშაონ წარმოებაში განსაზღვრული ვადის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება მუშაკის მოთხოვნა შრომის ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე მუშაკთან ხდება სრული ანგარიშსწორება (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 13 სექტემბრის № 13 დადგენილება).

## რა ხელშეწყობა შეიძლება უზრუნველყოფის საქმეში\*

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-5 სესიის მიერ სახელმწიფო პენსიების შესახებ მიღებული კანონის შეფარდების პრაქტიკამ მის ცალკეულ დებულებებში გამოიწვია ზოგიერთი ცვლილების საჭიროება, რაც კანონში შეტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულებით.

ამ ცვლილებებს საფუძვლად უდევს ადამიანთა საყოფაცხოვრებო და მატერიალური, სარჩენ და სხვა პირთა მდგომარეობის გაუმჯობესება, იმ პენსიონერებისათვის პენსიების გადიდება, რომლებიც არ მუშაობენ, ამავე დროს იგი საგანგებო შედავათებს აწესებს დაბალხელფასიან მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ახალი დებულებით, I ჯგუფის ინვალიდს, რომელიც მუშაობას განაგრძობს, კუთვნილი პენსია მთლიანად ეძლევა ხელფასის ან სხვა შემოსავლის რაოდენობის დამოუკიდებლად.

II ჯგუფის მომუშავე ინვალიდს, რომლის ხელფასიც თვეში 1200 მანეთს არ აღემატება, პენსია მთლიანად ეძლევა გამომუშავების დამოუკიდებლად, ხოლო, უკეთუ II ჯგუფის მომუშავე ინვალიდს თვიური ხელფასი 1200 მანეთზე მეტი აქვს, მას პენსია მიეცემა ისეთი რაოდენობით, რომ პენსიისა და ხელფასის საერთო ჯამი არ აღემატოს მის გამომუშავებას, რაც პენსიის დანიშვნის წინ ჰქონდა.

მაგალითად II ჯგუფის მომუშავე ინვალიდი ლებულოზ ხელფასს 1300 მანეთს თვეში; პენსია გამოანგარიშებული იყო თვეში 1300 მანეთი ხელფასიდან და შეადგენს 394 მანეთს. ასეთ შემთხვევაში II ჯგუფის მომუშავე ინვალიდი პენსიას არ მიიღებს.

საგანგებოდ რეგლამენტირებულია პენსიის გაცემის საკითხი III ჯგუფის მომუშავე ინვალიდებისათვის.

ახალი კანონით III ჯგუფის მომუშავე ინვალიდი, რომლის ხელფასიც თვეში 1200 მანეთს აღემატება, პენსიას ისეთი რაოდენობით მიიღებს, რომ პენსიისა და ხელფასის საერთო ჯამი არ აღემატოს მთელ იმ ხელფასს, რასაც იგი პენსიის დანიშვნის წინ იღებდა.

გავარკვიოთ საკითხი, უნდა მიეცეს თუ არა პენსია III ჯგუფის მომუშავე ინვალიდს შემდეგ შემთხვევაში: პენსიის დანიშვნის წინ იგი ხელფასს იღებდა 1450 მანეთს თვეში; პენსია დაენიშნა თვეში 817 მანეთის რაოდენობით; ამჟამად მუშაობს და ხელფასს თვეში 1350 მანეთს იღებს.

ამ შემთხვევაში III ჯგუფის მომუშავე ინვალიდს პენსია მიეცემა თვეში 100 მანეთის რაოდენობით, რაც მის ხელფასთან ერთად შეადგენს თვეში 1450 მანეთს და რომლიდანაც ჰქონდა გამოანგარიშებული პენსია.

ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ უკეთუ III ჯგუფის მომუშავე ინვალიდის გამომუშავება თვეში 1200 მანეთს არ აღემატება, მას პენსია უნდა მიეცეს არანაკლებ დანიშნული პენსიის ორმოცდაათი პროცენტისა.

მაგალითად III ჯგუფის ინვალიდი, პენსიის დანიშვნამდე ლებულოზა ხელფასს თვეში 665 მანეთის რაოდენობით, სიდანაც მას გამოუანგარიშეს და დაუნიშნეს პენსია თვეში 196 მანეთი; ამჟამად იგი მუშაობს და თვეში იღებს ხელფასს 650 მანეთს; ამ შემთხვევაში III ჯგუფის მომუშავე ინვალიდმა პენსია უნდა მიიღოს თვეში 98 მანეთის რაოდენობით, ე. ი. 50 პროცენტი.

პენსიის გაცემის შედავითანი პირობები დადგენილია საწარმო-დაწესებულებაში, მომუშავე ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდგომა შემადგენლობის სამხედრო მსახურთათვის, რომელნიც ლებულოზენ პირველ, მეორე და მესამე ჯგუფების ინვალიდობის პენსიებს.

სამხედრო მსახურთა ამ კატეგორიის I და II ჯგუფის მომუშავე ინვალიდები, რომელთაც რაიმე შრომის ხელფასი აქვთ, პენსიას მთლიანად ლებულოზენ გამომუშავების მიუხედავად; ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდგომა შემადგენლობის სამხედრო მსახურთაგან III ჯგუფის მომუშავე ინვალიდები პენსიას იმ რაოდენობით ლებულოზენ, რომ პენსიისა და შრომის ხელფასის საერთო ჯამი არ აღემატებოდეს მთელ ხელფასს, რასაც პენსიის დანიშვნის წინ ლებულოზდენ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ასეთ ინვალიდს უნდა მიეცეს დანიშნული პენსიის არა ნაკლებ 50 პროცენტი.

### ზ. ნარიშკინი

საქ. სსრ პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს უფროსი კონსულტანტი

\* წერილში ფულის ნიშნები აღნიშნულია ძველი მასშტაბით.

# საქართველოს მთავრობის დადგენილება



## 1. დავები საკოლმეურნეობათაშორის ორგანიზაციების მონაწილეობით არ ექვემდებარებიან სახელმწიფო არბიტრაჟის განხილვას.

ცხაიას ცირის ქარხანამ აღძრა სახელმწიფო არბიტრაჟში სარჩელი მხარაძის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო კანტორისაგან 2.163 მან. და 50 კაპ. გადახდევინებაზე.

ძიებითი მასალა დაუბრუნდა მოსარჩელეს განუხილველად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1951 წ. 29/IV № ი-1-22 ინსტრუქტული მითითების თანახმად, დავები საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით არ ექვემდებარებიან სახელმწიფო არბიტრაჟის განხილვას, ვინაიდან საკოლმეურნეობათაშორისო კანტორა არის კოლმეურნეობების ორგანიზაცია. ეს დავა უნდა იქნეს განხილული სახალხო სასამართლოს მიერ.

## 2. საპრეტენზიო წესი დაცული უნდა იქნეს ძიების აღძვრამდე ყველა მოპასუხედ დასახელებული ორგანიზაციების მიმართ.

საქსორცკარაქტევეზეაჭრობის ფოთის ბაზამ აღძრა სარჩელი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან, თბილისის № 1 მაცივართან და ფოთის თევზკომბინატთან უხარისხო საქონლის ღირებულების გადახდევინებაზე. სასარჩელო მასალების შემოწმების დროს დადგინდა, რომ მოსარჩელემ პრეტენზია წარუდგინა მხოლოდ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ხოლო მისგან უარის მიღების შემდეგ, უშუალოდ აღძრა სარჩელი არბიტრაჟში, სადაც რკინიგზის სამმართველოს გარდა თანამოპასუხეებათ დასახელება კიდევ ტვირთის გამომგზავნი და მიმღები ორგანიზაციები. საქსორცკევეზეაჭრობის ფოთის ბაზის სარჩელი არ იქნა მიღებული წარმოებაში არბიტრაჟის მიერ; მასალები დაუბრუნდა მოსარჩელეს მითითებით, რომ სამმართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების მე-7 მუხლის თანახმად, სარჩელის არბიტრაჟში აღძვრამდე მოსარჩელემ უნდა მიიღოს ზომები დავის ნებაყოფლობით მოგვარებისათვის ყველა მოპასუხედ დასახელებულ ორგანიზაციებთან, და არა მხოლოდ ერთ-ერთთან.

## 3. განცხადებას წინა სახელმწიფო დავის შესახებ უნდა ერთოდეს ხელშეკრულება და უთანხმოების ოქმი ხელმოწერილი ორივე მოდავე მხარის მიერ.

ბათუმის თამბაქოს ფაბრიკამ შეიტანა სახელმწიფო არბიტრაჟში განცხადება წინა სახელმწიფო დავის შესახებ საქბაკალიის ბათუმის ბაზასთან. განცხადებას არ ქონდა დართული ხელშეკრულება, ხოლო უთანხმოების ოქმი ხელმოწერილი იყო მხოლოდ მყიდველის მიერ ე. ი. იმის მიერ, რომელმაც შეადგინა უთანხმოების ოქმი. მასალები დაუბრუნდა ბათუმის თამბაქოს ფაბრიკას განუხილველად მითითებით, რომ განცხადებას უნდა დაერთოს ხელშეკრულება (შეიძლება ასლის სახით), ხოლო უთანხმოების ოქმზე ხელი უნდა მოაწეროს ბეჭდის დასმით ორივე მოდავე მხარის ხელმძღვანელებმა. უთანხმოების ოქმზე ხელის მოწერა სრულიად არ ნიშნავს მყიდველის წინადადების მიღებას, როგორც ამას სწორად თვლიან მხარეები, არამედ უთანხმოების დადასტურებას, ე. ი. რომ თვითიველი მხარე იცავს თავის წინადადებას. ამისათვის არის გამომუშავებული უთანხმოების ოქმის ფორმა, რომელშიაც ასახულია ხელშეკრულების სადავო მუხლის როგორც მიმწოდებლის, ისე მყიდველის რედაქცია.

## 4. დავები ისეთი მოწყობილობის ღირებულების ანაზღაურების შესახებ, რომელიც არ იყო განადგებული ბანკის მიერ დაფინანსების უქონლობის გამო, სახელმწიფო არბიტრაჟის განხილვას არ ექვემდებარებიან.

ჩისტიაკოვის ელექტროტექნიკურმა ქარხანამ აღძრა ორი სარჩელი ახალციხისაშორის საბაღოსთან 11.849 მან. და 5.901 მან. გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა მიწოდებული დანადგარების ღირებულებას. ინკასოზე წარმოდგენილი ანგარიშები არ იყო განადგებული ბანკის მიერ გადახდებულთან სათანადო დაფინანსების უქონლობის გამო.

ორივე სარჩელი დაუბრუნდა ჩისტიაკოვის ელექტრომექანიკურ ქარხანას განუხილველად. ასეთი დავები სახელმწიფო არბიტრაჟის განხილვას არ ექვემდებარება.

**5. სოცუზრუნველყოფის რაიგანყოფილებების რეგრესული ძიებები ორგანიზაციების მიმართ დაზღვევის შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, დაკმაყოფილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოწვეულია მოპასუხე ორგანიზაციის ადმინისტრაციის დანაშაულებრივი მოქმედებით ან უმოქმედობით, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413-ე მუხლით.**

ქ. ქუთაისის სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ აღძრა სარჩელი ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მიმართ 1.042 მან. რაც შეადგენდა დაზარალებული ე. იობიძისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაცემული პენსიის თანხას. სარჩელს საფუძვლად ქუთაისის სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ დაუდო ის, რომ სასამართლოს წინაგადაწყვეტილებით ამავე დაზარალებულისათვის წინა პერიოდის გაცემული პენსია ანაზღაურებული იყო და რომ სადაზღვევო შემთხვევა მოხდა მოპასუხე ორგანიზაციის მიზეზით. სარჩელის არბიტრაჟის წარმოებაში მიღებამდე ქუთაისის სოცუზრუნველყოფის განყოფილებას მოეთხოვა სარჩელის დამამტყიცებელი პირველი საბუთები, კერძოდ, დადგენილი ფორმის უბედური შემთხვევის აქტი. სარჩელის გარჩევის პროცესში და კერძოდ, უბედური შემთხვევის აქტით დადგინდა, რომ დაზღვევის შემთხვევა მოხდა მხოლოდ დაზარალებულის დაუდევრობის შედეგად, რომელმაც არა სწორად მიუყენა დეტალი სალესს ქვას, რამაც გამოიწვია დეტალის და მასთან დაზარალებულის ხელის მანქანაში ჩათრევა. დაზარალებულმა დაჰკარგა თითო, მაგრამ ეს არ იძლეოდა საფუძველს რეგრესული ძიების აღძვრისათვის, ვინაიდან არავითარი ბრალი ამ უბედური შემთხვევისათვის ადმინისტრაციას არ ეუძებოდა, ქუთაისის სოცუზრუნველყოფის განყოფილების სარჩელი აცილებული იქნა მთლიანად.

**6. უსაქონლო ანგარიშით გადახდევინებული თანხა უდაოთ უნდა დაუბრუნდეს ორგანიზაციას, მიუხედავად იმისა, თუ რით იყო გამოწვეული უსაქონლო ანგარიშის წარდგენა.**

პურპროდუქტების მთავარი სამმართველოს ბათუმის ბაზამ წარუდგინა ინკასოზე ქობულეთის რაისამომხმარებლო კავშირს ანგარიში № 3366, თანხით 4.300 მან. 80 კაპ. რომელიც შეადგენდა 67.200 კგ. ნარჩენის ღირებულებას. ცეკავშირის გამგეობამ, რომელმაც აღძრა ძეგბა ქობულეთის რაისამომხმარებლო კავშირის ინტერესით, აცხადებდა, რომ სინამდვილეში სადაო ანგარიშში წაჩვენები ნარჩენები ქობულეთის რაისამომხმარებლო კავშირს არ მიუღია და მასასადამე ანგარიში არის უსაქონლო.

მოპასუხემ განმარტება არ წარმოადგინა. სახელმწიფო არბიტრმა ცეკავშირის სარჩელი დააკმაყოფილა სრულიად.

პურპროდუქტების ბათუმის ბაზამ არბიტრის გადაწყვეტილებაზე შემოიტანა ზეწესით საჩივარი, რომელშიაც აცხადებდა, რომ სადაო ანგარიშით მან გადაახდევინა ქობულეთის რაისამომხმარებლო კავშირს ის თანხა, რომელიც ამ უკანასკნელმა არა სწორად გადაახდევინა მას 1958 წელს. ზეწესით საჩივარი აცილებული იქნა, ხოლო სახარბიტრის გადაწყვეტილება დარჩება ძალაში. მომჩივნას მიეთითა, რომ მისი მოქმედება, რომლითაც მან მოახდინა დავალიანების ანაზღაურება, პირდაპირ ეწინააღმდეგება ანგარიშსწორების დადგენილ წესს, ვინაიდან უსაქონლო ანგარიშის გამოწერა ბანკის შეცდომაში შეყვანის მიზნით, მასში არსებული საქონლის დასახელების და რაოდენობის ჩვენება, ყოველად დაუშვებელია და ამის გამო არბიტრაჟი არ შევიდა იმის განხილვაში ირიცხებოდა თუ არა ქობულეთის რაისამომხმარებლო კავშირზე რაიმე დავალიანება. პურპროდუქტების ბაზის წინაშე, თუ ასეთი მართლაც იყო, პურპროდუქტების ბათუმის ბაზას შეუძლია საერთო წესით იძიოს საპრეტენზიო თანხის ანაზღაურება.

**7. სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდება წარმოებს ყოველთვიური ვადებით თუ მხარეებმა ხელშეკრულებაში არ გაითვალისწინეს მიწოდების სხვა შინაკვარტალური ან შინათვიური ვადები.**

საქგალანტერეიამ აღძრა სარჩელი აბაშის საქსოვი ფაბრიკისაგან 3.675 მან. გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა სანქციებს 1961 წ. III კვარტალში საგალანტერეიო საქონლის უკმარ მიწოდებისათვის.

საქმის გარჩევის პროცესში მხარეებმა ურთიერთ დაზუსტეს ანგარიშები, რის შედეგად სარჩელი დაქმავიფილდა თანხით 2.715 მან. და 80 კ.

აბაშის საქსოვმა ფაბრიკამ გაასაჩივრა არბიტრის გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ სადღო პერიოდის კუთვნილი სანქციების თანხა შეადგენს მხოლოდ 1.522 მან. და 80 კაპ. შეედავა რა სანქციების გაანგარიშებას ჩაბარების ყოველთვიური პარტიების მიხედვით. ზეწესით საჩივარში აბაშის საქსოვი ფაბრიკა ეყრდნობოდა იმას, რომ ხელშეკრულებასთან დართულ სპეციფიკაციით გათვალისწინებულია მხოლოდ კვარტალური ჩაბარების ვადები.

ზეწესით საჩივარი აცილებული იქნა სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულების მე-21 მუხლის საფუძველზე, ვინაიდან მხარეებმა არ გაითვალისწინეს ხელშეკრულებაში (ან სპეციფიკაციაში) რაიმე სხვა შინაკვარტალური ვადები, გარდა იმ ყოველთვიური პარტიების, რომელიც დადგენილია ნაჩვენები მე-21 მუხლით. ჩაბარება კი უნდა წარმოებდეს კვარტალის შინაგადებით.

**8. მიმწოდებელი პასუხისმგებელია საქონლის სათანადო ტარაში შეფუთვის ხაზის დამოუკიდებლად იმისა, სად იქნება რეალიზებული საქონელი, რესპუბლიკის გარეთ თუ შიგნით.**

საქბაქალეის სოხუმის ბაზან ადპრა სარჩელი სოხუმის თამბაქოს ფაბრიკისაგან 2.360 მან. და 60 კაპ. გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა ჯარიმას საქონლის უხარისხო ტარის მიწოდებისათვის. საქმის სახარბიტრის მიერ გარჩევის დროს მოპასუხე აცხადებდა, რომ მან გამოიყენა არასტანდარტული ტარა, რაც დასაშვებია, მაგრამ ვინაიდან ამით არ იყო გამოწვეული საქონლის ხარისხის გაუარესება, იგი, დებულების მე-40 მუხლის თანახმად, ითხოვდა პასუხისმგებლობიდან გათავისუფლებას. სახარბიტრმა სარჩელი დაქმავიფილა იმის საფუძველზე, რომ წარმოდგენილი საექსპერტო აქტებით, რომელიც შედგენილია ქ. კურგანში, დამტკიცებულია საქონლის გაფუჭება უხარისხო ტარაში შეფუთვის გამო. ზეწესით საჩივარში სოხუმის თამბაქოს ფაბრიკამ შესცვალა თავისი განმარტება და განაცხადა, რომ საქბაქალეის სოხუმის ბაზას არ უნდა გაეგზავნა რესპუბლიკის გარეთ თამბაქოს ფაბრიკის მიერ არასტანდარტულ ტარაში შეფუთული საქონელი, არამედ გაესაღებია ასეთი რესპუბლიკის შიგნით, ხოლო მოკლე მანძილზე არ მოხდება საქონლის ხარისხის გაფუჭება.

სოხუმის თამბაქოს ფაბრიკას მიეთითა მასზე, რომ დებულებით საქონლის მიწოდების შესახებ მე-40 მუხლის თანახმად, ყველა შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო სტანდარტის თანახმად საქონელი ტარაში შეფუთული სახით უნდა იქნეს მიწოდებული, ტარა და შეფუთვა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნას, ტარა და შეფუთვა უნდა უზრუნველყოფდნენ საქონლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დაცულობას მათი გადაზიდვისა და შენახვისას, და ამის გამო სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მოთხოვნა, როგორც ამ ნორმატიული აქტის საწინააღმდეგო, აცილებული იქნა.



# სასამართლო პრაქტიკა

## სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. დაზარალებულს იმ შემთხვევაში აუნაზღაურდება დასახიჩრებით მიყენებული ზარალი უკეთუ დადასტურდება, რომ მოსარჩელე დაზიანდა მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედობით ან უმოქმედობით.

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ნ. აივაზოვის სარჩელი ქ. თბილისის საკონდიტრო კომბინატის მიმართ სხეულის დაზიანებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ და მოპასუხეს ერთდროულად დააკისრა 1808 მანეთის (ძველი ფულით), ხოლო ყოველთვიურად 452 მანეთის გადახდა გადამოწმების ვადამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 7 ივლისის დადგენილებით სახალხო სასამართლოს ზემოხსენებული დადგენილება ძალაში დატოვა იმ შესწორებით, რომ მოპასუხეს სარჩელის ანაზღაურება დაეკისრა შერეული პასუხისმგებლობის პრინციპით (50 პროცენტის რაოდენობით).

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილების, ისე უმაღლესი სასამართლოს დადგენილების გაუქმება და საქმის იმავე სახალხო სასამართლოში დაბრუნება ხელახალი განხილვისათვის.

საქმეში არსებული მასალებით არ არის დადგენილი თუ ვის მინდობდა ბრალი მოსარჩელე ნ. აივაზოვის დაზიანებაში. საქმეში არ არსებობს შრომის ტექნიკური ინსპექტორის დასკვნა. წარმოდგენილია მხოლოდ აქტი, რომელიც დაზიანებაში ბრალს დებს თვით მოსარჩელეს. სახალხო სასამართლოს თავისი ინიციატივით საკითხის გარკვევისათვის რაიმე დამატებითი მასალა არ შეუტარებია. ასეთ პირობებში სასამართლოს არ ჰქონდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413 მუხლის თანახმად საკონდიტრო კომბინატი ვალდებული იქნებოდა ზარალი აენაზღაურებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დადასტურდებოდა, რომ მოსარჩელე დაზიანდა მოპასუხის დანაშაულებრივი მოქმედებით ან უმოქმედობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 16 იანვარს გააუქმა ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება ამ საკითხზე და საქმე დაუბრუნდა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს განსახილველად.

2. პიროვნება მდგმურის უფლებით ბინაში ცხოვრების უფლებას ვერ მოიპოვებს თუ იგი არ არის ბინის ძირითადი დამქირავებლის ოჯახის წევრი.

მოქალაქე გ. სამკუჯაშვილმა აღძრა სარჩელი თ. პეტრიაშვილის მიმართ და მოითხოვა ამ უკანასკნელის ბინიდან გამოსახლება იმ საფუძველით, რომ მისი ბინის დამქირავებელი გ. იოსელიანი გარდაიცვალა, ხოლო მოპასუხე თ. პეტრიაშვილს სადაო ბინაში ცხოვრების დამოუკიდებელი უფლება არ აქვს.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. სამკუჯაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1961 წლის 17 მარტის დადგენილებით გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა გადაწყვეტილებისა და საკასაციო კოლეგიის დადგენილების გაუქმება და საქმის გადაცემა ხელახალი განხილვისათვის.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ სადაო ოთახში ცხოვრობდა მოპასუხის ბიძა გ. იოსელიანი, რომელიც გარდაიცვალა 1959 წელს. გ. იოსელიანმა თავისი სიცოცხლის პერიოდში მომვლელი სახით სადაო ბინაში მიიყვანა თავისი დისშვილი—ამ საქმეზე მოპასუხე თ. პეტრიაშვილი და ჩაწერა იგი სადაო ბინაში 1959 წლის იანვრის თვეში სახლის მესაკუთრის თახხმობის გარეშე.

მოპასუხე თ. პეტრიაშვილი არ ითვლებოდა ბინის ძირითადი დამქირავებლის გ. იოსელიანის ოჯახის წევრად. იგი 1947 წლამდე ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა თავისი მშობლების ბინაში ფიროსმანის ქ. № 4-ში. შემდეგ კი წავიდა ქ. თბილისიდან და მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში 1957 წლამდე. 1957 წელს კი ისევ თბილისში დაბრუნდა და ჩაეწერა საცხოვრებლად ისევ თავის მშობლების ბინაში.

გარდა ამისა, საქმეში არსებული საბუთით დასტურდება, რომ 1958 წლის ოქტომბერში ბინის ძირითადმა დამქირავებელმა გ. იოსელიანმა განცხადებით მიმართა მაღიციის განყოფილებას და მოითხოვა, რომ მასთან ბინაში ჩაეწერათ მისი დისშვილი თ. პეტრიაშვილი არა როგორც ოჯახის წევრი, არამედ როგორც მომვლელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ამის საფუძველზე გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება და საქმე გადასცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის.

**8. ამხანაგობის მიერ აშენებული ბინების განაწილება ამხანაგობის წევრთა შორის შეადგენს საერთო კრების უფლებას და ასეთი დაგები სასამართლოს განხილვას არ ექვემდებარება.**

ქ. თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით დააკაყოფილა ა. მანუკოვის სარჩელი და დაავალა საბინაო სადამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის მშენებლობა № 79-ის გამგეობას ჩააბაროს მოსარჩელე მანუკოვს გლდანის ქ. № 18-ში მდებარე სახლის მეხუთე სართულზე, რომელიც მშენებლობის პროცესშია, სამ ოთახიანი ბინა 62-65 კვ. მეტრი ფართობით, ხოლო მოქ. კ. ლომიძე, რომლისთვისაც გათვალისწინებული იყო ამ ბინის მიცემა, ჩასახლდეს ბინაში ამავე სახლის პირველ სართულზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სახელზე პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ და მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საკასაციო კოლეგიის დადგენილების გაუქმება და საქმის წარმოებით მოსპობა, როგორც სასამართლოს არაქვემდებარე.

საქმეში წარმოდგენილია საბინაო სადამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის სანიმუშო წესდება. აღნიშნული წესდების თანახმად ამხანაგობის საქმიანობას განაგებს ამხანაგობის წევრთა საერთო კრება, რომლის დადგენილებაც სავალდებულოა ამხანაგობის წევრებისათვის. წესდების 24-ე მუხლში აღნიშნულია, რომ თითოეული წევრი ვალდებულია დაემორჩილოს საერთო კრების დადგენილებას და მიიღოს ამხანაგობაში მონაწილეობა საერთო კრების დადგენილების შესაბამისად. მე-10 მუხლში კი მითითებულია, რომ ამხანაგობის წევრი ვალდებულია საპაიო თანხა ბინის ღირებულების სრული ოდენობით შეიტანოს ამხანაგობაში შესვლისთანავე.

აღნიშნული წესდების თანახმად ბინების განაწილება ამხანაგობის წევრთა შორის შეადგენს საერთო კრების უფლებას. ამიტომ სასამართლოს არ შეუძლია, რომ მოახდინოს ბინების განაწილება ამხანაგობის წევრთა შორის ან ამხანაგობის წევრად შეიყვანოს გარეშე პირი.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ ა. მანუკოვი ამხანაგობის წევრიც არ ყოფილა და მას ბინის რეალური ღირებულება არ შეუტანია მთლიანად. ასეთ პირობებში სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, რომ მოეხდინა ბინების განაწილება და მოეთმეტეს ამხანაგობის ბინა მიეკუთვნებია გარეშე პირისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 6 თებერვლის დადგენილებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება საქმეზე ა. მანუკოვის სარჩელის გამო საბინაო სადამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა № 79-ის მიმართ ამხანაგობის წევრად აღდგენისა და ბინის მიკუთვნების შესახებ და საქმე მოსპოა წარმოებით, როგორც სასამართლოს არაქვემდებარე.



## სისხლის სამართლის საქმეებზე

1. წინად სამართალში ყოფნა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დანაშაულის მკვალი-ფიცირებელ გარემოებას, უკეთუ მოხსნილია ამნისტიის აქტის ძალით.

ქალაქ თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1961 წლის 23 მარტის განაჩენით რ. შაროვეი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 152 მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. შაროვეს მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ 1961 წლის 8 თებერვალს მალაზიაში მყოფ მოქ. ტ. ელიზაროვს ხელნაწილიდან მოპარა 2 მეტრო ტავტის ნაჭერი.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 11 აპრილის განჩინებით რ. შაროვეის დანაშაული გადაკვალიფიცირებული იქნა იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე შემდეგი საფუძვლებისა გამო:

სასამართლომ შაროვეის სსკ 152 მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდადებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ იგი 1956 წელს მსჯავრებული იყო ანალოგიური დანაშაულისათვის.

მართალია რ. შაროვეი 1956 წელს გასამართლებული იყო ქურდობისათვის, მაგრამ ის, შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 1-ლ ნოემბრის ბრძანებულებისა „ამნისტიის შესახებ“ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა ნასამართლობის მოხსნით.

ასეთ პირობებში რ. შაროვეი, შესაბამისად სსკ 57 მუხლის ბოლო აბზაცის, ითვლება ნასამართლობის არ მქონეთ და ამდენად წინათ სამართალში ყოფნა ვერ დაედებოდა საფუძვლად მის სსკ 152 მუხლის მეორე ნაწილით მსჯავრდებას.

ზემოაღნიშნულისა გამო კოლეგიამ თავის განჩინებით რ. შაროვეის დანაშაული გადააკვალიფიცირა იმავე მუხლის 1-ლ ნაწილით და სასჯელის ღონისძიებათ განუსაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. მოწმე, წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის არ შეიძლება მსჯავრდებულ იქნას, უკეთუ იმ საქმეზე გამოტანილი განაჩენი, რომლის გამო მოწმემ მისცა ჩვენება, არ არის შესული კანონიერ ძალაში.

ლანჩხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს 1961 წლის 2 მარტის განაჩენით ტ. ხოფერია და კ. კომახიძე ცნობილი იქნენ დამნაშავედ: ტ. ხოფერია საქართველოს სსრ სსკ 152 მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, კ. კომახიძე სსკ 197 მუხლით და მიესაჯა 6 თვით შრომა-გასწორებითი მუშაობა, სასჯელის სამუშაო აღდგოლზე მოხდით, გამომუშავებიდან 15 პროცენტის დაქვითვით.

ტ. ხოფერიას მსჯავრი დაედო მასში, რომ მან 1960 წლის 30 აგვისტოს გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად ძალადობის გამოყენებით გააძრვავა მოქ. ე. ბოლქვაძე, კ. კომახიძის კი მასში, რომ როგორც მოწმემ იგი შეეცადა წინასწარ სამსჯავრო გამოძიებაზე ტ. ხოფერიას დანაშაული შეემსუბუქებია იმ მიმართებით, რომ გამოირცხა ხოფერიასთან ერთად სხვა ბოროტმოქმედთა მონაწილეობის ფაქტი.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 25 მარტის განჩინებით განაჩენი კ. კომახიძის მიმართ გაუქმდა და მის მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა, შემდეგი საფუძვლების გამო: შესაბამისად სსკ 64 მუხლისა მოწმე შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოკვლევის ან გამოძიების დროს წინასწარი შეცნობით მიცემულ ცრუ ჩვენებისათვის მხოლოდ იმ საქმეზე გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომლის გამოც მოწმემ მისცა ჩვენება ან ამ საქმის შეწყვეტის შემდეგ.

ზემოაღნიშნულისა გამო სასამართლომ არ ჰქონდა უფლება კომახიძე მიეცა სამართალში და ეცნო დამნაშავედ წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენების მიცემისათვის ტ. ხოფერიას ბრალდების საქმესთან ერთად. ამიტომ კ. კომახიძის მიმართ საქმე სავსებით სწორად წარმოებით შეწყვეტილი იქნა.

ფანონ 50 კვვ.

6 (2) 230



# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 3

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической Комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР